პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
წლიწადი მეთერთმეტე

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და თბ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო
ტელეფონები №№: რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—23—17, სამდივნოს—10—58, მთ. კანტორის—8—81.

ოთხშაბათი, 23 სექტემბერი 1931 წ. № 219 (3674)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთაშორისო იმპერიალიზმის შავი დღე

1931 წლის 21 სექტემბერი შავი დღე იქნება საერთაშორისო კაპიტალიზმის ისტორიაში. ინგლისის მთავრობამ ამ დღეს გამოაცხადა, რომ სწყვეტს გირვანქა სტერლინგის ოქროს სტანდარტს (ოქროს მტკიცე კურსს). ინგლისის ბანკები აღარ არიან ვალდებული გასცენ ოქრო ან უცხოეთის ვალიუტა გირვანქა სტერლინგის კურსის განსამტკიცებლად. გირვანქა სტერლინგის კურსი ნიუ-იორკში 4 დოლარი და 86 ცენტიდან უკვე დაეცა 4 დოლარამდე და 25 ცენტამდე. ცხადია, რომ ეს მისი დაცემის მხოლოდ დასაწყისია. ინგლისის ბანკმა განაღდების განაკვეთი 4 პროცენტიდან 6 პროცენტამდე გაადიდა. „ნაციონალური" მთავრობა ღებულობს შესაფერ ზომებს, რომლებმაც უნდა დააკანონონ შექმნილი მდგომარეობა — ოქროს სტანდარტზე ხელის აღება. ლონდონის ბირჟა დაიხურა.

ცნობამ „ნაციონალური" მთავრობის მიერ გირვანქა სტერლინგის ოქროს სტანდარტზე ხელის აღების შესახებ აუწერელი არევ-დარევა გამოიწვია მთელს კაპიტალისტურ მსოფლიოში. ლონდონის ბირჟის გარდა, ბირჟები დაიხურა ბერლინში, ვენაში, კოპენჰაგენში, ბრიუსელში, ტოკიოში, ბერნში, ციურიხში, ჟენევაში, ფრანკფურტში და სხვაგან. აქციების, ფასიანი ქაღალდების და სახელმწიფო ობლიგაციების კურსი სწრაფად ეცემა მსოფლიოს ყველა ბირჟაზე. ბირჟის ახალმა კრიზისმა ისეთ დონემდე დასცა კურსი, როგორიც ჯერ არასოდეს არ ყოფილა ეხლანდელი კრიზისის პერიოდში. რით არის გამოწვეული „ნაციონალური" მთავრობის გადაწყვეტილება გირვანქა სტერლინგის განმტკიცებაზე ხელის აღების შესახებ? მთავრობის ოფიციალური ცნობები ამას იმით ხსნიან, რომ ივლისში, მაშასადამე, გერმანიის საკრედიტო კრიზისის დაწყების დროიდან, ინგლისის ფულის ბაზრიდან გატანილ იქნა 200 მილიონი გირვანქა სტერლინგი — 3 მილიარდი მანეთი ოქროთი. ინგლისის მთავრობა და ინგლისის ბანკი ივლისიდან მოკიდებული გააფთრებულ უშედეგო ბრძოლას აწარმოებდნენ გირვანქა სტერლინგის განმტკიცებისათვის. ამ მიზნით ინგლისის ბანკმა დახარჯა ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთისაგან მიღებული 50 მილიონი გირვანქა სტერლინგი, ამავე მიზნით ინგლისის ხაზინამ დახარჯა შეერთებული შტატებისა და საფრანგეთისაგან სესხის სახით მიღებული 80 მილიონი გირვანქა სტერლინგი. ინგლისის ოქროს მარაგიდან დაიხარჯა 27 მილიონი გირვანქა სტერლინგი. ყოველივე ეს მოხდა ორი თვის განმავლობაში.

წავიდა „მუშათა" მთავრობა. მის ადგილი დაიჭირა „ნაციონალურმა" მთავრობამ მაკდონალდის მეთაურობით. იგი ამჟამად უსასტიკეს ზომებს ღებულობს (იგულისხმე მშრომელთა შევიწროება) ბიუჯეტის ბალანსის გამოსაყვანად. ამ ზომებმა უკვე გამოიწვიეს მღელვარება ინგლისის სამხედრო ფლოტში, უმუშევრობის არმიისა და პოლიციაში, მასწავლებელთა „ჯანყი" და მასიური მოძრაობის გამოცოცხლება. მაგრამ ინგლისის ბურჟუაზია არ არის თანახმა იხსნას ბრიტანეთის იმპერიის საფინანსო სისტემის ერთ-ერთი საფუძველი — გირვანქა სტერლინგი. ეხლა ინგლისის ბურჟუაზია იძულებულია აშკარად სთქვას უარი თავის ხელმძღვანელ როლზე ფულის საერთაშორისო ბაზარზე.

რა თქმა უნდა, გირვანქა სტერლინგის ღირებულების დაცემა, რომელიც ამჟამად აშკარად არის აღიარებული, გამოწვეულია არა მარტო უცხოეთის კაპიტალის გატანით ინგლისიდან. ამ უდიდესი მოვლენის მიზეზი ჩამარხულია მსოფლიო ეკონომიურ კრიზისში, განსაკუთრებით ინგლისის მთელი მეურნეობის ძალზე დაცემაში, რომელიც რამოდენიმე ათეული წლის განმავლობაში მზადდებოდა. ინგლისის სავაჭრო ბალანსი უკანასკნელ ათწლეულში ყოველთვის პასიური იყო. მართალია, მას ფარავდა აქტიური გადამხდელობითი ბალანსი. უცხოეთში დაბანდებული 4 მილიარდის კაპიტალი, ბრიტანეთის იმპერიალიზმის კოლონიებისა და ნახევრად კოლონიების ხარკი, სანაოსნო კომპანიათა, დაზღვევის საზოგადოებათა და ინგლისის იმ საბანკო სისტემის შემოსავალი, რომელსაც მთელ მსოფლიოში აქვს ქსელი, გადაჭარბებით ფარავდნენ სავაჭრო ბალანსის პასივს. მაგრამ სავაჭრო ბალანსის ეს პასივი სულ უფრო და უფრო იზრდებოდა უკანასკნელ წლებში იმ დროს, როცა გადამხდელობითი ბალანსის აქტივობა თანდათან მცირდებოდა. ეს შემცირება გასულ წელს შეადგენდა მხოლოდ 39 მილიონ გირვანქა სტერლინგს, წინა კი მოელიან გადამხდელობითი ბალანსის პასივს 75 მილიონ გირვანქა სტერლინგის რაოდენობით.

უცხოეთის კაპიტალი კოლონიებსა და ბრიტანეთის დომინიონებში, ევროპის აღმოსავლეთ და ცენტრალურ ქვეყნებში და სამხრეთ ამერიკაში „იყინებოდა". საგარეო ვაჭრობის კატასტროფიულმა დაცემამ მსოფლიო მასშტაბით გამოიწვია ის, რომ სანაოსნო საზოგადოებათა და დაზღვევის კომპანიათა შემოსავალი, აგრეთვე მსოფლიო და ინგლისის ბანკების შემოსავალი ძალზე შემცირდა, ბევრი მათგანი დიდი ზარალით მუშაობს. ამავე დროს ინგლისის მრეწველობის, განსაკუთრებით მისი ძირითადი დარგების — სამთო, მეტალურგიულ, გემთსაშენი და სატექსტილო დარგების — ღრმა კრიზისმა თავისი მხრით შეარყია ინგლისის საფინანსო სისტემა.

მაკმილანის კომისიის ამას წინად გამოქვეყნებულ მოხსენებიდან სჩანს, რომ ინგლისის საბანკო სისტემამ ინგლისის მრეწველობას სესხისა და კრედიტების სახით მისცა 189 მილიონი გირვანქა სტერლინგი (დაახლოვებით ერთი მილიარდი ოქროს მანეთი). ამ კრედიტების საგრძნობი ნაწილიც „იყინებოდა". სიტის, ლონდონის საბირჟო უბანს საგრძნობლად აკლდა საკუთარი საბრუნავი კაპიტალი.

როცა დანატ-ბანკის კრახის შემდეგ გერმანიაში დაიწყო საკრედიტო კრიზისი და მოკლე-ვადიანი კრედიტების გატანა თვით ინგლისიდან, — გირვანქა სტერლინგის კატასტროფაც დაიწყო.

ბიუჯეტის დეფიციტმა მხოლოდ გააძლიერა პანიკა. თავის-თავად იგულისხმება, რომ ეს დეფიციტი გამოწვეული იყო არა უმუშევართა დახმარების ხარჯებით, არა სოციალური კანონმდებლობის ხარჯებით, არამედ იმით, რომ ინგლისის ბიუჯეტს მძიმე ტვირთად აწევს დიდძალი სახელმწიფო ვალები. ფასების დაცემას შედეგად მოჰყვა, ის რომ ინგლისის სახელმწიფო ვალების რეალური ღირებულება, რომელიც 1928 წელს 4,5 მილიარდ გირვანქა სტერლინგს შეადგენდა, ამჟამად შეადგენს 7,5 მილიარდ გირვანქა სტერლინგს. ამ ვალების სარგებელმა და ყველა სახელმწიფო შემოსავლის შემცირებამ დაარღვიეს წესრიგი და სახელმწიფო ბიუჯეტი და გაამწვავეს გირვანქა სტერლინგის კრიზისი. მეზღვაურთა გამოსვლამ, როგორც არ უნდა უარყოფდნენ ამას ინგლისის ოფიციალური წრეები, კიდევ უფრო შეუწყო ხელი სტერლინგის დაცემას.

გირვანქა სტერლინგის ოქროს სტანდარტზე უარის თქმაში თავის გამოხატულებას ჰპოულობს ბრიტანეთის კაპიტალიზმის კრიზისი. მაგრამ გირვანქა სტერლინგის ღირებულების დაწყებულ დაცემას საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. ინგლისის მეურნეობის თვალსაზრისით გირვანქა სტერლინგის ღირებულების დაცემა მოასწავებს ინფლიაციას ყველა აქედან გამომდინარე ეკონომიური და სოციალური შედეგებით. ეს უწინარეს ყოვლისა მოასწავებს მუშების რეალური ხელფასის შემდგომ შემცირებას და უმუშევართა დახმარების, მოსამსახურეთა, მეზღვაურთა, მასწავლებელთა, ჯარისკაცთა და პოლიციელთა ჯამაგირის შემდგომ შემცირებას. ეს მოასწავებს წვრილი ბურჟუაზიის გაძარცვას მსხვილი საფინანსო კაპიტალის სასარგებლოდ, ეს მოასწავებს ცხოვრების გაძვირებას. ამან კი არ შეიძლება არ გამოიწვიოს უდიდესი კლასობრივი ბრძოლები ინგლისში.

ამავე დროს ეს მოასწავებს ინგლისისათვის ბრუნვის შემცირებას და საქონლის გატანის გადიდებას. გერმანიის საკრედიტო კრიზისმა გამოიწვია ის, რომ გერმანიის სავაჭრო ბალანსის აქტივი აგვისტოში შეადგენდა 370 მილიონ მარკას. ინგლისის ბურჟუაზია შეეცდება წავიდეს იმავე გზით. ეს კი აუცილებლად გამოიწვევს იმპერიალისტურ წინააღმდეგობათა შემდგომ გამწვავებას.

„ნაციონალური" მთავრობის მიერ ოქროს სტანდარტზე ხელის აღება ცხადად მოწმობს, რომ მსოფლიო ეკონომიური კრიზისი ახალ ფაზაში შევიდა, მას შემდეგ, რაც საკრედიტო კრიზისი გავრცელდა ავსტრიასა, გერმანიასა და უნგრეთში, ავსტრალიის ფაქტიური გაკოტრების შემდეგ, მას შემდეგ, რაც სამხრეთ ამერიკის ყველაზე უფრო დიდი ქვეყნები, მათ შორის ბრაზილია, ჩილი, პერუ, ბოლივია და ურუგვაი გაკოტრდნენ და შესწყვიტეს უცხოეთის ვალების გადახდა, კრედიტისა და ფულის კრიზისმა, ვალიუტის კრიზისთან ერთად, მოიცვა უდიდესი იმპერიალისტური ქვეყანა — ინგლისი. საფრანგეთის ფინანსთა მინისტრმა ფლანდენმა მხოლოდ გუშინ განაცხადა, რომ გირვანქა სტერლინგის ხსნა საერთაშორისო ამოცანაა, ვინაიდან გირვანქა სტერლინგის დაცემა მოასწავებს მთელი მსოფლიოს საფინანსო სისტემის შერყევას. არ გასულა 24 საათი და ეს შერყევა დაიწყო. პანიკა, რომელმაც მთელი ბურჟუაზიული მსოფლიო მოიცვა, ძლიერდება.

ეხლაა დახურული კაპიტალისტური ქვეყნების ყველა ბირჟები, რამაც არ შეიძლება არ შეაშფოთოს წვრილი ანაბარების პატრონები იმ ქვეყნებში, სადაც ჯერ კიდევ არ დაწყებულა საკრედიტო კრიზისი.

რა თქმა უნდა, ამ ჟამად ძნელია იმის გათვალისწინება, თუ რამდენად სწრაფად მოახდენს ეს გავლენას სხვა იმპერიალისტური ქვეყნების მეურნეობაზე და საფინანსო სისტემაზე, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ კრედიტის, ფულის და ვალიუტის კრიზისი ინგლისში არ შეჩერდება ბრიტანეთის იმპერიის საზღვრებთან. თუ საერთაშორისო ბურჟუაზია თავის უდიდეს მიღწევად სთვლიდა კაპიტალიზმის დროებითი სტაბილიზაციის პერიოდში მსოფლიო ფულის ბაზრის მთლიანობის აღდგენას ოქროს სტანდარტის საფუძველზე, — ეხლა მსოფლიო ეკონომიური კრიზისი ლოდ სპობს ამ „მიღწევას". გირვანქა სტერლინგის დაცემას შეიძლება მოჰყვეს სხვა დიდი ქვეყნების ფულის ერთეულის დაცემაც.

კრიზისი ინგლისში გაძლიერდა მას შემდეგ, რაც სამხედრო ფლოტის მღელვარებამ შეარყია ბრიტანეთის იმპერიალიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამხედრო საფუძველი. ამ გამოსვლაში გამომჟღავნდა პროტესტი და უკმაყოფილება „ნაციონალური" მთავრობის ეკონომიის პოლიტიკის წინააღმდეგ, ე. ი. საერთოდ ბურჟუაზიის და იმ „მუშათა" პარტიის და გენერალურ საბჭოს ოპოზიციის წინააღმდეგ, რომლებმაც „ნაციონალურ" მთავრობაზე უფრო ადრე მიიღეს გადაწყვეტილება მეზღვაურთა და ჯარისკაცთა ხელფასის შემცირების შესახებ.

სამხედრო მეზღვაურთა გამოსვლამ მთელი მსოფლიო იმპერიალისტური ბურჟუაზია შეაშფოთა, ვინაიდან საერთაშორისო ბურჟუაზიას საუცხოვოდ ესმოდა, რომ ინგლისის ფლოტის დანიშნულებას შეადგენს არა მარტო ინგლისის იმპერიალისტური სიმძლავრის დაცვა, არამედ აგრეთვე კოლონიალურ ერების რევოლიუციონურ განმანთავისუფლებელი ბრძოლის ჩახშობა და ინგლისის ბურჟუაზიის კლასობრივი ბატონობის შენარჩუნება ინგლისის პროლეტარიატზე. გასაკვირალი არ არის, რომ გირვანქა სტერლინგის დაცემა კვლავ აშფოთებს მთელ საერთაშორისო ბურჟუაზიას, ვინაიდან იგი მოასწავებს არა მარტო ინგლისის, არამედ მთელი საერთაშორისო იმპერიალიზმს შესუსტებას. კრიზისის განვითარება ინგლისში მოასწავებს მთელი მსოფლიო კრიზისის ახალ ეტაპს და ინგლისის ამბები მაჩვენებელია იმის, თუ რა შეიძლება მოხდეს ხვალ და უეჭველად მოხდება მთელ რიგ სხვა იმპერიალისტურ ქვეყნებში. და აი, სწორედ ამიტომ არის ასე შეშფოთებული მსოფლიო ბურჟუაზია.

„ნაციონალურ" მთავრობის მიერ ოქროს სტანდარტზე ხელის აღება წარმოადგენს „ნაციონალური" მთავრობის უდიდეს დამარცხებას. მაგრამ დამარცხება განიცადა არა მარტო „ნაციონალურმა" მთავრობამ, არამედ აგრეთვე მისმა ოფიციალურმა „ოპოზიციამაც" „მუშათა" პარტიის, დამოუკიდებელი „მუშათა" პარტიის და გენსაბჭოს სახით. ამიტომ გასაკვირალი არაა, რომ გენსაბჭოს ლეიბორისტები ჰენდერსონის პირით იძულებული იყვნენ მოეხსნათ ოპოზიციის ნიღაბი და განეცხადებინათ, რომ პატრიოტიზმი ყველაფერზე უფრო მაღლა სდგას.

ინგლისის კლასთა ურთიერთობაში სწრაფი გარდატეხა დაისახა.

ინგლისის კომპარტიამ მხოლოდ ეხლა დაიწყო ფართო მთლიანი ფრონტის შექმნა ქვემოდან მასების მეთაურობით, მათთან დაკავშირებით და მათი საფეხურიდან საფეხურზე აყვანით. ასეთი გზა აირჩია კომპარტიამ.

ინგლისის უკანასკნელ ამბებს არ შეუძლიათ არ გააღრმაონ მასების ზურგის შექცევა ფაშიზმისათვის და კომუნიზმისაკენ მობრუნება. ინგლისის კომუნისტები ამოცანად ისახავენ მისცენ ამ მობრუნებას მასიური ხასიათი.

„პრავდა", 22 სექტემბერი.

ფინანსიური კატასტროფის დასაწყისი ინგლისში

პანიკამ მოიცვა მთელი ბურჟუაზიული მსოფლიო

კაპიტალიზმის მკურნალები — სოციალ-ფაშისტები მოუწოდებენ ამერიკის და საფრანგეთის ბურჟუაზიას დაეხმარონ ინგლისს და მით შეაჩერონ კატასტროფიული ფინანსიური კრიზისის გავრცელება სხვა ქვეყნებზე, რომ მით შეუშალონ ხელი რევოლიუციონური კრიზისის განვითარებას

ბირჟების დახურვამ გავლენა მოახდინა მთელ მსოფლიოზე

ლონდონი, 21 სექტემბერი. სიტიში (ლონდონის საქმიანი ნაწილი) მდგომარეობა უაღრესად დაძაბულია. დახურულ ბირჟის შენობის ირგვლივ თავი მოიყარეს მაკლერებმა, ბირჟაზე მომქმედ პირებმა და სხვადასხვა ხალხმა, მაგრამ ყველამ თავი შეიკავა რაიმე გარიგებებისაგან.

„საქმიანი" ხალხი ისეთი მრავალრიცხოვანი აღმოჩნდა, რომ შეაჩერა მოძრაობა ბირჟის და ინგლისის ბანკის რაიონში. საბანკო-კომერციული წრეები ერიდებიან ოპერაციების წარმოებას ინგლისური ვალიუტით. უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში ბანკები მოკლებულნი იყვნენ საშუალებას ეწარმოებიათ ოპერაციები ინგლისურ ვალიუტით, თუ დაუყოვნებლივ არ მოხდებოდა განაღდება. მიღებულია ცნობები, რომ, ინგლისის ბირჟების დახურვასთან დაკავშირებით. ორშაბათს (21 სექტემბერი) **დაიხურა ბერლინის, ბრიუსელის, ვენის, ბომბეის, კალკუტის, სტოკჰოლმის, კოპენჰაგენის, ოსლოს, ანტვერპენის და პიტსბურგის ბირჟები** (ადს).

გირვანქა სტერლინგის დაცემა განამტკიცებს დოლარის ჰეგემონიას.

ნიუ-იორკი, 22 სექტემბერი. 21 სექტემბერს დილით გაიხსნა ნიუ-იორკის ბირჟა. ბირჟის გახსნის წინ ადმინისტრაციამ აკრძალა ვადიანი გარიგებების წარმოება. 19 სექტემბერს, ინგლისის კრიზისის წინა დღით, მეტად დაეცა უმთავრესი ფასიანი ქაღალდები. ბანკირები და პოლიტიკური წრეები ყოველნაირად ცდილობენ იმ გავლენის შემცირებას, რომელიც უნდა მოახდინოს ინგლისის კრიზისმა შეერთებულ შტატებზე.

ზოგიერთი მოღვაწეები აღნიშნავენ, რომ სტერლინგის დაცემა საბოლოოდ განამტკიცებს დოლარის ჰეგემონიას საერთაშორისო ბაზარზე. ინგლისში განზრახულ ოქროს სტანდარტის გაუქმების შესახებ ვაშინგტონში რამოდენიმე დღით ადრე იცოდნენ. უკანასკნელი ამბები, დამამშვიდებელი განცხადებების მიუხედავად უდიდეს შიშს იწვევენ. **დაიხურა პიტსბურგის ბანკი, რომლის ანაბარები 47 მილიონ დოლარს უდრის** (ადს).

სიტიში პანიკაა

ლონდონი, 21 სექტემბერი. დღეს (21 სექტემბერს) ბირჟები მთელს ქვეყანაში დახურულია. **სიტიში გამეფებულია სრული გაბნეულობა და პანიკა,** რასაც უფრო მეტად ართულებს მთავრობის და სხვადასხვა პარტიათა ლიდერების დაუსრულებელი მიმართვები, რომლებიც მოუწოდებენ სიმშვიდისაკენ და იშველიებენ „პატრიოტულ გრძნობებს" (ადს).

არევ-დარევა ჟენევაში

ჟენევა, 21 სექტემბერი. მიღებული ცნობები იმის შესახებ, რომ ინგლისის მთავრობამ გადასწყვიტა შეაჩეროს სტერლინგის გადაცვლა ოქროზე, სასწრაფოდ გავრცელდა და მან საერთო არევ-დარევა გამოიწვია ერთა ლიგის წრეებში. აქ ფიქრობენ, რომ ოქროს დახურდავების შეჩერება ინგლისში უფრო აქტიურს გახდის ამერიკის ტენდენციას მორატორიუმის გაგრძელებისათვის და გააძლიერებს მის მისწრაფებას ამა თუ იმ ფორმით დასვას რეპარაციებისა და ვალების საკითხი მომავალ დისკუსიის დროს. ჟენევაში, მით უმეტეს, რომ მეორე კომისია ჩქარა შეუდგება ფინანსიური საკითხების განხილვას (ადს).

კრახი მოელის საერთაშორისო კრედიტების მთელ სისტემას

ბერლინი. 21 სექტემბერი. ლონდონის ბირჟის დახურვა და ინგლისის ბანკის მიერ უარის განცხადებამ თავის ვალდებულების შესრულებაზე — დაახურდაოს ბანკნოტები ოქროზე, საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა გერმანიის ეკონომიურ და პოლიტიკურ წრეებში.

ბერლინში აღნიშნავენ, რომ ამ ფინანსიურ კატასტროფას მსოფლიო მნიშვნელობა აქვს და რომ ამჟამად მისი შედეგის გათვალისწინებაც კი შეუძლებელია. არსებობს **საერთაშორისო კრედიტების მთელი სისტემის კრახის საშიშროება.** ინგლისის ფინანსიური კრახის პირველი უშუალო შედეგი გერმანიაში არის ბირჟების დახურვა.

ბერლინის ბირჟის გამგეობამ გადასწყვიტა შესწყვიტოს ოპერაციები, ლონდონისა და სხვა ევროპიულ ბირჟების დახურვის გამო. ოფიციალური კოტიროვკა არ სწარმოებს. აქციებით და დევიზებით კერძო ვაჭრობა აკრძალულია. დევიზების კურსს **დააწესებს რეიხსბანკი. ბირჟების დახურვა** გადასწყვიტეს აგრეთვე ჰამბურგის, კელნის, მაინის, ფრანკფურტის, მიუნხენის, ლეიპციგის, დრეზდენის, ჰესსენის და ბრესლავის ბირჟების გამგეობებმა.

პრუსიის ვაჭრობის სამინისტრომ აგრეთვე წინადადება მისცა პრუსიის ბირჟებს ყველა გამგეობებს — არ გააღონ ბირჟები 21 სექტემბერს (ადს).

დაცვას ეძებენ ერთა ლიგაში.

ჟენევა, 21 სექტემბერი. ჩინეთის დელეგატმა შიმ მიმართა ერთა ლიგის გენერალურ მდივანს დრუმონდს თხოვნით — აცნობოს ერთა ლიგის საბჭოს ჩინეთის მთავრობის შუამდგომლობა და განიხილოს ჩინეთის მიმართვა მანჯურიაში მომხდარ ამბების გამო (ადს).

დაიხურა ვენის ბირჟა.

ვენა, 21 სექტემბერი. ავსტრიის მთავრობამ გასცა განკარგულება ვენის ბირჟის დახურვის შესახებ (ადს).

12.000 უმუშევრის დემონსტრაცია

ლონდონი, 21 სექტემბერი. გაიმართა 12.000 უმუშევრის დემონსტრაცია. დემონსტრაცია დასრულდა მიტინგით, რომელზედაც გადაწყდა ყოველგვარი წინააღმდეგობა გაუწიონ დახმარების შემცირებას და უმუშევართა საარსებო დონეზე შეტევას (ადს).

მეზღვაურების ამბოხებამ დააჩქარა ინგლისის ფინანსიური კრახი.

ბერლინი, 21 სექტემბერი. გერმანიის პოლიტიკურ წრეებში შიშს გამოსთქვამენ იმის გამო, რომ ინგლისის ფინანსიური კრიზისი საეჭვოდ ხდის საფრანგეთის მინისტრების ჩამოსვლას ბერლინში, ვინაიდან ინგლისში შექმნილი მდგომარეობა გერმანიის საკითხებს ხდის მეორე ხარისხოვან საკითხებად.

გაზეთი „ცველფურ ბლატ"-ის გადმოცემით, განზრახულია პრემიერ-მინისტრების, საგარეო საქმეთა მინისტრების, ფინანსთა მინისტრების და საემისიო ბანკების ხელმძღვანელების კონფერენციის სასწრაფოდ მოწვევა პარიზში ან ლონდონში შექმნილი მდგომარეობის განსახილველად.

გაზეთი „ბერლინერ ცეიტუნგ ამ მიტაგ"-ი ლონდონიდან მიღებულ დეპეშაში აღნიშნავს, რომ ინგლისის ფინანსიური კრახის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს მეზღვაურთა გაფიცვა, რომელმაც უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა საზღვარგარედ და გააღრმავა ფინანსიურ ბაზრებზე ინგლისის ბირჟისადმი უნდობლობა (ადს).

გაურბიან ინგლისურ სტერლინგს.

ბერლინი, 21 სექტემბერი. დანციგის სენატმა გამოსცა განკარგულება, რომლის თანახმად სწყდება დღემდე არსებული კავშირი თავისუფალ ქალაქ დანციგის ვალიუტასა და ინგლისურ სტერლინგს შორის (ადს).

ამსტერდამის ბირჟა 21 სექტემბერს დახურული იყო.

ბერლინი, 21 სექტემბერი. როგორც ამსტერდამიდან იუწყებიან, ფინანსთა მინისტრის განკარგულებით, ამსტერდამის ბირჟა დღეს, 21 სექტემბერს, დახურულია (ადს)

ითხოვენ შველას.

პარიზი, 21 სექტემბერი. გაზეთების გადმოცემით, მთავრობა, ინგლისის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ოქროს სტანდარტის გაუქმების შესახებ, იხილავს საჭირო სასწრაფო ღონისძიებებს. რაიმე გარკვეული გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული. „ჟურნალ"-ის ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ უკანასკნელი დღეების განმავლობაში ინგლისმა დაიწყო მოლაპარაკება საფრანგეთისა და ამერიკასთან, ამასთან ლონდონში იმედი აქვთ, რომ მათგან მიიღებენ სასწრაფო დახმარებას როგორც კრედიტებით, ისე სხვა ღონისძიებათა გზით (ადს).

არევ-დარევა იაპონიის ბირჟებზე.

ტოკიო, 21 სექტემბერი. მთავრობის დადგენილებამ ოქროს სტანდარტის გაუქმების შესახებ დიდი არევ-დარევა გამოიწვია იაპონიის ბირჟებზე. ტოკიოში ფასიანი ქაღალდების ფასი დაეცა 6-ნახევარ—15 იენით. ბირჟა დაკეტილია. დაიხურა აგრეთვე ბირჟები ოსაკაში და კობეში. ზოგიერთი გამოჩენილი საქმიანი წრეები აღნიშნავენ, რომ იაპონიამ უნდა მიბაძოს ინგლისის მაგალითს (ადს).

ოქროს მარაგი იმ დონეზე ნაკლებია, რომელიც უზრუნველჰყოფს მის პარიტეტს

ლონდონი, 21 სექტემბერი. ინგლისის მთავრობის გადაწყვეტილება ოქროს პარიტეტის გაუქმების შესახებ **გამოწვეულია ოქროს კატასტროფიული მდგომარეობით. ოქროს მარაგი ამ უკანასკნელი დღეების განმავლობაში განსაკუთრებით შემცირდა. 18 სექტემბერს უცხოეთის ბანკების მიერ გატანილ იქნა 195 მილიონი გირვანქა სტერლინგი ოქრო და სხვა ფასიანი ქაღალდები.** 20 და 21 სექტემბერს ბირჟა დაკეტილი იყო, მაგრამ განუწყვეტლივ მოდიოდა მოთხოვნები ოქროს გატანის შესახებ.

ოქროს მარაგის საერთო თანხა 130 მილიონ გირვ. სტერლინგამდე შემცირდა და იგი იმ დონეზე ნაკლებია, რომელიც უზრუნველჰყოფს მის პარიტეტს. ოფიციალურ წრეებში ცდილობენ ახსნან ინგლისის ფინანსიური კრიზისი მსოფლიო ფულის ბაზრის საერთო არევ-დარევით. მაგრამ უდავოა, რომ ამ საქმეში უდიდესი როლი ითამაშა ინგლისის კაპიტალის საზღვარგარეთ გატანამ, ამ ქვეყანაში არსებულ მძიმე პოლიტიკურ მდგომარეობის გამო. (ადს).

ფინანსიურ კატასტროფის ირგვლივ.

ლონდონი, 21 სექტემბერი. მთავრობის დადგენილებით 21 სექტემბერს ბირჟის დაკეტვა არაჩვეულებრივი მოვლენაა ომის დაწყებიდან. ეს ღონისძიება გამოწვეული იყო ოქროს გატანის დაუშვებლობის აუცილებლობით 21 სექტემბრის განმავლობაში, სანამ ორივე პალატა არ მიიღებს საგანგებო კანონპროექტს, რომლის ასე სასწრაფო წესით მიღება ორივე პალატის მიერ საპარლამენტო პროცედურის ყველა საფეხურების დაცვით, სინამდვილეში ნიშნავს მთავრობის საგანგებო დეკრეტის ფორმალურ დამტკიცებას (ადს).

დაღუპვის გზაზე მდგომ კაპიტალიზმის მკურნალი

ბერლინი, 21 სექტემბერი. „ფორვერტს"-ის საღამოს გამოცემაში მოთავსებულია ჰილფერდინგის წერილი, რომელშიაც იგი გამოდის დაღუპვის გზაზე მდგომ კაპიტალიზმის მკურნალის ჩვეულ როლში. ჰილფერდინგი აცხადებს, რომ **ჯერ კიდევ არ შეიძლება ინგლისის ფინანსიური კრახის შედეგების შეფასება.** „ძნელია ამ ჟამად იმის წინასწარმეტყველება, — სწერს ჰილფერდინგი, — შესძლებს თუ არა ინგლისი თავი დააღწიოს თავის ღონისძიებათა ისეთ შედეგებს, რომლებიც განიცადა გერმანიამ, როდესაც ის ასეთივე მდგომარეობაში ჩავარდა".

ჰილფერდინგი ურჩევს ამერიკის და საფრანგეთის საემისიო ბანკებს — ეხლავე გამოუშვან ბაზარზე თავიანთ ოქროს მარაგის დიდი რაოდენობა, რომ არ დაუშვან ინგლისის კრიზისის გაფართოება ამერიკასა და საფრანგეთზე.

ჰილფერდინგი თავს ინუგეშებს იმით, რომ ინგლისის ფინანსიური კრიზისის შედეგად, რეპარაციების საკითხი, აგრეთვე გერმანიის ფინანსიური კრიზისი არ წარმოადგენენ მარტო გერმანიის საკითხებს და **ისინი ხდებიან იმ საერთაშორისო საკრედიტო კრიზისის ნაწილად, რომელიც საჭიროებს დაუყოვნებლივ გადაჭრას.**

ჰილფერდინგი ამასთანავე აფრთხილებს კაპიტალისტებს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში „ყოველ ქვეყანაში წარმოიშვება გაუგონარი სოციალური და პოლიტიკური გართულებანი". (ადს).

ინგლისელი მეზღვაურები მტკიცედ იცავენ თავიანთ მოთხოვნებს

ლონდონი, 21 სექტემბერი. მეზღვაურთა საგრძნობი ჯგუფები პროტესტს აცხადებენ ინდივიდუალურ განცხადებათა განხილვის წესით ჯამაგირის დაკლების საკითხის გადასინჯვის წინააღმდეგ და მოითხოვენ მთელი საკითხის საერთო გადასინჯვას. დაუყონებლივ, გემების თავიანთ ადგილას დაბრუნების შემდეგ, მეზღვაურები ნაპირზე გადმოუშვეს. გაფიცვის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა „დეილი უორკერ"-ის კორესპონდენტთან საუბრის დროს განაცხადა, რომ თუ საზღვაო სამინისტრო განიზრახავს რაიმე სისულელეს, მას მთელ ფლოტთან ექნება საქმე. თუ ისინი მოინდომებენ შეამცირონ განაკვეთები, მათ მოუხდებათ მთელი ფლოტის დაქუცმაცება, ვინაიდან როცა ჩვენ შევხვდებით ხმელთა შუა ზღვის ფლოტის მეზღვაურებს, ისინი შემოგვიერთდებიან და ჩვენ ყველანი გავიფიცებით. ჩვენ არაფერს დავსთმობთ იმ მოთხოვნებიდან, რომლებიც ჩვენს მანიფესტშია ჩამოთვლილი, თუ განაკვეთებს შეამცირებენ, ჩვენ უარს ვიტყვით სამსახურზე. მეზღვაურები ხელიდან-ხელში იტაცებენ „დეილი უორკერს"-ს და ყურადღებას არ აქცევენ საზღვაო პოლიციას, რომელიც ამას ხედავს. (ადს).

რა ხდება ჩინეთში

იაპონიის ჯარი ბეიპინისაკენ მიიწევს.

შანხაი, 21 სექტემბერი. თუმცა მუკდენი მთლიანად დაკავებულია იაპონიის ჯარის მიერ, **ბრძოლა ჩინეთისა და იაპონიის ჯარებს შორის მაინც გრძელდება.** დაკავებულია კუანჩენცზი — აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის და ანდინის საბოლოო პუნქტი, აგრეთვე ინინოუ — კორეის საზღვარზე. ჩინეთის პოლიცია და სამხედრო ნაწილები განიარაღებულია. **იაპონელებმა ხელთ იგდეს 2 პატარა სამხედრო გემი და სამხედრო მასალის დიდძალი მარაგი.** ქვანანტორის მუშათა შორის მოსალოდნელ აჯანყების წინააღმდეგ მიღებულია მკაცრი ზომები.

იაპონიის სამხედრო ძალა ბეიპინისაკენ მიიწევს მუკდენის გზით. მიუხედავად იაპონიის ცდისა — შეამციროს გამოსვლის მნიშვნელობა, **მთელი სამხრეთ მანჯურია ნამდვილად დაკავებულია იაპონიის ჯარის მიერ.** ჩინეთის ოფიციალური წრეები კატეგორიულად ადასტურებენ, რომ ჩინეთის მხრით არავითარ პროვოკაციას არ ჰქონია ადგილი და რომ იაპონელებმა დაანგრიეს სამხრეთ მანჯურიის რკინის გზის ნაწილი, ხოლო ბრალი შემდეგ ამ საქმეში ჩინელებს დასდვეს.

სნივედხრდაამჯ ტ-ჯუჩ-ძუვ ოზ ვო უ

ნანკინიდან მიღებული ცნობებით, ნანკინის მთავრობის მინისტრ **ვან-ჩენ-ტინს** იაპონელების მიერ სამხრეთ მანჯურიის ოკუპაციის გამო, განზრახვა აქვს მიმართოს ერთა ლიგას, აგრეთვე ყველა იმ სახელმწიფოებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს კელოგის პაქტს (ადს).

ჩინეთის საზოგადოებრიობა მოითხოვს „ტრაგიკული შეცდომის" გამოსწორებას.

შანხაი, 21 სექტემბერი. საგარეო საქმეთა მინისტრმა ენერგიული პროტესტი განუცხადა ნანკინში მყოფ იაპონელ ელჩს, ამასთან მოითხოვა სამხედრო მოქმედების შეწყვეტა და ჯარისკაცების დაუყოვნებლივ გაყვანა. საგარეო საქმეთა მინისტრი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ტოკიომ განკარგულება გასცა შემდგომი შეტევის შეჩერების შესახებ.

ინგლისის პრესა მწუხარებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ მსგავსი მოქმედება უფრო ადრე არ ყოფილა დაწყებული ერთად ამერიკის, ინგლისის და იაპონიის მიერ.

ზოგიერთი ჩინური წრეები დაჟინებით მოითხოვენ, რომ შეტანილ იქნას რადიკალური შესწორება ნანკინის მთავრობის მიერ დაშვებულ „ტრაგიკულ შეცდომაში", რაც გამოიხატება დიპლომატიურ ურთიერთობის გაწყვეტაში საბჭოთა კავშირთან (ადს).

მანჯურიაში შეჭრა გულდასმით მზადდებოდა.

ბეიპინი, 21 სექტემბერი. როგორც ხარბინიდან იუწყებიან, იაპონიის შეჭრა ჩინეთში **წარმოადგენს გულდასმით შედგენილ პოლიტიკურ და სტრატეგიულ გეგმის განხორციელებას.** მუკდენში იაპონიის ხელისუფლებამ განაიარაღა 20.000 ჩინელი ჯარისკაცი (ადს).

პარიზი, 21 სექტემბერი. „პტი პარიზიენ"-ის შანხაელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ყველა ოპერაციები იაპონელების მიერ ჩატარებულია გასაკვირველი სიზუსტით, რაც ადასტურებს იმას, რომ იაპონიის გენერალური შტაბი დიდი ხანია მზად იყო ყოველგვარი შესაძლებლობისათვის.

საფრანგეთის პრესა თავდაჭერილობას იჩენს მომხდარი ამბების გაშუქებაში და ამას ხსნის იმით, რომ იაპონიისა და ჩინეთის ცნობები ერთი-მეორეს ეწინააღმდეგებიან. ამასთან, იგი დიდ მნიშვნელობას აძლევს იაპონიის მშვიდობიან განცხადებებს (ადს).

იაპონელები თავს დაესხნენ ჩინელთა ბანაკს.

ბეიპინი, 21 სექტემბერი. ხარბინიდან მიღებული ცნობებით, **იაპონიის ჯარის ნაწილებმა იერიში მიიტანეს გირინის ახლო მდებარე ჩინეთის სამხედრო ბანაკზე.** მათ ბანაკს ტყვიამფრქვევები დაუშინეს. ჩინეთის ჯარი დიდათ დაზარალდა (ადს).

მანჯურიაში მყოფი იაპონელი სათადარიგო ჯარისკაცები მობილიზაციის წესით გაიწვიეს.

ბეიპინი, 21 სექტემბერი. ხარბინიდან მიღებული ცნობებით, მანჯურიაში მცხოვრები იაპონიის სათადარიგო ჯარისკაცები მობილიზაციის წესით ჯარში გაიწვიეს (ადს).

„იაპონიის გამოსვლა—ომის აქტია"

ბეიპინი, 21 სექტემბერი. უცხოელ ჟურნალისტებთან, მათ შორის საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან, საუბრის დროს **ჩან-სუე-ლიანმა** განაცხადა: „იაპონიის მოულოდნელი გამოსვლა წარმოადგენს ომის აქტს" (ადს).

იაპონია სთხოვს ჩინეთს დაიცვას მისი წარმომადგენლობა.

ბეიპინი, 21 სექტემბერი. ის თათბირი, რომელიც იაპონიის წარმომადგენლებსა და ჩან-სუე-ლიანს შორის უნდა მომხდარიყო, არ შედგა. იაპონიის წარმომადგენლებმა ინახულეს ჩან-სუე-ლიანი მხოლოდ იმიტომ, რომ ეთხოვათ მისთვის ზომების მიღება ბეიპინსა და ტიან-ცზინში მცხოვრებ იაპონიის რეზიდენტების დასაცავად. შიდლდამოში იაპონელებმა გადმოსხეს დესანტი (ადს).

ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთ. შტ. აზრით, იაპონიის გამოსვლა „შინაური საქმეა".

შანხაი, 21 სექტემბერი. ჩრდილოეთ-ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებამ, რომ კელოგის პაქტი არ არის დარღვეული იაპონიის გამოსვლით და რომ „ვაშინგტონს იმედი აქვს იაპონია-ჩინეთის უთანხმოების მოგვარებისა გარედან დაუხმარებლად"-ო, — მეტად ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩინურ წრეებზე (ადს).

ჯარებს თანდათან თავს უყრიან.

ტოკიო, 21 სექტემბერი. **მანჯურიაში კორეიდან ჩამოვიდა იაპონიის ჯარის ნაწილების ავანგარდი. მუკდენ-ხაილუნის რკინის გზაზე მოძრაობა შეწყვეტილია.** ფუშუნში განაიარაღეს 2.000 ჩინელი ჯარისკაცი (ადს).

მანჯურიაში აძლიერებენ იაპონიის ჯარებს.

შანხაი, 21 სექტემბერი. იაპონელთა წყაროებიდან გამომდინარე ცნობები ამტკიცებენ, რომ გირინის ჯარი თავს იყრის ხარბინის მახლობლად და ემზადება ჩან-ჩუნზე შესატევად. **გრძელდება მანჯურიაში მყოფ იაპონიის ჯარის გაძლიერება.** მუკდენში მაღაზიები დაკეტილია. ქუჩები თითქმის სულ დაცალიერებულია. ქალაქის მმართველ-გამგეობა იაპონიის მუნიციპალიტეტის ხელშია. **გომინდანი მოუწოდებს ჩინეთს—მიიღოს იაპონიის გამოწვევა და დაიბრუნოს ძალით წართმეული მანჯურიის ქალაქები.** მთავრობამ გამოუშვა სამი მოწოდება, ერთი—მეგობრულ ურთიერთობაში მყოფ სახელმწიფოებისადმი, მეორე—ჩინეთის ხალხისადმი, მესამე—კანტონისადმი (ადს).

ამზადებენ მოსამსახურეთა შტატს.

ტოკიო, 21 სექტემბერი. ჩან-ჩუნიდან მიღებული ცნობებით, სიპინგაი-ტასნან ხაზზე, რომლის დაკავებაც განზრახული აქვთ იაპონელებს, გაგზავნილი იქნება 130 მოხელე (ადს).

ტელეგრაფო კავშირი ჩან-ჩუნ—ხარბინს შუა აღდგენილია.

ტოკიო, 21 სექტემბერი. ჩან-ჩუნ—ხარბინს შორის აღდგენილია სატელეგრაფო კავშირი. ჩან-ჩუნში, ორი დღის შეჩერების შემდეგ, ხარბინიდან პირველად მოვიდა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის მატარებელი (ადს).

გირინისაკენ გზავნიან იაპონიის დიდძალ ჯარს.

ტოკიო, 21 სექტემბერი. გაზეთები აქვეყნებენ შემდეგ ცნობებს მანჯურიის მდგომარეობის შესახებ: მუკდენში მოფრინდნენ მზვერავი ჰაეროპლანები. მუკდენის დასავლეთით, ბეპინ-მუკდენის ხაზზე მათ სროლა აუტეხეს ჩინეთის სამხედრო ეშელონებს. ეშელონების წინააღმდეგ იგზავნება ყუმბარების მზიდავები.

ჩან-ჩუნ-გირინის ხაზზე მოხდა იაპონიისა და ჩინეთის ჯარების შეტაკება. ჩინეთის ჯარი სრულიად განადგურებულ იქნა. იაპონელთა სამი ეშელონი, რომლებსაც ჯავშნიანი მატარებელი იცავდა, გაემართა გირინისაკენ ქალაქის ასაღებად. გირინის დაკავების შემდეგ, ჩან-ჩუნ—გირინის გზის დროებითი მმართველ-გამგეობა გადავა იაპონელთა ხელში. როგორც მუკდენიდან იუწყებიან, ჩან-ჩუნიდან გამოსული ჩინეთის მთავარი ძალა წავიდა ბამინ-ჩენის მიმართულებით (ადს).

შესაძლოა მოხდეს საპარლამენტო არჩევნები

ლონდონი, 21 სექტემბერი. ფინანსიური კრიზისის გამწვავების გამო, კონსერვატიულმა პრესამ სრულიად შესწყვიტა კამპანია არჩევნების საჩქაროდ მოხდენის შესახებ. ლეიბორისტული და ლიბერალური პრესა აცხადებს, რომ მთავრობის გადაწყვეტილება ოქროს პარიტეტის გაუქმების შესახებ წარმოადგენს უაღრესად დიდი მნიშვნელობის ნაბიჯს და შესაძლებლად ხდის ამჟამად საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას (ადს).

ინგლისის ბანკმა გაადიდა გასანაღდებელი განაკვეთი.

ლონდონი, 21 სექტემბერი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ინგლისის ბანკმა გაადიდა გასანაღდებელი განაკვეთი 6 პროცენტამდე, ნაცვლად წინად არსებულ ოთხნახევარი პროცენტისა (ადს).

პარიზში და ბრიუსელში დაიხურა ბირჟები.

პარიზი, 21 სექტემბერი. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ 21 სექტემბერს არ სწარმოებდა საფონდო ბირჟის ოფიციალური კოტიროვკა. ბირჟა დახურული იყო აგრეთვე ბრიუსელშიც (ადს).

ინგლისის მთავრობა აუქმებს „ოქროს სტანდარტის მოქმედებას"

ლონდონი, 21 სექტემბერი. რეიტერის სააგენტო იუწყება: „გამოქვეყნდა ოფიციალური ცნობა: **მთავრობამ საჭიროდ სცნო შესცვალოს ოქროს სტადარტის მოქმედება (ოქროს სტანდარტი გულისხმობდა ვალ**დებულებას, რომ ოქრო გაცემული ყოფილიყო საგარეო ვაჭრობის ოპერაციების დასაფარავად).

შუა ივლისიდან კაპიტალის გატანა ლონდონიდან **უდრის 200 მილიონ გირვანქა სტერლინგს.** აღნიშნული გადაწყვეტილება არ ეხება ინგლისის მთავრობის და ინგლისის ბანკის იმ ვალდებულებებს, რომლებითაც გადასახდელის გასტუმრება სწარმოებს უცხოეთის ვალიუტით

ბანკები იღებენ ზომებს იმისათვის, რომ შეზღუდონ უცხოეთის ვალიუტის შესყიდვა ინგლისის მოქალაქეების მიერ. საჭიროების დროს მთავრობა უყოყმანოთ მიიღებს შემდგომ ღონისძიებებს (ადს).

გავაძლიეროთ ბრძოლა გარღვევების გამოსასწორებლად

საგანგაშო თვის უკანასკნელი დეკადა — გადამწყვეტი დეკადაა

შაქრის ქარხნის მშენებლობის გეგმა იშლება

შაქრის ქარხანა გეგმის მიხედვით მზად უნდა იყოს ექსპლოატაციისათვის 1932 წ. ზაფხულში.

თუ მუშაობის ახლანდელ ტემპებს ბოლომდის გაჰყვა მშენებლობის ხელმძღვანელობა, მაშინ ეს გეგმა უეჭველად ჩაიშლება.

შაქრის ქარხნის მშენებლობაში ადგილი აქვს სამარცხვინო ჩამორჩენას.

მშენებლობის გეგმა პირველ სექტემბრისათვის, შესრულებული იყო 1931 წლის სააღმშენებლო გეგმის მხოლოდ 19,02 პროცენტით.

მშენებლობა სათანადოთ უზრუნველყოფილია სააღმშენებლო მასალით, მაგრამ მათ ვერ იყენებენ სათანადოთ. გარღვევები უმთავრესად გამოწვეულია მშენებლობის ხელმძღვანელობის სისუსტით და ახალ მეთოდებზე მუშაობის გარდაუქმნელობით.

მშენებლობა განიცდის მუშა ხელის ნაკლებობას.

ხელმძღვანელობა, მართალია, შეეცადა მუშა-ხელის შეგროვებას, მაგრამ ეს საქმე იმდენად უგერგილოდ ჩატარდა, რომ მას რაიმე დადებითი შედეგი არ მოჰყოლია.

შაქარმშენის ხელმძღვანელობა არამც თუ ახერხებს კოლმეურნეობებიდან მუშა-ხელის მოზიდვას, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში, ვერ იყენებს მის განკარგულებაში მყოფ მუშა-ხელსაც.

საჭიროა სათანადო ორგანოები ჩაერიონ შაქრის ქარხნის მშენებლობაში, რომ გარღვევები უახლოეს ხანში ბოლშევიკურად გამოსწორდეს.

გვასალია.

მეტი ყურადღება სახურავი ფიქალის დამუშავებას

ყვარელის რაიონში, სოფ. საბუეს მიდამოებში, ინტოშის და სეფიორის ხეობებში, სახურავი ფიქალის დამუშავება დაიწყო ორი წლის წინეთ, მაგრამ მუშაობა მეტად სუსტად მიმდინარეობს.

მიმდინარე წლის აპრილიდან ფიქალის დამუშავება საქმშენტრესტიდან გადავიდა ა-კ მასალმშენის გამგებლობაში. ამ უკანასკნელმა შედარებით გააფართოვა მუშაობა, მაგრამ საჭირო გარდატეხა ჯერ მაინც არ მომხდარა.

ამჟამად სამუშაოებზე მუშაობს 400 მუშა, ამ ცოტა ხნის წინად იყო 150, ხოლო გეგმით საჭიროა 2000 კაცი.

მუშა-ხელის ნაკლებობა გავლენას ახდენს სამრეწველო-საფინანსო გეგმების შესრულებაზე. 1931 წლის გეგმა ითვალისწინებს 6.000 ტონის გამოშვებას. პირველ კვარტალში მოპოვებულ იქნა 383,5 ტონა, მეორეში — 50 ტონა, ნახევარი წლის განმავლობაში გეგმა შესრულებულ იქნა მხოლოდ 7,2 პროცენტით. ივლისის გეგმა შესრულებულია 3,3 პროცენტით, აგვისტოს გეგმა — 10-ზე მეტი პროცენტით. მუშაობის ტემპი სექტემბერში არ იძლევა მდგომარეობის განსაკუთრებული გაუმჯობესების საფუძველს.

ამ სამარცხვინო ჩამორჩენის მიზეზებია: მუშა-ხელის დიდი ნაკლებობა, მექანიზაციის თითქმის სრული გაურკვევლობა, მასალების განაწილების უუნარობა, ხელმძღვანელობის დაუშვებელი სისუსტე, მუშათა მასების აქტივობის სათავეში ჩადგომის და ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის მათი დარაზმვის უუნარობა.

აქ არ იცნობენ შრომის სოციალისტურ ფორმებს. სოცშეჯიბრება არ არის შემოღებული, დამკვრელობას არ აქეზებენ. თუმცა ამ მიმართულებით ბოლო დროს ზოგიერთი ნაბიჯი გადადგმულია, მაგრამ საქმეს ფორმალურად უდგებიან, ცოცხალი მუშაობა არ სჩანს.

მუშა-ხელის ცვალებადობას მეტად ფართო ხასიათი აქვს, მუშების შეგროვება მოწესრიგებულად არ სწარმოებს; მუშების შეგროვების შესახებ ხელშეკრ. ჯერ კიდევ არ არის დადებული კოლმეურნეობებთან. ყვარელის რაიაღმასკომთან დაარსებულია სპეციალური კომისია, რომელმაც უნდა შეაგროვოს 600 მუშა, მაგრამ ეს რაოდენობა მოთხოვნილებას ვერ დააკმაყოფილებს.

ამ ბოლო დრომდე არ ჩაუტარებიათ ამხ. სტალინის სიტყვის ასე თუ ისე სერიოზული დამუშავება და არ სწარმოებდა რაიმე მუშაობა ბელადის მითითებათა განსახორციელებლად.

ა-კ.მასალმშენმა მოაწყო ბუქსირი და იქ გაგზავნა პასუხისმგებელი მუშაკები. მუშაობა თითქო იწყება. ბუხჰალტერია და ანგარიშგება წესრიგში მოჰყავთ. შეძენილია სხვადასხვა მოწყობილობა ან იძენენ მას. სდგამენ ლოკომობილებს, რომლებიც ენერგიას მისცემენ პერფორატორებს. დაწყებულია დახერხვის კამპანია.

მუშების საზოგადოებრივი კვება და მათ სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურება სულ ბოლო დრომდე მეტად ცუდად იყო დაყენებული. ამით აიხსნება მუშა ხელის დიდი ცვალებადობა და სისტემატიური ჩამორჩენა გეგმის შესრულებაში. მდგომარეობა ამჟამად ცოტათი გაუმჯობესდა, მაგრამ დღემდე ცუდ პურს იძლევიან, სადილები დაბალი ხარისხისაა, თუმცა ხორცი უფრო გახშირდა, სასადილოებში ანტისანიტარიაა გამეფებული და სხვ.

საბინაო მშენებლობა თანდათან ფართოვდება. მიმდინარე წელს ბინების ასაშენებლად გადადებულია 148.000 მანეთი, მაგრამ ეს მეტად ცოტაა.

მუშებს შორის თითქმის არავითარი კულტმუშაობა არ წარმოებს. კინო-აპარატი აქ არასოდეს არ უნახავთ, დღემდე რადიოც არ ჰქონიათ.

თუ რა „მზრუნველობას" იჩენს ყვარელის კოოპერატივი, მუშების საჭიროებისადმი, სჩანს იქიდან, რომ ცენტრიდან მუშებისათვის გადადებულ საქონელს კოოპერატივი სხვებს აძლევდა. ახლა მოწყობილია დახურული კოოპერატივი, მაგრამ მომარაგება მაინც არ არის მოგვარებული.

ბოლოს, ტრანსპორტის შესახებ. სეფიორიდან თელავამდე, სადაც ფიქალი მიაქვთ, 33 კილომეტრია, ინტოშიდან — 25. გზების მდგომარეობა სავალალოა, უკვე მთელი წელიწადი საზღვერში დგას ორი ტვირთმზიდავი, რომელთა გამოყენება შეუძლებელია გზების უვარგისობის გამო. ფიქალს ურმებით ეზიდებიან, მაგრამ ურმები ცოტაა. ტონა ფიქალის მოზიდვა ჯდება 36 მან., იმ დროს, როცა ტონის თვითღირებულება სულ 189 მანეთს უდრის (გეგმით ტონის თვითღირებულება 208 მან.).

ჩვენმა ქვეყანამ უნდა მიიღოს 6.000 ტონა სახურავი ფიქალი.

დღემდე კახეთის სახურავი ფიქალის მდიდარი საბადოების (მრავალი მილ. ტონა) დამუშავებას ყურადღებას არ აქცევდნენ და ბევრი სათანადოდ არ აფასებდა ფიქალის მნიშვნელობას, თუმცა იგი მეტად საჭიროა, განსაკუთრებით ახლა, როგორც მასალა, რომელიც სწევს დეფიციტიური სახურავი რკინის მაგიერობას.

სამუშაოთა მდგომარეობა ფიქალის სამუშაოებზე მოითხოვს ა-კ. მასალმშენის, ა.-კ. სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს და ადგილობრივი ორგანიზაციების განსაკუთრებულ ყურადღებას. თუ მთელი მუშაობა გადაჭრით არ იქნება გარდაქმნილი, გეგმის შესრულება შეუძლებელი გახდება. მთავარია — მუშა-ხელის მოწესრიგებული შეგროვება, მუშების შენარჩუნება წარმოებაში, სამუშაოთა მექანიზაცია და მუშათა მასის სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. (ადს).

ქვა იკარგება ტრესტის დაუდევრობით

(საქ. კორესპ.)

ჭიათურის შავი-ქვის წარმოებაში დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლა სუსტია, რაც გამოწვეულია უმთავრესად ადმინისტრაციის დაუდევრობით და უყურადღებობით.

მღვიმევის სექციის დირექციამ, ჯერ კიდევ მარტში ასტეხა განგაში დანაკარგების წინააღმდეგ ზომების მისაღებად. მიუხედავად იმისა, რომ ტრესტის მართველობამ მღვიმევის მუშებისაგანაც მიიღო რამოდენიმე მომართვა და დადგენილება, დღემდე ყურადღება არ ექცევა დანაკარგებთან ბრძოლას.

ქარხანა № 27-ის, ესტაკადზე დაყრილი ქვა, ძირს სამაგრის უქონლობის გამო, ნიაღვრებმა წალეკა. ადმინისტრაციის დაუდევრობით ასე დაიკარგა 20.000 ფუთი გასარეცხი მადანი. ამ ჟამად ესტაკადზე ყრია 300.000 ფუთი გასარეცხი ქვა, რომელიც იჟლევა ძირს, საკმარისია პატარა წვიმა, რომ ეს ამოდენა ქვაც ნიაღვრებმა წაიღონ.

ამ მდგომარეობას ადგილობრივმა ორგანიზაციებმა, როგორც იქნა, მიაქციეს ყურადღება და მიუთითეს ტრესტს საჭირო ზომების მიღებაზე, მაგრამ დღემდე ტრესტი ამ მხრივ კვლავ უმოქმედობას იჩენს. აღნიშნული 300.000 ფუთი ქვა რომ გაირეცხოს, საჭიროა № 27 ქარხნის ამუშავება, რომელიც უმოქმედოთ დგას. რატომღაც ამ ქარხნის ამუშავება ტრესტს არ მიაჩნია მიზანშეწონილად.

ჩვენ ვეკითხებით ს.მ.უ.ს. და ტრესტის მმართველობას, 300.000 ფუთი ქვის დაკარგვა სჯობს, თუ ერთი თვით ქარხნის ამუშავება?

სენილი.



მუშა ქალი დაზგასთან

თექის ფაბრიკამ მდგომარეობა გამოასწორა

თექის ფაბრიკამ უკვე შესძლო მდგომარეობის გამოსწორება და იგი წარმატებით ფარავს განვლილი თვეების დავალიანებას. სექტემბრისათვის საწარმოო გეგმის თანახმად, ფაბრიკამ უნდა დაამზადოს 31.200 კილოგრამი პროდუქცია (თექა), მაგრამ ფაბრიკამ გაადიდა ეს გეგმა წარსული თვეების ჩამორჩენილობის ლიკვიდაციის მიზნით და დაისახა სექტემბერში 41.000 კილოგრამი პროდუქციის გამოშვება.

სექტემბრის ორ განვლილ დეკადაში ფაბრიკამ უკვე გამოუშვა 27.715 კილოგრამი პროდუქცია, ანუ ძველი ჩამორჩენილობის ლიკვიდაციის მხედველობაში მიუღებლად, თვიური საწარმოო დავალება მან უკვე შეასრულა 88,8 პროცენტით. შეხვედრი გეგმა კი 20 სექტემბრისათვის შესრულებული იყო 67,6 პროცენტით, ანუ 0,9 პროცენტის გადაჭარბებით.

სექტემბრის მეორე დეკადის განმავლობაში ფაბრიკამ საგრძნობლად გააუმჯობესა მუშაობა. მეორე დეკადაში ფაბრიკამ 1-ლ დეკადასთან შედარებით დაამზადა 277 კილოგრამით მეტი პროდუქცია.

ფეხსაცმელების მე-2 ფაბრიკა გეგმებს ასრულებს

ფეხსაცმელების მეორე ფაბრიკა დამაკმაყოფილებლად ასრულებს საწარმოო დავალებას. თვიური საწარმოო გეგმის თანახმად, სექტემბრის განმავლობაში ფაბრიკამ უნდა გამოუშვას 26.760 წყვილი ფეხსაცმელი. აქედან 1-ლ და მე-2 დეკადის განმავლობაში გამოშვებულია 18.442 წყვილი, ანუ თვის ბოლომდე კიდევ დარჩა გამოსაშვები 8.318 წყვილი სხვადასხვა ასორტიმენტის ფეხსაცმელი.

1-ლ დეკადის განმავლობაში ფაბრიკამ გამოუშვა 7.655 წყვილი ფეხსაცმელი, ხოლო მეორე დეკადაში მან უკვე შესძლო 10.787 წყვილი ფეხსაცმელის გამოშვება.

ორივე განვლილ დეკადაში თვიური საწარმოო დავალება ფაბრიკამ შეასრულა 68,9 პროცენტით, ანუ 2,2 პროცენტის გადაჭარბებით.

თუ ფაბრიკა არ დაიბრკოლეს ნედლი მასალის თავის დროზე მიუწოდებლობით, იგი პირნათლად შეასრულებს სექტემბრის საწარმოო გეგმას.

კასპის ცემენტის ქარხანა იბრძვის

კასპი, 22 სექტემბერი (საკ. კორ.) მეორე დეკადის უკანასკნელ დღეებში კასპის ცემენტის ქარხნის მუშებმა გააძლიერეს ტემპები. 20 სექტემბერს ქარხანაში გამოიწვა 3194 კასრი ცემენტი, ანუ დღიური დავალება შესრულებული იქნა 128 პროცენტით, დაიფქვა 3360 კასრი, გეგმა შესრულდა 106 პროც.

მეორე დეკადის ბოლო რიცხვებში გაუმჯობესდა ვაგონების მოწოდების საქმეც. ასე მაგალითად, 20 სექტემბერს გაიგზავნა 3862 კასრი, ე. ი. დღიური დავალება შესრულებული იქნა 122 პროც.

მთელ მეორე დეკადაში გეგმის შესრულება ასეთ სურათს იძლევა: გამოიწვა 30.786 კასრი ცემენტი. ანუ დეკადური გეგმა შესრულებული იქნა 128 პროც., დაიფქვა—21.809 კასრი, რაც უდრის დეკადური გეგმის 69 პროც., გაიგზავნა—22.285 კასრი — 70 პროც.

ცემენტის ქარხნის მუშებმა პირობა დასდვეს, რომ კიდევ უფრო გააძლიერებენ ტემპებს და ჩამორჩენას დაფქვის დარგში გამოასწორებენ მესამე დეკადაში.

საქართველოს ეროვნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

განიარაღების საკითხი

და ერთა ლიგა

ლიგის არაწევრების მიწვევა მესამე კომისიაში.

ჟენევა, 21 სექტემბერი.. ერთა ლიგის საბჭოს პლენუმის პრეზიდიუმმა სასწრაფო სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება, საკითხის სასწრაფო ხასიათის გამო, დაავალოს თავმჯდომარე ტიტულესკუს — დეპეშით მოიწვიოს მესამე კომისიის (განიარაღების საკითხებზე) მუშაობაში დაუყოვნებლივ მონაწილეობის მისაღებად ერთა ლიგის არაწევრები, რომელნიც მოწვეულნი არიან განიარაღების კონფერენციაზე, ე. ი. საბჭოთა კავშირი, ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატები, თურქეთი, არგენტინა, ავღანისტანი, ბრაზილია, კოსტარიკა, ეკვადორი და ეგვიპტე. ყველა ეს ქვეყნები პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით მოწვეულნი არიან მიიღონ მონაწილეობა მესამე კომისიის მუშაობაში სათათბირო ხმის უფლებით (ადს).

ამხ. ლიტვინოვის პასუხი

ერთა ლიგის პლენუმს

მოსკოვი, 21 სექტემბერი. იმ ცნობების მიხედვით, რომლებიც საკავშირო დეპეშათა სააგენტოს მოეპოვება, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ლიტვინოვმა შემდეგი პასუხი გაუგზავნა ერთა ლიგის პლენუმს:

„გმადლობთ თავაზიანი სატელეგრაფო ცნობისათვის მესამე კომისიის გადაწყვეტილების შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი მიწვეულ იქნას სათათბირო ხმით შეიარაღების დროებითი შეჩერების საკითხის განხილვაში.

არ შევეხები მოწვევის სხვა პირობებს და დავკმაყოფილდები მითითებით ვადის სიმცირეზე, რაც საბჭოთა მთავრობას საშუალებას არ აძლევს ყოველ შემთხვევაში გაგზავნოს თავისი წარმომადგენელი ჟენევაში. მაგრამ საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ საბჭოთა მთავრობა მზადაა მხარი დაუჭიროს ყოველგვარ წინადადებას შეიარაღების შემცირების დარგში და მზად იქნებოდა მიმხრობოდა იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის წინადადებას იმ პირობით, თუ იგი სავალდებულო ფორმით მიღებული იქნება ყველა ქვეყნების მიერ, გავრცელდება შეიარაღების ყოველგვარ სახეზე და თუ ვალდებულებაზე ხელისმომწერნი დაადასტურებენ, რომ იგი არავითარ შემთხვევაში არ ცვლის და დღის წესრიგიდან არ ხსნის განიარაღების ან უკვე არსებულ შეიარაღების მთავარ საკითხს, რომელიც უნდა გადაიჭრას სულ უახლოეს დროში“. (ადს).

შეერთებული შტატები და თურქეთი დასთანხმდნენ მოწვევაზე

ჟენევა, 21 სექტემბერი. ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს შვეიცარიაში ვილსონს ვაშინგტონიდან მოუვიდა რწმუნება—მონაწილეობა მიიღოს ერთა ლიგის მესამე კომისიაში (განიარაღების კომისია) „შეიარაღებაში დროებითი ზავის ჩამოგდების“—საკითხის განხილვის დროს (ადს).

ანკარა, 21 სექტემბერი. როგორც თურქეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, თურქეთის მთავრობას მოუვიდა მოწვევა მიიღოს მონაწილეობა იმ კამათში, რომელიც გაიმართება მესამე კომისიაში (ჟენევა). წარმომადგენლად თურქეთის მთავრობამ დანიშნა თავისი ელჩი ბერნში (ადს).

უსასტიკესი კონტროლი მოსავლის განაწილებაზე კოლმეურნეობებში

მოსკოვი, 21 სექტემბერი. მოსავლის განაწილების პრაქტიკის შემოწმების შედეგად, კოლმეურნეობათა ცენტრის გამგეობა აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის მიწსახკომისა და კოლმეურნეობათა ცენტრის 1931 წლის 12 ივლისის დადგენილება მოსავლის სანიმუშო განაწილების შესახებ კოლმეურნეობათა უდიდეს ნაწილში არ არის მიყვანილი თითეულ კოლმეურნეობამდე, ხოლო ამ დადგენილების დამუშავება ბევრ შემთხვევაში ფორმალურად მიმდინარეობს. ამასთან დაკავშირებით, ბევრ კოლმეურნეობაში არღვევენ იმ დადგენილებას, რომელიც ავალებს სამხრეთის რაიონების კოლმეურნეობებს 1-ლ ოქტომბრამდე მაინც განსაზღვრონ კოლმეურნეთა შორის გასანაწილებელი მოსავალი, ხოლო დანარჩენი რაიონების კოლმეურნეობებს—ეს საქმე დაამთავრონ 1-ლ ნოემბრამდე მაინც. მიუხედავად სავსებით გარკვეული მითითებისა, რომ შემოსავალი ნაწილდებოდეს მხოლოდ შრომა-დღეების მიხედვით და თვითეულ კოლმეურნის მიერ შესრულებულ მუშაობის რაოდენობასა და ხარისხთან შეფარდებით, — ბევრ კოლმეურნეობაში ადგილი აქვს ამ მითითებათა პირდაპირი დარღვევის შემთხვევებს და მთავრობის მიერ დამტკიცებულ დადგენილების დამახინჯებას.

ამ მითითებათა დარღვევის და ხსენებული დადგენილების დამახინჯების აღსაკვეთად, საბჭოთა კავშირის და რ. ს. ფ. ს. რ-კის საკოლმეურნეო ცენტრების გამგეობებმა დაადგინეს: გაუქმდეს დადგენილება ინზენის რაიონის (შუა ვოლგა) კოლმეურნეობის „წითელი სამკალი“-სა, რომელმაც დაარიგა პურის განაწილება სულობრივი პრინციპის მიხედვით და თითეული კოლმეურნისათვის პურის გაცემის ნორმად 19 ფუთი, გამომუშავებულ შრომა-დღეების აღურიცხველად. გაუქმდეს ინსტრუქციები ბაიტუგანის რაიკოლმეურნკავშირისა (შუა ვოლგა), რომელმაც სურსათის გაცემის საშუალო ნორმა დააწესა შრომა-დღეების აღურიცხავად. გაუქმდეს დადგენილება კოლმეურნეობების —„შრომის დროშა“-ს (ტატიშჩევის რაიონი) და „ბოლშევიკ“-ის (ბალანდის რაიონი, ქვემო ვოლგა), რომლებმაც მარცვლეულის სასურსათო ნორმად დააწესეს სამი ცენტნერი თითო სულზე. შრომა დღეების რაოდენობის დამოუკიდებლად. გაუქმდეს ჩრდილო კავკასიის რაიკოლმეურნკავშირის მიერ დაწესებული 8,5 პროცენტის გადარიცხვა კოლმეურნეობის შემოსავლიდან კოლმეურნეობის საბრუნავი საშუალებებისათვის.

საბჭოთა კავშირის და რ. ს. ფ. ს. რ-კის საკოლმეურნეო ცენტრებს საჭიროდ მიაჩნიათ აღნიშნონ, რომ სასურსათო მარცვლეულის უმაღლესი ოდენობის განსაზღვრისას იმ კოლმეურნეთათვის, რომელთაც გამოიმუშავეს შრომა-დღეების ყველაზე მეტი რაოდენობა, ადგილი აქვს ისეთ ხასიათის დამახინჯებას, როცა საუკეთესო დამკვრელ კოლმეურნეთათვის წესდება სურსათის ისეთი ოდენობა, რომელიც მათ, სურსათის და შემოსავლის მისაცემ რაოდენობის მხრით, ათანაბრებს უფრო ნაკლებად და ცუდათ მომუშავე კოლმეურნეებთან და, ამგვარად, საუკეთესო კოლმეურნეების წაქეზების ნაცვლად, წესდება გათანაბრება.

დაევალოთ რესპუბლიკანურ, სამხარეო, საოლქო და რაიონულ საკოლმეურნეო კავშირებს და კოლმეურნეობათა გამგეობებს—იმ კოლმეურნეთათვის სასურსათო მარცვლეულის უმაღლესი ოდენობის განსაზღვრისას, რომელთაც გამოიმუშავეს შრომადღეების ყველაზე მეტი რაოდენობა, იხელმძღვანელონ იმით, რომ იმ სასურსათო მარცვლეულის ოდენობა, რასაც ღებულობენ შრომა-დღეების მეტი რაოდენობის გამომმუშავებელი კოლმეურნენი, იყოს მეტი იმ კოლმეურნეებთან შედარებით, რომელნიც ნაკლებს და უფრო ცუდათ მუშაობდნენ და რომელთაც გამოიმუშავეს ნაკლები შრომადღეები.

მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში იმ 2 პროცენტიდან, რომელიც გადაირიცხება განსაზოგადოებულ ქონებისათვის გადასაცემად, განსაზოგადოებული პროდუქტიული პირუტყვის ღირებულების თვითეულ მანეთზე გაიცეს ორჯერ მეტი, ვიდრე დანარჩენი ქონების ღირებულების თვითეულ მანეთზე. არა მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში 2 პროცენტის განაწილების დროს ასეთივე წესი იქნას გამოყენებული როგორც პროდუქტიულ, ისე განსაზოგადოებულ მუშა-პირუტყვის მიმართ.

დაევალოთ რესპუბლიკანურ, სამხარეო, საოლქო და რაიონულ საკოლმეურნეო ცენტრების გამგეობებს—დააწესონ უსასტიკესი კონტროლი კოლმეურნეობებში მოსავლის განაწილების მიმდინარეობაზე.

საბჭოთა ფლოტილიის ბრწყინვალე ლაშქრობა

ლენინგრადი, 22 სექტემბერი. მიღებულია რადიოცნობა ფლოტილიის ბრწყინვალე რეისის შესახებ პოლიარულ ზღვაში.. სამრეწველო ლაშქრობას ამ წელიწადში განსაკუთრებით ბრწყინვალე შედეგი მოჰყვა. 4 გემისაგან შემდგარმა ფლოტილიამ, რომელიც ნადირობდა თეთრ დათვზე, „მორჟზე“ და ზღვის კურდღელზე, შემოიარა ისეთ რაიონს, რომლის წრეის რადიუსი დაახლოვებით 10.000 კილომეტრს უდრის.

თითქმის სამი თვის განმავლობაში პოლიარულ ზღვაში ყოფნის დროს, ფლოტილიამ გამოიკვლია ფრანციოსიფის მიწის მთელ არქიპელაგზე არსებულ დღემდე უცნობ ზღვის ნადირის სამრეწველო მარაგი და დაათვალიერა ამ არქიპელაგის კუნძულების უმრავლესობა. ზღვის ნადირის დახოცვის დასახული გეგმა უკვე გადაჭარბებით შესრულებულია ორჯერ მეტად. მოკლული იქნა 700 „მორჟი“, 300 თეთრი დათვი და 400 ზღვის კურდღელი. წელს ფლოტილიამ პირველად დაამზადა ცოცხალი ნადირის დიდი პარტია, აქედან 20 თეთრი დათვი და 12 „მორჟი“. ისინი გადაეცემა ლენინგრადის ზოოლოგიურ ბაღს, აგრეთვე ევროპიული ქვეყნების ზოოლოგიურ ბაღებს (ადს).

რიონჰესის ამუშავება აგვიანდება

(საუბარი მთავარ ინჟინერ მელიქ-ფაშაევთან)

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში რიონჰესის მშენებლობის მთავარმა ინჟინერმა მელიქ-ფაშაევმა სადგურის სამუშაოთა მდგომარეობის შესახებ განაცხადა:

— უკანასკნელად რიონჰესის ამუშავების ვადათ დაწესებული იყო მიმდინარე წლის 1-ლი დეკემბერი, მაგრამ მთელ რიგ დაბრკოლებათა გამო, სადგურის ამ ვადაზე ამუშავება შეუძლებელი იქნება. მშენებლობის ეხლანდელი ტემპების მიხედვით, თუ ვიმსჯელებთ, სადგურის ამუშავებას დაგვიანდება დაახლოვებით 7—8 თვე, ე. ი. რიონჰესის ექსპლოატაციის დაწყებას უნდა მოველოდეთ არა უადრეს მომავალი წლის ივლის—აგვისტოსი.

რა უშლის ხელს სადგურის დროზე დამთავრებას?

აღსანიშნავია სამი მთავარი მიზეზი: მუშა - ხელის ნაკლებობა, მასალების არა საკმაო რაოდენობით მიღება და არა კომპლექტური მასალების მოწოდება.

მშენებლობას ამჟამად აკლია 1.200 მუშა. ჩვენის მხრივ მივიღეთ ყოველგვარი ზომები მუშების მოსაგროვებლად, მაგრამ მნიშვნელოვან შედეგს ვერ მივაღწიეთ. ჩვენ მიღებული გვქონდა განწესი 1.500 მუშაზე, რომლებიც უნდა მიგვეღო კოლმეურნეობებიდან. ამ მიზნით ხელშეკრულებები დავდეთ გორის, კასპის, სამხრეთ - ოსეთის და ამბროლაურის კოლმეურნეობებთან, მაგრამ იქიდან მივიღეთ მხოლოდ 300 კაცი.

მუშა - ხელის ნაკლებობის გამო, განსაკუთრებით შეფერხებულია მიწის სამუშაოები სადერივაციო არხზე, სადაც მუშაობენ ექსკავატორები. ამ უკანასკნელთა ნაყოფიერება დაეცა, რადგან დროზე არ ხდება მათი განტვირთვა მიწისაგან მუშა-ხელის სიმცირის გამო.

მუშების ნაკლებობის მიზეზითვე ჩვენ მთელი რიგი წვრილი სამუშაოები სრულებით შევაჩერეთ, რადგან პირველ ხანებში შესაძლებელი იქნება სადგურის ამუშავება მათ გარეშეც.

მუშა - ხელის ნაკლებობასთან ერთად მშენებლობის ერთ - ერთი მთავარი შემაფერხებელი მიზეზია მასალების დროზე და საკმაო რაოდენობით მოუწოდებლობა. მესამე კვარტალში ჩვენ უნდა მიგვეღო 250 ტონა რკინეულობა და 2.700 კუბომეტრი ხე-ტყე, მაგრამ დღემდე არაფერი არ მიგვიღია, მასალებიდან რასაც ვღებულობთ, ისიც არ არის იმ ზომის, რომელიც ჩვენ გვესაჭიროება. რამდენიმეთ გაუმჯობესდა ცემენტის მოწოდება.

საგრძნობ დაბრკოლებას გვიქმნის აგრეთვე მოწყობილობის დაგვიანება. განსაკუთრებით იგვიანებს საწნეო მილები, რომელიც შეკვეთილი აქვს მოსკოვის ქარხანა „მოსტრაუკს“. პირველი მილი ჩვენ უნდა მიგვეღო 1-ლ ოქტომბერს, ნამდვილად კი მას აგვიანდება ოთხი თვე.

ხუთი თვით იგვიანებს აგრეთვე ელექტროგანმანაწილებელის მოწყობილობა. აგვიანდება გენერატორებსაც. ტურბინები უკვე მიღებულია და დავიწყეთ კიდეც მათი მონტაჟი.

პირველი სექტემბრისათვის მშენებლობა ასეთ სურათს იძლეოდა: სათავის ნაგებობანი (საგუბარი და სხვ.) დამთავრებულია 98,8 პროც., გვირაბი № 1—99 პროც., არხის მთის ნაწილი—48 პროც., გვირაბი № 2—100 პროც., სადერივაციო არხი—58,6 პროც., დღე-ღამის წყლის მარაგის მომწესრიგებელი აუზი—95,5 პროც., საწნეო აუზი—56 პროც., საწნეო მილები—14 პროც., საგენერატორო შენობა—67,5 პროც., ღია ქვესადგური—29 პროც., წყლის მიმღები აუზი—47 პროც., რკინიგზის მილი — 66 პროც., გამყვანი არხი—54 პროც., სამოქალაქო ნაგებობანი—71 პროც.; საშუალოდ 1-ლი სექტემბრისათვის შესრულებულია მშენებლობის საერთო გეგმის 76 პროც.

უნდა ითქვას, რომ ტეხნიკურად რთული და მძიმე სამუშაოები, როგორიც არის საგუბარი, გვირაბები, საგენერატორო შენობა, თითქმის დამთავრებულია. ჩვენი მშენებლობის ყველაზე „ვიწრო ადგილს“ წარმოადგენს სადერივაციო არხი, რომლის სამუშაოების დაჩქარება მთლიანად დამოკიდებულია მუშა - ხელზე. ეხლა საუცხოვო ამინდია მშენებლობისათვის, ჩვენ კი მოკლებული ვართ საშუალებას გავაფართოვოთ სამუშაოები, რადგან ვერ ვშოულობთ მუშების საჭირო კადრს.

მუშათა ცვალებადობაში დიდ როლს თამაშობს მომარაგების მოუწესრიგებლობა. მუშები იმის ნახევარსაც ვერ იღებენ, რაც მათ ეკუთვნით ნორმით. ამას გარდა ვერ მოგვარდა სპეცტანსაცმელის და სპეცფეხსაცმელების გაცემის საკითხი. კოლმეურნეობებიდან მოსულ მუშებისათვის ჩვენ ვიყიდეთ რამდენიმე ათასი ჩუსტი, მაგრამ ვერც ამან გასჭრა. კოლმეურნეთა ნაწილი მაინც წავიდა, შეგვრჩა მხოლოდ 300 კაცი.

ამჟამად ჩვენს მთავარ საზრუნავს შეადგენს მუშა - ხელის შეგროვების საკითხი. თუ ამ მხრივ მივაღწიეთ გარდატეხას და მასალების და მოწყობილობის მოწოდებაც გაუმჯობესდა, ვფიქრობთ, რომ რიონჰესს ავამუშავებთ მომავალი წლის ზაფხულზე.

თესვა იწყება

დავაჩქაროთ თესვის გეგმების დაყვანა სოფლამდე, კოლმეურნეობამდე, კომლამდე—დროზე მივცეთ საშემოდგომო თესვის მტკიცე დავალებები კულაკურ და შეძლებულ მეურნეობებს

საშემოდგომო თესვა

პირველ ოქტომბრიდან

„ჯერ დირექტივები არ მიგვიღია“

(სიღნაღის რაიონი)

სიღნაღის რაიონში შემოდგომის სასოფლო - სამეურნეო კამპანიისათვის მზადება დაიწყო: შედგენილია სარაიონო გეგმა, რომლის დაყვანაც სოფლამდე, კოლმეურნეობამდე და გლეხის კარამდე მიმდინარეობს; უნდა ითქვას, რომ სასოფლო საბჭოები ამ საქმეში ვერ იჩენენ საკმაო სიმტკიცეს, რის გამოც გეგმის დაყვანა მეტად ნელი ტემპით ხდება.

გეგმის მიხედვით რაიონში დაითესება 42.000 ჰექტარი მიწის ფართობი. გასულ წლის შემოდგომის კამპანიასთან შედარებით ნათესი ფართობი გაიზრდება 41,85 პროცენტით. საბჭოთა მეურნეობაში დაითესება პური — 5.700 ჰექტ., გასულ წელს იყო 1.300 ჰექტ. ბალახი 3.400 ჰექტ. კოლმეურნეობებში დაითესება პური — 16.826 ჰექტარი, ნაცვლად 4.088 ჰექტარისა, ქერი — 2.000 ჰექტარზე—129 ჰექტარის ნაცვლად და სხვა. კერძო სექტორში კი პური დაითესება 12.883 ჰექტ. და ქერი — 800 ჰექტ.

რაიონის წინაშე სერიოზული ამოცანები დგას შემოდგომის სასოფლო - სამეურნეო კამპანიის ჩატარების დარგში. წელს საფუძველი ჩაეყრება კულტურულ ბალახეულობის მეურნეობას; მნიშვნელოვანია აგრეთვე სათესლე მეურნეობის მოწყობა კოლმეურნეობებში 2.500 ჰექტარზე. მოეწყობა აგრეთვე 2 მერძეობის და 2 მეღორეობის სასაქონლო ფერმა. გეგმის წარმატებით შესრულებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მუშა-საქონლის სწორ გამოყენებას, იარაღმანქანების მომზადებას და სათესლე მასალის დროზე შეგროვებას.

უნდა აღინიშნოს, რომ მუშა-საქონლის და იარაღ-მანქანების სათანადო აღრიცხვა არ მომხდარა. მუშა-საქონელი კოლმეურნეობებში არის 2.715 სული და ინდივიდუალურ მეურნეობებში კი — 2.968 სული. გარდა ამისა, კოლმეურნეობებში არის — 31 ტრაქტორი, საბჭოთა მეურნეობებში კი 134;

100 პროცენტიანი სათესლე ფონდის შეგროვება უნდა დამთავრებულიყო 10 სექტემბრისათვის; კოლმეურნეობებში უნდა შეგროვებულიყო — 171.404 ფუთი, კერძო სექტორში კი — 137.680 ფუთი. სასოფლო საბჭოები ამ საქმეში უმოქმედობას იჩენენ: სოფ. წითელ-წყაროს საბჭოს ხელმძღვანელები აცხადებენ: „ჯერ თესლის შეგროვებაზე დირექტივები არ მიგვიღია“.

დრო, არ იცდის, ხვნა დაწყებულია. საჭიროა სათესლე ფონდის დროზე შეგროვება.

მესაკოვლე.

ტრაქტორისტების ხელფასი უნდა მოწესრიგდეს

(ლაგოდეხის რაიონი)

ლაგოდეხის რაიონში მომუშავე ტრაქტორისტებს მუშაობის მეტად ცუდი პირობები აქვთ შექმნილი. ასეთი მდგომარეობა საგრძნობლად სცემს შრომის ნაყოფიერებას და საფრთხეში აყენებს სას.-სამ. კამპანიის გეგმების შესრულების საქმეს. ლაგოდეხის სამანქანო - სატრაქტორო სადგურის დირექცია სრულ უპასუხისმგებლობას იჩენს ამ საკითხისადმი. ავალაპარაკოთ ფაქტები: ტრაქტორისტები გამოყვანილი არიან კოლმეურნეობებიდან და ამჟამად მუშაობენ ლაგოდეხის სამანქანო - სატრაქტორო სადგურის განკარგულებაში. ზოგიერთი მათგანს ამ სადგურში ნამუშევარი აქვს 1 წელზე მეტი, მაგრამ მათ ჯერ კიდევ არ იციან, თუ ვის ბიუჯეტზე იმყოფებიან ისინი, სატრაქტორო სადგურის დირექციის თუ კოლმეურნეობების ხარჯზე. ხელფასის გასტუმრების დროს სადგურის დირექცია ასე აცხადებს: „თქვენ ხელფასი კოლმეურნეობებმა უნდა მოგცენო“. კოლმეურნეობები ხელფასს კი არ იძლევიან, რადგან ტრაქტორისტ - მესაჭეები ფაქტიურად ლაგოდეხის სამანქანო - სატრაქტორო სადგურს ემსახურება.

ასეთი მდგომარეობაა აგრეთვე მესაჭეებისათვის საექიმო დახმარების აღმოჩენის საქმეში. ისინი არ არიან დაზღვეული და მოკლებულია არიან საექიმო დახმარებას. ყოველივე ეს იწვევს იმას, რომ ადგილი აქვს ხშირ გაცდენებს და სამუშაოს მიტოვების შემთხვევებსაც, რასაც სასწრაფოდ უნდა მოეღოს ბოლო.

დ. ლომთაძე.

ადიგენის რაიონი. თესლეულის გამზადება საშემოდგომო თესვისათვის

26 კომუნართა

რაიკომის პლენუმი

საქ. კ.პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომუნართა სახელობის რაიკომის პლენუმმა ჩამოაყალიბა რაიკომის ბიურო.

ბიუროს წევრებად პლენუმმა აირჩია ამხ. ა. ტერ - ვართანოვი, ს. ტრდატიანი, გ. საკიანი, ვ. ავაქოვი, ლ. ენუქიძე, ა. შახსუვაროვი, ერმ. გორდელაძე, მ მირზახანოვი, ვ. მჭარეულიშვილი, გ. ფირალოვი, ანდრ. კლევცოვი, კ. ხაჩიკიანი, ვ. მურღულია, კანტერი,. არტ. მელიქოვი, გ. დადაშევი, რ. შაუმოვი, არტ. გუკასოვი, სურგულაძე, კამალიანი, ან. კვაშილაძე და ს. კაპანაძე.

ბიუროს კანდიდატებად პლენუმმა აირჩია ამხ. ა. მასურაძე, არტ. გრიგორიანი, ი. კაკაურიძე, გუროვი და კალიკოვი.

პარტიის რაიკომის მდივნად პლენუმმა ერთხმად აირჩია ამხ. სარქის ტრდატიანი.

რაიკომის სამუშაო აპარატი შედგენილ იქნა შემდეგნაირად: საორგანიზაციო სექტორის გამგეთ ამხ. ერმ. გორდელაძე, აგიტაციისა და მასიური მუშაობის სექტორის გამგეთ ამხ. ხაჩიკიანი და კადრების სექტორის გამგეთ ამხ. ნ. კაკაურიძე (ადს).

საქ. კოლმეურნცენტრის დადგენილება

წითელარმიის ცვალებად შემადგენლობაში გაწვეულ კოლმეურნეთა შემოსავლის განაწილებაში მონაწილეობის მიღების შესახებ

საქართველოს კოლმეურნცენტრი განუმარტავს რაიკოლმეურნკავშირებს და კოლმეურნეობების გამგეობებს საკავშირო კოლმეურნცენტრის 1930 წ. 9 ივლისის დადგენილებას წითელ არმიის ცვალებად შემადგენლობაში გაწვეულ კოლმეურნეთა შესახებ, რაც ითვალისწინებს შემდეგს:

1. როდესაც კოლმეურნე გაწვეული იქნება სამხედრო სწავლებაზე ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შემადგენლობაში, აგრეთვე ყოველგვარ სამხედრო შეკრებაზე:

ა) კოლმეურნე ღებულობს კოლმეურნეობიდან ერთდროულ დახმარებას 10 მანეთის რაოდენობით. ეს დახმარება გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სწავლებასა და შეკრებაზე გაწვევა ხდება ერთი თვით და მეტი ვადით;

ბ) კოლმეურნე წითელარმიელი სწავლების და შეკრების მთელი დროის განმავლობაში მთლიანად ინარჩუნებენ თავიანთ საშუალო შემოსავალს, რომელიც გამოანგარიშებული უნდა იქნას გაწვეულის თანაბარი კვალიფიკაციის კოლმეურნეთა ამ დროის საშუალო შემოსავლის მიხედვით.

აღნიშნული დადგენილება რჩება ძალაში 1931 წლის 1-ლ ოქტომბრამდე.

საქართველოს კოლმეურნცენტრი ავალებს რაიკოლმეურნკავშირებს და კოლმეურნეობების გამგეობებს უზრუნველჰყონ ამ დადგენილების ახსნა-განმარტება ყველა კოლმეურნეობაში.

საქ. კოლმეურნცენტრის თავმჯდომარე პ. წულუკიძე.

აგარის სამანქანო-სატრაქტორო სადგური

მზად არ არის

(სტალინისის რაიონი)

შემოდგომის სასოფლო სამეურნეო კამპანიისათვის მზადება რაიონში დაგვიანებით დაიწყო. გეგმის შედგენას შეუდგნენ 1-ლ სექტემბრიდან და საბოლოოდ განმტკიცებული იქნა მხოლოდ 19 სექტემბერს. ამრიგად 20 სექტემბრამდე თესვის გეგმები სასოფლო საბჭოებამდე დაყვანილი არ იყო.

რაიაღმასკომის დადგენილებით გეგმები სოფლებამდე, კოლმეურნეობებამდე და ცალკე ინდივიდუალურ მეურნეობებამდე დაყვანილი უნდა იქნას 27 სექტემბრამდე, რაც საეჭვოა, რადგან სარაიონო გეგმიდან გამომდინარე ადგილებზე შედგენილი უნდა იქნას სასოფლო საბჭოების გეგმები. ეს კი საკმაო დროს მოითხოვს. ცხადია ასეთი მდგომარეობა თავის უარყოფით გავლენას მოახდენს შემოდგომის სასოფ. სამ. კამპანიის წარმატებით ჩატარებაზე.

გეგმით შემოდგომაზე სტალინისის რაიონში უნდა დაითესოს ხორბალი: კოლმეურნეობებში 5.833 ჰექტარი, ინდივიდუალურ მეურნეობებში 19.5 ჰექტ. და საბჭოთა მეურნეობებში — 665 ჰექტარზე. ქერი კოლმეურნეობებში — 45 ჰექტ. ინდივიდუალურ მეურნეობებში — 145 ჰექტ. და საბჭოთა მეურნეობებში კი — 25 ჰექტარზე. სათესლე მასალად მარტო კოლმეურნეობებში დამზადებული უნდა იქნას 58.330 ფუთი ხორბალი. დღემდე კი დამზადებულია მხოლოდ 12.000 ფუთი; მიწსახკომის განკარგულებით ინდ.. მეურნეობებში სათესლეთ შეგროვილი უნდა იქნეს — 195.380 ფუთი სათესლე მასალა, მაგრამ დღემდე არც ერთი მარცვალი არსად შეგროვილა. ამ მოვლენას ხსნიან იმის მიზეზით, თითქოს სოფლებში ისეთი ტევადობის ბეღლები არ მოიპოვება, სადაც შეიძლებოდეს შეგროვილი სათესლე მასალის შენახვა.

ამავე რაიონში ანეულად უნდა მოიხნას—შაქრის ჭარხლისათვის — 3500 ჰექტ. მარცვლეული კულტურებისათვის — 12 600 ჰექტ. ბალახებისათვის — 1.500 ჰექტ. და ბოსტანისათვის — 536 ჰექტ. ამ ფართობის დიდი რაოდენობა უნდა დამუშავდეს აგარის სამანქანო - სატრაქტორო სადგურის მიერ, მაგრამ აღნიშნული სადგურის მდგომარეობა ამის იმედს არ იძლევა, რადგან ის ხვნისათვის სათანადოთ მომზადებული არ არის.

ზოგიერთ კოლმეურნეობებში გამწევი ძალის მაქსიმალურ გამოყენებას სათანადო ყურადღება არ ექცევა. და იმედებს მთლიანად სატრაქტორო სადგურზე ამყარებენ, რაც ყოვლად დაუშვებელია; საჭიროა ცოცხალი გამწევი ძალის სრული დატვირთვით გამოყენება.

გეგმით აგრეთვე გათვალისწინებულია აგრო-ღონისძიებების ჩატარება: თესლის გარკვევა - შეწამვლა, მაგრამ ეს საქმე ისეთი ტემპით მიმდინარეობს, რომ თუ დროზე საჭირო ზომები არ იქნა მიღებული, თესლის გარკვევის და შეწამვლის საქმეს ჩაშლა მოელის.

რაიონში არის სულ — 95 ტრიერი. ამ მანქანებმა თუ დღე და ღამე იმუშავეს სრული დატვირთვით, მხოლოდ მაშინ შეასრულებენ მთელი სათესლე მასალის გარკვევას, მაგრამ რამოდენიმე მათგანი დღესაც დაზიანებული და შეუკეთებელია. ასევეა თესლის შეწამვლის საქმეშიც. საწამლი მასალა მომარაგებულია, შეწამვლა კი რატომღაც არ დაწყებულა.

საჭიროა ფართოდ და დამკვრელი ტემპებით გაიშალოს მუშაობა შემოდგომის სასოფლო სამეურნეო კამპანიისათვის და ყველა ძალები მაქსიმალურად იქნეს ჩაბმული ამ კამპანიის გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში.

ტ. გ.

საქართველოს ტყის მრეწველობაში გარღვევები გრძელდება

აჭარისტანში ხეტყის დამზადების სამუშაოებზე ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა მუშა-ხელის ცვალებადობა

სატყეო მრეწველობა ტემპებს ჩამორჩა

ხე-ტყის სიმცირე აბრკოლებს მშენებლობას

საბინაო მშენებლობის შესახებ პროფსაბჭოში გამართულ თათბირზე გამოირკვა, რომ მთელ რიგ სამრეწველო რაიონებში, მუშათა საერთო საცხოვრებელი სახლების აგება დამთავრებულია, მაგრამ სამშენებლო ორგანიზაციები ვერ შოულობენ საკმაო რაოდენობის ხე-ტყის მასალას, რომ აგებული ბინები საბოლოოდ მოაწყონ და იქ შესაძლებელი იქნეს მუშების ჩასახლება.

ხე-ტყის მასალის სიმცირეზე საყვედური გაისმის სამრეწველო მშენებლობის მწარმოებელი ორგანიზაციებიდანაც. არსებითად კი, შემოდგომაზე ხე-ტყის მასალის სიჭარბე საგრძნობი უნდა იყოს, მაგრამ ეს ასე არაა იმიტომ, რომ ხე-ტყის დამამზადებელი ორგანიზაციები ვერ ასრულებენ მიღებულ დავალებებს, ვერ ფარავენ ძველ ჩამორჩენას და ვერ ახერხებენ საწარმოო გეგმების შესრულებას.

სახერხი ქარხნების მუშაობას ვერ უწევენ სათანადო ხელმძღვანელობას, სამეურნეო ორგანიზაციები. მესამე კვარტალის დასაწყისიდანვე გამორკვეული იყო, რომ სახერხ ქარხნებს ხელი შეეშლებოდათ საწარმოო გეგმების შესრულებაში, მაგრამ ამისი თავიდან ასაცილებლად არავის არ მიუღია საგანგებო ზომები.

არა თუ კვარტალის დასაწყისში, არამედ აგვისტოშიაც არ ყოფილა მიღებული ზომები იმისათვის, რომ ხე-ტყის სახერხი ქარხნების მდგომარეობა გამოსწორებულიყო. ქარხნებმა ვერ შეასრულეს ვერც აგვისტოს გეგმა. მეტად არა დამაკმაყოფილებელი შედეგებია მიღებული სექტემბრის 1-ლი დეკადის ბოლოსაც.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ სახერხი ქარხნების მუშაობას ადგილობრივმა პარტიულმა და პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა. ბევრ ქარხანაში დავიწყებას მიეცა შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლის გაშლის საქმე. დანაკარგებთან ბრძოლაც არავის ახსენდება, ადგილი აქვს მუშა-ხელის ცვალებადობას.

აგვისტოში ხე-ტყის მრეწველობა სუსტად მუშაობდა

ამიერ-კავკასიის ხე-ტყის მრეწველობის ტრესტის განკარგულებაში მყოფმა სახერხმა ქარხნებმა, მესამე გადამწყვეტი წლის განმავლობაში, საწარმოო - საფინანსო გეგმის თანახმად უნდა გამოუშვან 276.540 კუბიკური მეტრი დახერხილი ხე-ტყე.

აქედან აგვისტოში სახერხ ქარხნებს უნდა მოეცათ 38.413 კუბიკური მეტრი დახერხილი მასალა, ხოლო ფაქტიურად გამოუშვეს 10.124 კუბ. მეტრი ხე-ტყე. აგვისტოს საწარმოო გეგმა ქარხნებმა შეასრულეს 26,4 პროცენტით.

ამგვარად, მარტო აგვისტოში სახერხ ქარხნებზე ვალად დარჩა 28.289 კუბიკური მეტრი ხე-ტყის გამოშვება.

მესამე კვარტალის განმავლობაში ტრესტის სახერხმა ქარხნებმა უნდა გამოუშვან 10.623.400 მანეთის პროდუქცია. ამ თანხის ანგარიშში ივლისში, ქარხნებმა გამოუშვეს 1.268.800 მანეთის დახერხილი ხე-ტყის მასალა, ხოლო აგვისტოში გამოშვებულ იქნა 1.282.900 მანეთის პროდუქცია.

საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა აგვისტოში შესრულებულ იქნა 32,7 პროცენტით, რაც კვარტალურ დავალებასთან შედარებით 12,1 პროცენტს შეადგენს.

მოყვანილი ციფრებიდან აშკარად ჩანს, რომ სახერხი ქარხნების ჩამორჩენა უფრო საგრძნობია ნატურალური პროდუქციის (დახერხილი ხე-ტყის) გამოშვების დარგში, სადაც თვიური დავალება მხოლოდ 26.4 პროცენტით შესრულებულა, ვიდრე გამოშვებული პროდუქციის ღირებულების დარგში. სადაც თვიური დავალება შესრულებულია 32.7 პროცენტით. ასეთი განსხვავება აიხსნება დასახერხი ხე-ტყის მასალის ჯიშებით დახარისხებით. ძვირფასი ხე-ტყის მასალა მეტი რაოდენობის ღირებულებას იძლევა და ამიტომ საერთო პროდუქცია (მანეთებში) მეტი გამოვიდა.

სექტემბრის 1-ლმა დეკადამ ვერ მოგვცა გაუმჯობესება.

ა.-კ. სატყეო მრეწველობის ტრესტში შეჯამებულია საქართველოში არსებული სახერხი ქარხნების სექტემბრის 1-ლ დეკადაში მუშაობის შედეგები, საიდანაც ირკვევა შემდეგი:

თბილისის სახერხმა ქარხანამ თვიური დავალება სექტემბრის პირველ დეკადაში შეასრულა 29,1 პროცენტით.

სექტემბრის განმავლობაში, აღნიშნულმა ქარხანამ უნდა გამოუშვას 770 კუბ. მეტრი ხე-ტყის მასალა. აქედან 1-ლ დეკადაში გამოშვებულ იქნა 224 კუბ. მეტრი დახერხილი ხე-ტყე.

მცხეთის სახერხმა ქარხანამ, სექტემბრის 1-ლ დეკადაში გამოუშვა 494 კუბიკური მეტრი დახერხილი ხე-ტყე. მთელი თვის განმავლობაში მან უნდა მოგვეცეს 4530 კუბ. მეტრი დახერხილი ხე-ტყე. დეკადის განმავლობაში თვიური დავალება, ქარხანამ შეასრულა მხოლოდ 10,9 პროცენტით.

ზუგდიდის სახერხმა ქარხანამ სექტემბრის 1-ლ დეკადაში გამოუშვა 930 კუბიკური მეტრი ხე-ტყის მასალა. თვიური გეგმის თანახმად ქარხანამ უნდა გამოუშვას სულ 11.000 კუბ. მეტრი ხე-ტყე. დეკადის განმავლობაში თვიური დავალება ქარხანას უნდა შეესრულებია 33,3 პროცენტით, უნდა გამოეშვა 3.675 კუბ. მეტრი ხე-ტყე. ფაქტიურად, თვიური დავალება შესრულებულია 8,5 პროცენტით;

ფოთის სახერხმა ქარხანამ, სექტემბრის პირველ დეკადაში გამოუშვა 251 კუბ. მეტრი ხე-ტყე და თვიური დავალება შეასრულა 18,9 პროცენტით. მთელი თვის განმავლობაში ქარხანამ უნდა გამოუშვას 1.330 კუბ. მეტრი დახერხილი მასალა.

ყულევის სახერხმა ქარხანამ, სექტემბრის 1-ლ დეკადაში გამოუშვა 164 კუბ. მეტრი ხე-ტყე, თვიური დავალება შეასრულა 15,4 პროცენტით. მთელი თვის განმავლობაში ქარხანამ უნდა დახერხოს 1065 კუბ. მეტრი ხე-ტყე.

გაგრის სახერხმა ქარხანამ, დეკადაში თვიური დავალება შეასრულა 7.660 კუბ. მეტრისა გამოშვებულ იქნა 155 კუბ. მეტრი დახერხილი ხე-ტყე.

გუდაუთის სახერხმა ქარხანამ (აფხაზეთში) თვიური დავალება, სექტემბრის 1-ლ დეკადაში შეასრულა 7,8 პროცენტით; იმის მაგიერ, რომ გამოეშვა 170 კუბ. მეტრი დახერხილი ხე-ტყე, გამოუშვა 40 კუბ. მეტრი დახერხილი პროდუქცია.

დანარჩენ სახერხ ქარხნებთან შედარებით უფრო წინ მიდის ცხინვალის სახერხი ქარხანა, რომელსაც მეორე ადგილი უკავია, თბილისის სახერხი ქარხნის შემდეგ. ამ ქარხანამ სექტემბრის 1-ლ დეკადაში თვიური დავალება შეასრულა 28,6 პროცენტით, ანუ პირველ დეკადაში გამოუშვა 63 კუბ. მეტრი დახერხილი პროდუქცია.

საქართველოში არსებული სახერხი ქარხნებიდან 1-ლი დეკადის მუშაობის შესახებ ცნობები არ მოუციათ — ფუხარის სახერხ ქარხანას, ახალ-დაბისას, ახალციხისას, შუახორგისას, ქუთაისისას, ხარისთვალისას და კოდორის სახერხ ქარხნებს.

ხე-ტყის მრეწველობის დანარჩენ საწარმოებში წინ მიდის ბორჯომის სატკეჩე ქარხანა. აღნიშნული ქარხანა დაწინაურებულია სექტემბრის 1-ლ დეკადაშიაც.

სექტემბრის განმავლობაში, ბორჯომის სატკეჩე ქარხანამ უნდა მოგვეცეს 568 კუბიკური მეტრი დახერხილი ხე-ტყის მასალა და 80.000 კომპლექტი ტკეჩი. აქედან, სექტემბრის პირველ დეკადაში ქარხანამ უკვე გამოუშვა 245 კუბ. მეტრი დახერხილი ხე-ტყე და 23.000 კომპლექტი ტკეჩი.

დახერხილი ხე-ტყის მასალის გამოშვების თვიური გეგმა ქარხანამ შეასრულა 43,1 პროცენტით, ხოლო ტკეჩების გამოშვების თვიური გეგმა შესრულებულია 28,8 პროცენტით.

ხეტყის დამზადება აჭარისტანში

აჭარისტანი—ხე-ტყის საუკეთესო ხარისხის და საკმაო რაოდენობის პროდუქციის მომცემია. აქ სწარმოებს როგორც ხის დაცურება, ისე გამოტანა და შეშის დამზადება. ამიტომ, ამ საქმეში მოცემულ დავალებათა შესრულება მოითხოვს „აჭარლესპრომხოზი“-ს და სხვა ორგანიზაციების ძალთა მაქსიმალურ დაძაბვას.

„აჭარლესპრომხოზის“ საწარმოო-საფინანსო გეგმები აუცილებლივ რეალურია და ის გადაჭარბებითაც უნდა შესრულდეს. არსებობს თუ არა ამის შესაძლებლობა? რა თქმა უნდა, არსებობს, ამისათვის უნდა მოისპოთ მუშა-ხელის ცვალებადობა, გათანაწორება ხელფასის დარგში, და გავაუმჯობესოთ მუშათა ყოფა-ცხოვრების პირობები.

საკ. ცაკის და სახკომსაბჭოს 30 ივნისის ენილებათ აასუფძ კლ კლ კლ კლ ღქპპე დადგენილებათა საფუძველზე, კოლმეურნეობებთან ხელშეკრულების დასადებათ, საქ. შრომის სახალხო კომისარიატმა „აჭარლესპრომხოზს“ მუშა-ხელის შესაძენად მისცა მანდატები. ამ მანდატების მიხედვით, აგვისტოში ახალციხეში უნდა შეეკრიბათ 150 კაცი, დანარჩენი კი აჭარისტანში.

150 მუშა-ხელის ნაცვლად, „აჭარლესპრომხოზმა“ ინდივიდუალურ მეურნეობებიდან შეკრიბა 350 კაცი., ხელშეკრულებები კოლმეურნეობებთან არ დაუდიათ. 350 მუშა-ხელი გამოყენებული იქნა ხულოს რაიონში ხის დაცურებაზე, რომელიც ხე-ტყის მრეწველობაში ყველაზე რთულ სამუშაოს წარმოადგენს.

3 თვის მუშაობის შემდეგ, ხის დაცურების ადგილიდან, 350 მუშა მოიხსნა სამუშაოდან იმ მოტივით, რომ თითქოს ისინი „დაიღალნენ და სახლში წავიდნენ დასასვენებლად“.

350 მუშა-ხელის წასვლამ გამოიწვია ხის დაცურების სრულიად შეჩერება—ეს იმ დროს, როდესაც დაცურებისათვის ხელსაყრელი ამინდებია. „აჭარლესპრომხოზის“ განცხადებით, ახალციხეში დაბრუნებული მუშები სამუშაოებზე უნდა დაბრუნდნენ. ამაში კი ჩვენ ეჭვი გვეპარება. მუშას აუცილებლივ უნდა შეუქმნათ ხელსაყრელი პირობები იმისათვის, რომ მან ენერგიულად და გულით იმუშაოს.

როგორ ასრულებს „აჭარლესპრომხოზი“ საწარმოო-საფინანსო გეგმებს“ ხულოს რაიონში, სხალტის ხეობიდან—მახუნცეთით იქ, სადაც შენდება აჭარის წყლის ჰიდროელსადგური, უნდა დაეცურებიათ 11.600 კუბომეტრი მოჭრილი ხის მორი. დაცურების დამთავრება გათვალისწინებულია პირველ ოქტომბრისათვის.

„აჭარლესპრომხოზის“ განცხადებით, ამ ხეების დასაცურებლად საჭირო იქნება 250 მუშა-ხელი. მუშაობის განახლებისათვის კი მათ ამჟამად 80 მუშა სჭირდებათ.

მუშების მოსაყვანად ახალციხეში „აჭარლესპრომხოზს“ გაგზავნილი ჰყავს სპეციალური მუშაკები „ზაკლესტრესტმა“, ამ სამი თვის წინად, „აჭარლესპრომხოზი“-ს განკარგულებაში გამოგზავნა 2 მუშაკი, მაგრამ მათ სამი თვის განმავლობაში კოლმეურნეობებიდან არც ერთი მუშა-ხელი არ გამოიყვანეს.

ცუდ მდგომარეობაშია დამზადებული ხის გამოტანის და ჩაზარების საქმე. „აჭარლესპრომხოზი“ თავის დროზე ვერ აწვდის მრეწველობას ნედლ მასალას, რითაც ფერხდება ქარხნების საწ. საფინანსო გეგმების შესრულება. დაუშვებელი ნელი ტემპით მიმდინარეობს აგრეთვე შეშის დამზადება.

ამ. კავ. შრომის სახ. კომისარიატის ბრიგადა ლ. ეპელბაუმი. (ამიერ-კავკასიის შრომის სახკომიდან), ს. გარიბოვი (საქ. შრომის სახკომიდან), ნ. დიომინი (ამიერ-კავკასიის კოლმეურნეობათა ცენტრი), ნ. კუპრაძე (ამიერ-კავკასიის ს.მ.უ.ს.) და ვ.მთვრალაშვილი („კომუნისტი“ს რედაქციიდან).

კულტურული მშენებლობა

ბოლო მოუღოთ სასკოლო მშენებლობის ოპორტუნისტულ შეუფასებლობას

„სკოლის დღის“ წარმატებით ჩასატარებლად დავრაზმოთ მშრომელთა ფართო მასები

მთელი ყურადღება სასწავლო წლის დაწყებას

ადგილებიდან მიღებულ ცნობებიდან ჩანს, რომ ბევრ რაიონებში სკოლები სასწავლო წლის დასაწყებად ჯერ კიდევ მზად არ არიან.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ახალ სამოსწავლო წელს მთელი რიგი რაიონები მოუმზადებელი შეხვდნენ. მთელი რიგი ფაქტები, რომლებსაც ადგილებიდან ვღებულობთ, სიგნალს გვაძლევენ იმის შესახებ, რომ ახალი სამოსწავლო წლის დაწყება საფრთხის წინაშე დგას.

პარტიისა და ხელისუფლების დადგენილებები სასკოლო ბინების მშენებლობის შესახებ არ არის შესრულებული. გარდა ამისა არ არის შესრულებული პარტიის და ხელისუფლების დადგენილების ის ნაწილიც კი, რომელიც შეეხებოდა სასკოლო ძველი შენობების შეკეთებას.

მთელ რიგ რაიონებში სასკოლო ბინების შეკეთება დაიწყო სწავლის დაწყების რამდენიმე დღის წინ. მთელი ზაფხულის პერიოდში კი სასკოლო ბინების შეკეთებისათვის არ უფიქრია. ზოგიერთ რაიონებში სასკოლო მშენებლობებისათვის შეგროვილი თანხები და საშენი მასალა არა დანიშნულებისამებრ გამოიყენეს. მეტად აღმაშფოთებელ ფაქტს ჰქონდა ადგილი სამტრედიის რაიონში. განათლების სახალხო კომისარიატიდან გაგზავნილი საშენი მასალა რაიაღმასკომმა სულ სხვა დანიშნულებისამებრ გამოიყენა. სკოლები კი შეუკეთებელი დასტოვა. ამიტომ სამტრედიის რაიონის მთელ რიგ სკოლებში ნორმალური მეცადინეობის დაწყება საფრთხეშია.

ასეთივე მდგომარეობაა სხვა რაიონებშიაც

ახალი სასწავლო წლის ნორმალურად დაწყება პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ, პროფკავშირულ და სხვა ორგანიზაციების წინაშე აყენებს გადაუდებელ ამოცანას: რითაც არ უნდა დაგვიჯდეს უზრუნველვყოთ ახალი სამოსწავლო წლის ნორმალურად დაწყება. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს სასკოლო ბინების დაკვრითი წესით შეკეთებას. პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა უნდა შესძლონ მუშათა ბრიგადების გაგზავნა სოფლებში სკოლის ბინების შესაკეთებლად. ფართოდ უნდა გავშალოთ მუშაობა შაბათობების ჩასატარებლად—სასკოლო ბინების მოწყობისათვის.

პროფკავშირების ინიციატივით 25-დან 30 სექტემბრამდე ჩატარებული იქნება „სკოლის დღე“. „სკოლის დღის ჩატარების მთავარი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გამოირკვეს, თუ როგორ შეხვდნენ განათლების ორგანოები და სხვა ორგანიზაციები ახალ სამოსწავლო წელს.

„სკოლის დღე მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ გზადაგზა გამოვასწოროთ დაწყებითი და საშუალო სკოლის ნაკლოვანებები, სკოლის შევსების, მასწავლებელთა შეგროვების, სასკოლო შენობების მშენებლობისა და რემონტის, სკოლების სახელმძღვანელოებით და სასწავლო ხელსაწყოებით უზრუნველყოფის, საყოველთაო სავალდებულო სწავლების ფონდის შექმნის პოლიტეხნიზაციის ჩატარების და სხვა დარგში“.

„სკოლის დღის“ წარმატებით ჩატარების გარშემო უნდა დაირაზმოს მშრომელი მასების ყურადღება. დროზე ავკვეთოთ ზოგიერთი სამეურნეო ორგანოების სასკოლო მშენებლობის ოპორტუნისტული შეუფასებლობა და მთელი ძალები დავძაბოთ ახალი სამოსწავლო წლის ნორმალურად დაწყების უზრუნველსაყოფად.

ა—ნი.

პედ. ინსტიტუტში მიღების შედეგები

(პედინსტიტუტი)

საქ. სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში 1931-32 სასწავლო წელში მიღებული იქნა 550 კაცი. ინსტიტუტში მისაღებ კანდიდატების შერჩევას უშუალოდ აწარმოებდა რაიონები. მაგრამ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ზოგიერთმა რაიონებმა ამ მხრით სრული უყურადღებობა გამოიჩინეს. რაც მთავარია, შერჩეული იქნა ისეთი კანდიდატები, რომელთაც არც საკმაო საწარმოო სტაჟი და არც სხვა პირობები არ ქონდათ. მიუხედავათ იმისა, რომ გამოცხადებულ მიღების პირობებში; ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ მიიღებიან ისინი ვისაც 2 წლის საწარმოო სტაჟი აქვთ — მთელმა რიგმა რაიონულმა კომისიებმა გადმოგზავნეს ისეთი კანდიდატები, რომელთაც ან ერთი წლის სტაჟი ჰქონდათ და ან სულ არა; (ოგრი, ჩოხატაური, ოზურგეთი, აფხაზეთი, ზესტაფონი, ქუთაისი) ცხადია აქ რაიონულმა შემრჩევმა კომისიებმა სრული უყურადღებობა გამოიჩინეს.

პედინსტიტუტის ცენტრალურმა მიმღებმა კომისიამ დაუგზავნა დამატებითი ცნობები რაიონებს; მათ გამოგზავნილი კანდიდატების შესახებ, მაგრამ ბევრიდან კვლავ ისეთივე განმეორდა. მიუხედავად ყოველივე ამისა, პედინსტიტუტში მაინც დამაკმაყოფილებლად დამთავრდა სტუდენტთა მიღება. სულ მიღებული იქნა 550 კაცი. აქედან 90 სტუდენტი დაბრუნებული იქნა, როგორც გასული სასწავლო წლის აკადემიურ შვებულებაში გაგზავნილები.

მიღებულთა შორის არის: პარტიის წევრ - კანდიდატები 18 პროც. ა. ლ. კ. კ. წევრები 46 პროც. უპარტიოები 36 პროც. მიღებულების სოც. მდგომარეობა შემდეგ სურათს იძლევა: მუშები, მუშის შვილები და მოჯამაგირეები შეადგენენ 33 პროც. კოლმეურნეები და მათი შვილები—32 პროც. მასწავლებლები — 17 პროც. მოსამსახურეები — 18 პროც. მიღებულებიდან ქალები შეადგენენ 36 პროცენტს.

ი. უჯმაჯურიძე.

სკოლები უნუგეშო მდგომარეობაშია

ჩხოროწყუს რაიონში არსებობს 48 სხვადასხვა ტიპის სკოლა. უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის არც ერთ სკოლას არ გააჩნია საკუთარი ბინა არსებულ სკოლების შეკეთებაზეც არავის არ უფიქრია. სასკოლო მშენებლობის ფონდისათვის, საკონტროლო ციფრით რაიონში უნდა შეგროვილიყო 66.000 მანეთი. დღემდე კი ამ ციფრის მხოლოდ 60 პროცენტია შეგროვილი. რაც მთავარია შეგროვილი თანხები დანიშნულებისამებრ არ არის გამოყენებული და ამიტომ სკოლების შეუკეთებლობისა და უბინაობის გამო სწავლის ნორმალურად დაიწყება საფრთხეშია. სოფლის საბჭოებთან არსებული შტაბები დაკმაყოფილდნენ მხოლოდ თანხების შეგროვებით, ამ თანხების გამოყენებაზე კი არავის არ უფიქრია. აქვე უნდა აღინიშნოს რაისოცკულტგანყოფილების ოპორტუნისტული უყურადღებობა ამ საკითხისადმი. რაისოცკულტგანყოფილებამ იცოდა, რომ სოფ. მუხურის 7 წლედსა და 4 წლედში, ნაკეთის, ლესიჭინეს, სარაქონის, ნაშელეს, სანარეკუს და ახუთის—სკოლებში ბინების უქონლობისა და შეუკეთებლობის გამო სწავლის დაწყება შეუძლებელი იყო, მაგრამ ამისათვის ყურადღებაც არ მიუქცევია.

სკოლები სრულიად მოუმარაგებელია სასწავლო ინვენტარით და პოლიტეხნიკური იარაღებით. მართალია სკოლების წარმოებაზე და კოლმეურნეობებზე მიმაგრების შესახებ—მათ ჰქონდათ სპეციალური დირექტივები. მაგრამ პრაქტიკულად ამ მხრით ძალიან ცოტა გაკეთდა.

სკოლებს აქვთ მიწის ნაკვეთებიც. მაგრამ უმეტესი სრულიად მოუვლელია. ყურადღება არ ექცევა ნაკვეთების გამოყენებას მოწაფეთა პრაქტიკული მუშაობისათვის.

ჩხოროწყუს რაიონში ამჟამად არის 640 წერა-კითხვის უცოდინარი. მართალია გახსნილია სალიკვიდაციო სკოლები, მაგრამ მათი მუშაობა მიძინებულია. რაისოცკულტგანყოფილება კი ამაზე არც კი ფიქრობს, წერა-კითხვის უცოდინარები დარჩენილი არიან ლიკპუნქტების გარეშე, მაგრამ სკოლის გამგეები და მასწავლებლები მათი ლიკპუნქტებში ჩაბმას ყურადღებას არ აქცევენ.

საჭიროა რაისოცკულტგანყოფილებამ ამ არანორმალურ მდგომარეობას დროზე მოუღოს ბოლო.

ასეთივე მდგომარეობაა წალენჯიხის რაიონშიც. რაიონში არსებობს 38 სხვადასხვა ტიპის სკოლა. უმრავლეს სკოლებს არც წალენჯიხის რაიონში აქვს ბინები. სკოლები მოთავსებულია უსინათლო, შეუკეთებელ და ყოვლად უხეირო ბინებში. სკოლების მშენებლობისა და შეკეთების ფონდში, საკონტროლო ციფრით რაიონში უნდა შეგროვილიყო 65.749 მან. და 50 კაპ. ჯერჯერობით კი შეგროვილია მხოლოდ 23.000 მანეთი, ე. ი. გეგმის 35 პროცენტი. აკრეფილი თანხებიც გამოუყენებელია. სოფლის საბჭოებს და რაისოცკულტგანყოფილებას დღემდე არ უფიქრიათ შეგროვილი თანხების გამოყენებაზე.

სკოლები მოუმარაგებელია სასწავლო ინვენტარით. არ არის მზად ლაბორატორიები და კაბინეტები. არ გახსნილა არც ერთ სკოლაში პოლიტეხნიკური ოთახები და სხვა. მოწაფეები ზაფხულის პერიოდში იყვნენ მიმაგრებული კოლმეურნეობებზე, მაგრამ მათი მუშაობის აღრიცხვა არც ერთ სკოლაში ჯერ არ მომხდარა. რაისოცკულტგანყოფილება კი ამას ყურადღებას არ აქცევს.

საჭიროა ამ არანორმალურ მოვლენასაც დროზე მიექცეს ყურადღება.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩხოროწყუსა და წალენჯიხის რაიონებში სკოლები სრულიად მოუმზადებელია ზამთრისათვის. უმრავლეს სკოლებში ჩამტვრეულია ფანჯრები, ჩამონგრეულია სახურავები, არ არის შეშა და სხვა. ყველა ეს საფრთხეში აყენებს მოწაფეთა და მასწავლებელთა ჯანმრთელობის საქმეს.

სათანადო ორგანოებმა ამ მდგომარეობას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციონ.

თ. დოლიძე.

---

24 სექტემბერს, 19 საათსა 30 წუთზე მოსკოვის დროით შესდგება

ბეჭდვითი რადიო-გაზეთების რედაქტორების

საკავშირო რადიოთათბირი რედაქციის მუშაკებთან და მუშსოფკორებთან ერთად

საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ სოფლის რაიონულ და ქვედა საფეხურის პრესის შესახებ მიღებულ დადგენილების შესრულების საკითხებზე თათბირს გახსნის საკავშ. კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტის კულტპროპის გამგე ამხ სტეცკი.

მოხსენებები იქნება ივანოვოს, ნიჟნი-ნოვგოროდის და ცენტრალურ შავმიწიანი ოლქის საოლქო კომიტეტების კულტპროპის მოხსენებები, ჩრდილო კავკასიის სამხარეო კომიტეტის კულტპროპის მოხსენება, აგრეთვე რადიო გაზეთების „სნამია კოლხოზნიკა“ (მილეროვო, ჩრ. კავკასია), „პუტ ლენინა“-ს (ესმანი, ცენ. შავმიწადიანი ოლქი) და „სოციალისტიჩესკოე ნასტუპლენიე“-ს (ნერეხტა, ივანოვოს ოლქი) რედაქტორების მოხსენებანი.

საბჭოთა კავშირის ყველა რადიო სადგურებმა და სატრანსლიაციო კვანძებმა ამ დროისათვის უნდა მოხსნან ყველა თავიანთი გადაცემა და გადასცენ მხოლოდ ეს თათბირი. გადაცემა იწარმოებს საკავშირო პროფსაბჭოს სადგურის საშუალებით.

საკავშირო კ.პ (ბ) ცეკას კულტპროპი [illegible]

დაჩქარდეს ბავშთა კერა-პრიმიტივების მოწყობა

მივსცეთ ყოველგვარი შესაძლებლობა კოლმეურნეობებს ფართოდ გამოიყენონ ქალთა შრომა

რისთვის ბრკოლდება კერა-პრიმიტივების გახსნა

ტექნიკურ კულტურების რაიონში ბავშთა კერა-პრიმიტივების გახსნა ბრკოლდება იმის გამო, რომ დღემდე რაიონებში ჯერ კიდევ არ არის გაგზავნილი საწოლები საკმარისი რაოდენობით. ახალციხის და, გორის რაიონებში გეგმით გათვალისწინებული ბავშთა კერა-პრიმიტივები გაიხსნა; ამ რაიონების ორგანიზაციებმა ადგილობრივი საშუალებებიდან გამონახულ ინვენტარისაგან შესძლეს კერა-პრიმიტივების მოწყობა.

ამ დღეებში ჯანსახკომიდან გაიგზავნა თეთრეული შემდეგ რაიონებში: გურჯაანის, ყარაიას, ქუთაისის, სიღნაღის, გარე-კახეთის, სამტრედიის, ჩხოროწყუს, ტოლოშის, მარტვილის, ადიგენის, სენაკის, ლანჩხუთის, ხობის, ახალციხის, გორის, კასპის და აჭარისტანში. დანარჩენ რაიონებისათვის თეთრეული მზადდება.

თეთრეულის გაგზავნით არ სწყდება საკითხი. საჭიროა ადგილებზე სასწრაფოდ გაიგზავნოს საწოლები და, სხვა ინვენტარი, რომლის გადაზიდვაც დღემდე ბრკოლდება. რკინის გზ. სადგურებმა ხელი უნდა შეუწყონ გადაზიდვის საქმეს, რათა კერა-პრიმიტივებში ბავშვების მიღება თავის დროზე დაიწყოს.

ადგილებიდან მიღებული ცნობები მოწმობენ, აგრეთვე, რომ კერა-პრიმიტივებში ბავშთა კვების საკითხი დღემდე მოუგვარებელია. საჭიროა საქ. კოლმეურნეობათა ცენტრმა ამ საკითხს მეტი სერიოზულობით მოჰკიდოს ხელი და უზრუნველყოს კერა-პრიმიტივები სურსათ-სანოვაგით. ამ საქმეში კოოპერაციამ აქტიური დახმარება უნდა გაუწიოს ადგილობრივ ორგანიზაციებს.

გაიხსნა ბავშთა 20 კერა-პრიმიტივი

ზუგდიდის რაიონში გაიხსნა ბავშთა 20 კერა-პრიმიტივი. კერა-პრიმიტივების გახსნამ უდიდესი ენტუზიაზმი გამოიწვია კოლმეურნეთა ფართე მასებში.

კერა-პრიმიტივების მოწყობა საშუალებას აძლევს კოლმეურნეობებს მაქსიმალურად გამოიყენონ ქალთა შრომა. კერა-პრიმიტივებში მომუშავეთა კადრების მოსამზადებლად კოლმეურნე-ქალთათვის მოეწყო კურსები, რომელიც უკვე დაამთავრა 50 ქალმა. კურს დამთავრებული კოლმეურნე-ქალები გაიგზავნენ კერა-პრიმიტივების ხელმძღვანელებად.

სათანადო ახსნა-განმარტების შედეგად, დანარჩენი კოლმეურნეობებიც მოითხოვენ კერა-პრიმიტივების მოწყობას.

ი. იზორია.

დირექტივები სრულდება
(წერილი სიღნაღიდან)

სიღნაღის რაიონში საბავშო კერა-პრიმიტივების მოწყობისათვის სამზადისი თავის დროზე დაიწყო. სარაიონო ხელისუფლებამ ამ მიმართულებით ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა.

საბავშო კერა-პრიმიტივების ხელმძღვანელებით უზრუნველყოფისათვის სიღნაღში მოეწყო კურსები, სადაც მეცადინეობდა 54 კოლმეურნე-ქალი.

კურსებმა მუშაობა დაამთავრეს ამ დღეებში, საიდანაც მომზადებული კოლმეურნე-ქალები დაუბრუნდნენ სოფელს.

უკვე მოწყობილია საბავშო კერა-წნორის სახ. საბჭოში, ანაგაში, ქედში და მალაროში. გახსნილია აგრეთვე კერა ბამბის საბჭოთა მეურნეობაში 40—50 საწოლით.

რაიონში, გარდა ზემოხსენებულისა, უნდა მოეწყოს 15 საბავშო ბაგა და 11 საბავშო კერა-პრიმიტივი.

კოლმეურნე.

მოაგვარეთ ბავშთა კვების საკითხი

ორთაჭალაში არსებულ ამხ. ფ. მახარაძის სახელობის სას. სამ. არტელთან წელს გაიხსნა საბავშო კერა-პრიმიტივი, რომელსაც „ბავშთა საზოგადოება" ვერ აკმაყოფილებს სურსათ-სანოვაგით.

თვითეულ ბავშს კვებისათვის თვიურად მხოლოდ ერთი მანეთი ეძლევა, რაც ბავშვებისათვის სრულიად საკმარისი არ არის; კერა-პრიმიტივს ეხმარება კოლმეურნეობა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კერა-პრიმიტივს, რომელიც აერთიანებს 56 ბავშს, მხოლოდ ერთი მომვლელი ყავს, რომელიც ვერ ასწრებს ბავშების მოვლა-პატრონობას.

საჭიროა სათანადო ორგანიზაციებმა ბავშვების სურსათ-სანოვაგით მომარაგების და მოვლის საკითხს მიაქციონ სერიოზული ყურადღება.

ნ. დუშუაშვილი.
მ. ჯაშაშვილი.

დამკვრელი მუშები დაზგასთან

საქართველოს საგარეუბნო მეურნეობებში ბოსტნეულის აღება სუსტად მიმდინარეობს

ზესტაფონის სასადილოების მუშაობა არ გარდაქმნილა საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 19 აგვისტოს დადგენილების მიხედვით

საგარეუბნო მეურნეობათა ბოსტნეულის აღების ტემპები უნდა გაძლიერდეს

„ზაკსოიუზ"-ის ცნობების მიხედვით, ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის საგარეუბნო მეურნეობათა ბოსტნეულის აღების წლიური გეგმა შესრულებულია მხოლოდ 12 პროცენტით. აღებულია 4.285 ტონა ბოსტნეული. მთელ ამიერ-კავკასიაში კვარტალური გეგმა შესრულებულია 21 პროცენტით. ცალკე რესპუბლიკებში გეგმა შესრულებულია: აზერბეიჯანში—23 პროცენტით (2.868 ტონა), საქართველოში—11 პროცენტით (857 ტონა), ხოლო სომხეთში აღებულია 386 ტონა, დანარჩენი 185 ტონა შეგროვილია რკინის გზელთა სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოების ხაზით.

ერთგვარი გარდატეხა შესამჩნევია თბილისის საგარეუბნო და დიღომის საბჭოთა მეურნეობის ბოსტნეულის აღებაში (30 პროცენტი და კვარტალური გეგმის 46 პროცენტი).

საქხილბოსტანი თავის დროზე არ იძლევა ტარას და ტრანსპორტს, რითაც სისტემატიურად შლის ბოსტნეულის დამზადების საქმეს. ბოსტნეულის მიმღებნი არასოდეს არ არიან თავიანთ ადგილებზე. საქხილბოსტანი მუდმივ აჭიანურებს ბოსტნეულის ანგარიშის გასწორების საქმეს. ბოსტნეულის აღების ამიერ-კავკაიის შტაბმა ეს საკითხი დასვა ცეკავშირის წინაშე.

ამიერ-კავკასიის შტაბმა წინადადება მისცა საქმეურკოოპს—თვით საბჭოთა მეურნეობებში მოაწყოს ბოსტნეულის პირველადი დამუშავება ბოსტნეულის, საერთო მოსავლის 30 პროცენტის ფარგლებში.

საგარეუბნო მეურნეობათა ბოსტნეულის აღების საქმისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად ბაქოში გაემგზავრა ამიერ-კავკასიის შტაბის წევრი ამხ. კიკველაშვილი (ადს).

საზკვება უნდა გაძლიერდეს
(ზესტაფონი)

უკანასკნელ ხანებში უდიდესი ყურადღება მიექცია მუშათა კვების გაუმჯობესებას. მაგრამ ზესტაფონში საზკვების საქმე მაინც მოუწესრიგებელია. ზესტაფონის დახურული და კომერციული სასადილოები ვერ სდგანან თავის სიმაღლეზე. ისინი ამზადებენ დაბალი ხარისხის სადილებს. სამზარეულოებში უსუფთაობაა გამეფებული და არ არის გამოყენებული სოციალისტური შრომის მეთოდები: სოცშეჯიბრება და დამკვრელობა. აი ფაქტებიც: რკინის გზის დახურულ სასადილოში სადილობს 1200 მუშა. სასადილოს უნდა ამარაგებდეს სამტრედიის სატრანსპორტო კოოპერაცია, მაგრამ იქიდან გამოგზავნილი პროდუქტები, ნახევრად ვერ აკმაყოფილებს სასადილოს მოთხოვნილებას; სასადილოში კვირაში სამჯერ უნდა იყოს სადილი ხორცით, მაგრამ ეს არ სრულდება; სამტრედიიდან იგზავნება კარტოფილი ფუთი 20 მანეთად, იმდროს, როდესაც სასადილო მას ყიდულობს ზესტაფონში 8 მანეთად.

რკინის გზის ბუფეტი პროდუქტებზე ფასს უნდა ზრდიდეს 30—40 პროცენტით; მაგრამ იქ ხშირად 100-დან 150 პროც. ადიდებენ ფასს; მაგალითად, კილო ხორცს ყიდულობენ 3 მან. 75 კაპ. აქედან დახლოვებით 10 კატლეტი გამოდის, რომელსაც ყიდიან 15 მანეთად. ამას გარდა ბუფეტში არ მზადდება კარგი ხარისხის კერძი. არც პირველ წითელ სასადილოშია ამ მხრივ კარგი მდგომარეობა; იქ ხშირად უგემური სადილები მზადდება. რკინის გზის დახურული სასადილო მწვანილს ყიდულობს კერძო ბაზარზე, თუმცა მას მწვანილს უნდა აწვდიდეს დამამზადებელი პუნქტი.

მთელ რიგ სასადილოებში არ მზადდება კარგი ხარისხის სადილები. რკინის გზის ბუფეტებში მზადდება უგემური სადილები, კატლეტებს ამზადებენ მშრალს და ნახევარს პურით; პირველ სასადილოში ხშირად ძველ კერძებს ჰყიდიან. თითქმის ზესტაფონის ყველა სასადილოში მოუგვარებელია სისუფთავის დაცვა. პოლიტგამმართველოს დახურულ სამზარეულოში წყალი ჩამოდის; რკინის გზის ბუფეტის სამზარეულოში რეცხავენ ჭურჭელს, რაც ქმნის ანტისანიტარიას; თანამშრომლებს არა აქვთ სპეც-ტანსაცმელი. სასადილოში შესაძლებელია სისუფთავის დაცვა. მაგრამ მას თავის დროზე არ ასუფთავებენ. რკინის გზის დახურულ სასადილოს სამზარეულოში არეული ყრია ყველა პროდუქტები, არ არის დასუფთავებული იატაკი, მაგიდები და სხვ. ამავე სასადილოში ხშირად ნახულობენ მატლებს.

დროა სასადილოებში მიექცეს მთავარი ყურადღება სისუფთავეს. ზესტაფონის სასადილოებში ხშირად გაიგონებთ, რომ: „დანა-ჩანგლის ხმარება აკრძალულიაო". ეს საუბარი იმითაც არის გამოწვეული, რომ სასადილოებმა ვერ შესძლეს საჭირო ინვენტარის შეძენა. რკინის გზის სასადილოში 1200 კაცი სადილობს, მაგრამ არც ერთი დანა-ჩანგალი არ არის, სასადილოში 38 საინი, 4 წყლის დოქი, და 35 კოვზი აქვთ. რკინის გზის ბუფეტში სრულებით არ არის დანა-ჩანგალი და სწორედ ამ სასადილოების ადმინისტრაციამ გაავრცელა ხმები, რომ „დანა-ჩანგლის ხმარება აკრძალულიაო". ზესტაფონის საზკვების სექციამ უნდა მიიღოს გადამჭრელი ზომები სასადილოების საჭირო ინვენტარით უზრუნველსაყოფად.

არც ერთ სასადილოში არ არის საჩივრის ყუთები და წიგნები; რკინის გზის დახურული სასადილოს გამგე არ. ვარდუკაძე, აცხადებს: „ყუთს როგორ დავკიდებ სასადილოში, იმაში ხომ ჩემზედ ჩაყრიან საჩივრებსო". სასადილოს მუშკორთა შორის არ არის გაშლილი სოცშეჯიბრება და დამკვრელობა; ზოგიერთ სასადილოებში თანამშრომლებს წარმოდგენაც კი არა აქვთ სამეურნეო ანგარიშის შესახებ.

კომბინატორობაში გართულნი არიან რკინის გზის ბუფეტის ოფიციანტები. ისინი სისტემატიურად იღებენ მომხმარებლებისაგან ზედმეტ ფულს; მაგალითად, 11 სექტემბერს ოფიციანტ ბ. ზირაქაძემ რამოდენიმე მომხმარებლისაგან აიღო ზედმეტი ფული; ოფიციანტები 80 კაპიკად ნაყიდ პროდუქტებს ხშირად ყიდიან მანეთად.

ბუფეტის გამგე ყორღოლიანი კი ამას არაფრად აგდებს და ამბობს: „ასეთი მოქმედებისათვის წინადადებას მივცემ, მოხსნა კი არ შემიძლიაო".

ზესტაფონის სასადილოებში ჯერ კიდევ არ არის გარდაქმნილი მუშაობა ზემდგომი ორგანოების დირექტივების საფუძველზე. ადგილობრივმა ორგანიზაციებმა უნდა დარაზმონ ფართო მასები კვების გაჯანსაღების საქმისათვის და მოახდინონ ძირითადი გარდატეხა სასადილოების მუშაობაში.

„კომუნისტი"-ს ბრიგადა:
გ. ცხელიშვილი.
ლ. ჯანკვეტაძე.
შ. ზირაქაძე.
ზ. გაჩეჩილაძე.

800 წყვილი ფეხსაცმელი დამკვრელ მუშებს

უკანასკნელ ხანებში საუკეთესო დამკვრელ მუშათა მომარაგებას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა. კერძოდ საქპროფსაბჭომ ამ მიმართულებით დაგვიანებით, მაგრამ მაინც გადადგა ნაბიჯი.

საქ. პროფსაბჭოს მუშათა მომარაგების სექტორმა, 19 და 20 სექტემბერს დამკვრელ მუშებზე განაწილა—800 წყვილი ფეხსაცმელი. ფეხსაცმელები მიეცათ შემდეგ საწარმოებს და პროფკავშირებს დამკვრელ მუშებისათვის დასარიგებლად.

26 კომ. სახ. ქარხანას—75 წყვილი, სუხიშვილის სახ. ქარხანა—24, მაუდის ფაბრიკას—60, სატრაქტორო სადგურებს—30, არტელ „ხის მრეწველს"—12, თამბაქოს ფაბრიკებს—90, საკვებინობალბოსტანს" — 18, საქ. ღვინის სწყობს —15, მშენებელთა კავშირს—50, „თევხორცის" მუშათა კავშირს—30, პურსაცხობ და საცხობ მუშათა კავშირს—30, მკერავთა კავშირს—56, კოოპერაციის საზკვებს კავშირს—80 და ტრამვაის—60 წყვილი.

გარდა ამისა დამკვრელ მუშებს ამ დღეებში დაურიგდებათ წიგნაკები რომლებითაც მათ ურიგოთ მიეცემათ სხვადასხვა პროდუქტები.

ი. ბენ—ძე.

გავაძლიეროთ კვებაზე საზ. კონტროლი

მუშათა ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ კვებაზე სანიტარული კონტროლის დაწესების საქმეს. საქ. კ.პ. (ბ) 19 აგვისტოს დადგენილება გარკვევით აღნიშნავს საზკვებაზე სანიტარულ კონტროლის გაძლიერების აუცილებლობას; რა მდგომარეობაა ამ მხრივ თბილისის სასადილოებში, რა გააკეთა ამისათვის საქ. ჯანმრთელ. ორგანოებმა? უნდა ითქვას, რომ არაფერი. ავალაპარაკოთ ფაქტები; თბილისის, როგორც დახურულ, ისე კომერციულ სასადილოებში ადგილი აქვს სანიტარულ ჰიგიენური პირობების დაცვისადმი უყურადღებობას, საჭირო ინვენტარის და მოწყობილობის უქონლობას, სასადილოების ბინების სრულ უვარგისობას, სასადილოთა მუშა-მოსამსახურეებს არა აქვთ სპეც.-ტანსაცმელი. მოუვლელია ქვაბები, პურის საცხობებში უსუფთაობაა და სხვა.

ცუდი მდგომარეობაა ამ მხრივ განსაკუთრებით რაიონის სასადილოებში, სანიტარული ინსპექტორები თავიანთ სამუშაო დროს ხშირად სეირნობაში ატარებენ და (თელავი, ქუთაისი) არ აწარმოებენ სანიტ-მდგომარეობის სისტემატიურ შემოწმებას; ჯანმრთელობის ორგანოები დღემდე გულგრილად ეკიდებიან ამ საქმეს. საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატის სანიტარულ სექტორის გამგე ამხ. ანდრონიკაშვილმა არც კი იცის, თუ რა მდგომარეობაშია საზკვებაზე სანიტ. კონტროლის საქმე.

აღსანიშნავია თბილისის აღმასკომის სანიტარული სექტორის სრული უმოქმედობაც. თბილისის აღმასკომის ამ სექციას დღემდე არაფერი არ გაუკეთებია, თბილისის სასადილოებზე სანიტ. კონტროლის დაწესებისათვის.

თბილისის მსხვილ ქარხნებთან არსებულ დახურულ სასადილოებზე სანიტარული კონტროლი სრულიად არაა განხორციელებული („პროლეტარი", ამხ. სუხიშვილის სახ., დეპოს, 26 კომუნარების სახელობის ქარხნების სასადილოებს).

საჭიროა ამ ორგანოებმა ეხლავე მიიღონ საჭირო ღონისძიებანი, რათა საქ. კ.პ. (ბ) ცეკას 19 აგვისტოს დადგენილების საფუძველზე ძირფესვიანად გარდაქმნან სასადილოების სანიტარული ზედამხედველობის საქმე.

მ. ნ.

მეტი ყურადღება დახურულ სასადილოებს
(ხარაგაულის რაიონი)

ხარაგაულის რაიონის მუშა-მოსამსახურეთა დახურული სასადილოები ვერ აკმაყოფილებენ მომხმარებელთა მოთხოვნილებას; საზკვება სასადილოებს ამარაგებს კერძო ბაზარზე, რის გამოც სადილების ფასები საგრძნობლად გადიდებულია, რაც გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ხარაგაულის კოოპერატიულ ორგანიზაციებს არა აქვთ ხელშეკრულებები დადებული კოლმეურნეობებთან სურსათ-სანოვაგით და ბოსტნეულით მომარაგებისათვის.

სასადილოებში (ხარაგაული, მარელისი) გამეფებულია ანტი-სანიტარული პირობები, სამზარეულო უსუფთაოდ არის შენახული, სამზარეულოს ეზოში აშმორებული წყალი სდგას;

მარელისის გრეხილ ავეჯეულობის ფაბრიკის სასადილო ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს მუშათა მოთხოვნილებებს; თვით სასადილოს შენობა ძალზე პატარაა, არ აქვთ ხეირიანი საკუჰნაო, სამზარეულოში წყლის ონკანის გაფუჭების გამო გამუდმებით წყალი სდგას (ონკანის გაკეთებაზე კი, თავს არავინ იწუხებს), სამზარეულოს არ აქვს ხორცის საჭრელი მაგიდა.

სასადილოები განიცდიან ინვენტარის ნაკლებობას, მუშები კოვზის მაგივრად ჩანგალს ხმარობენ.

მუშკოოპის სასადილოს თანამშრომლებს არ ამარაგებს სამრეწველო საქონლით, სასადილოებს არ ეძლევათ საპონი;

მუშკოოპისა და საზკვების გამგეობას ჯერაც არ დაუმუშავებია საქ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილება საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესების შესახებ, სასადილოები არ არიან გადაყვანილი სამეურნეო ანგარიშზე, რაც დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ცეკავშირი ხარაგაულის მუშათა კოოპერატიულ ორგანიზაციებს ძალზე სუსტ ხელმძღვანელობას უწევს; საჭიროა ცეკავშირმა გააძლიეროს ხელმძღვანელობა ქვედა ორგანიზაციებზე.

ჯანი.

საბჭოების დათვალიერება

საბჭოების დათვალიერებასთან დაკავშირებით

იზრდება ღარიბი და საშუალო გლეხთა მასების დენა კოლმეურნეობებისაკენ

საბჭოების დათვალიერებამ გააძლიერა კოლმეურნეობებისაკენ ლტოლვა
(წალენჯიხის რაიონი)

საბჭოების დათვალიერების კამპანია ფართოდ გაიშალა 28 აგვისტოდან. რაიაღმასკომის გაფართოებულ თათბირზე დამუშავდა საკითხი საბჭოების დათვალიერების საქმე; ჩამოყალიბდა შტაბი, რომელმაც შეიმუშავა კალენდარული გეგმა დათვალიერების ჩატარების შესახებ. სოფლის საბჭოებზე მიმაგრებულია პ. მგებელი მუშაკები.

12 სექტემბერს ადგილებზე მოეწყო სას. საბჭოების მასიური კრებები, სადაც მოსმენილი იქნა მოხსენებები ჩატარებული მუშაობის შესახებ.

დათვალიერების კამპანიაში სამარცხვინოთ ჩამორჩა ობუჯის სას. საბჭო. მოწინავე პოზიციებზე დგას ჭალეს სას. საბჭო. ჭალეს და ფახულანის სოფ. საბჭოების სწორი ხელმძღვანელობით მშრომელი მოსახლეობა მასიურად მიილტვის კოლმეურნეობებისაკენ. საბჭოს სწორი ხელმძღვანელობითვე კოლმეურნეობებში გატარებულია სანარდო სისტემა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ საბჭოების დათვალიერება მჭიდროთ უკავშირდება ახალი კოლმეურნეობების ჩამოყალიბებას და ძველის განმტკიცების საქმეს.

გრ. ხაინდრავა.

თვითმდინარეობას მისდევენ
(ახალციხის რაიონი)

საბჭოების დათვალიერების კამპანია ახალციხის რაიონში დაგვიანებით დაიწყო. დათვალიერების ჩამტარებელი რაიონული შტაბი მხოლოდ 30 აგვისტოს იქნა გამოყოფილი; საბჭოებზე მიმაგრებული პასუხისმგებელი ამხანაგები 2-3 სექტემბერს გაემგზავრნენ ადგილებზე.

სას. საბჭოებში დაარსდა აგრეთვე დათვალიერების ჩამტარებელი კომისიები, გამოიყო ბრიგადები, რომელნიც თითქოს შეუდგნენ საბჭოების მუშაობის გამოკვლევას.

რაიონული შტაბის დადგენილების თანახმად, მიმაგრებულ პასუხისმგებელ ამხანაგებს რაიონისათვის დეკადურად უნდა მოეწოდებინათ ცნობები ათვალიერების მიმდინარეობის შესახებ, მაგრამ 16 სექტემბერსაც კი არ იყო ცნობები მიღებული რაიაღმასკომში. ეს ფაქტი ამტკიცებს იმას, რომ ახალციხის რაიონული შტაბი ოპორტუნისტულ თვითმიმდინარეობაზეა დაყრდნობილი, რა კეთდება ადგილებზე, მან არ იცის; მიმაგრებულ ამხანაგებს და საბჭოებში გამოყოფილ ბრიგადების მუშაობა, არსად სჩანს; არ აწარმოებს მუშაობის შემოწმებას.

საჭიროა ახალციხის რაიონის საბჭოების დამთვალიერებელ შტაბმა გამოყოს სპეციალური ბრიგადა, რომელიც სისტემატიურ შემოწმებას მოახდენს, თუ როგორ ტარდება ადგილებზე საბჭოების დათვალიერება.

რაიონულ და ადგილობრივ ორგანიზაციების ყოველგვარ უმოქმედობას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს. საბჭოების დათვალიერების ირგვლივ მჭიდროდ უნდა დარაზმოს კოლმეურნენი და ღარიბ-საშუალო გლეხთა მასები. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ადგილობრივი პარტიის, კომკავშირის და საბჭოთა ორგანიზაციები თავის მოწოდების სიმაღლეზე იქნებიან.

ბრიგადირი.

სამაგალითო საბჭო
(ხონის რაიონი)

კინჩხის სასოფლო საბჭო ჩაბმულია მიმდინარე პოლიტიკურ და სამეურნეო კამპანიებში. საგაზაფხულო თესვის წარმატებით ჩატარების მიზნით ამ სოფელზე მიცემული საკონტროლო ციფრები, დაყვანილ იქნა უბნამდე, კოლექტიურ და ინდივიდუალურ მეურნეობამდე. კულაკურ და შეძლებულ მეურნეობებს მიეცათ მტკიცე დავალებები. ჩატარდა მოსახლეობაში სათანადო მუშაობა ნათესების დაკონტრაქტების მიზნით.

სასოფლო საბჭოს სათანადო მუშაობა აქვს ჩატარებული. სახ. სამ. პროდუქტების დამზადებათა გეგმების შესასრულებლად. მასზე მიცემული საკონტროლო ციფრი შესრულებულია მთლიანად. ამავე სოფლებში მესამე გადამწყვეტი წლის სესხი განაღდებულია სრული 100 პროცენტით. ასევეა აკრეფილი სახ. სამეურნეო გადასახადი.

უდიდესი მუშაობაა ჩატარებული გზების გაყვანისა და ხიდ-ბოგირების შეკეთების საქმეში აგრეთვე დიდი მუშაობა სწარმოებს აღმშენებლობის დარგში. ამჟამად შენდება და მოკლე ხანში დამთავრდება სასოფლო კლუბი, რომელიც დიდ სამსახურს გაუწევს მშრომელ მოსახლეობის კულტურულ დონის ამაღლებას.

მნიშვნელოვანი მუშაობაა ჩატარებული აგრეთვე კულტმშენებლობის საქმეშიც. სკოლის გარეშე არ არის დარჩენილი არც ერთი ბავში. 1930-31 სამოსწავლო წელში ლიკვიდაცია 100 წ. კ. უცოდინარს. ამჟამად კიდევ დამატებით არის აღრიცხული წ. კ. უცოდინარები 15 წლიდან 50 წლამდე, რომლითა სკოლებში ჩაბმა დაიწყება ამ ახლო ხანში.

აგრეთვე სას. საბჭო უდიდეს ყურადღებას აქცევს კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის მოწესრიგებას. ის სისტემატიურ ხელმძღვანელობას უწევს კოლმეურნეობებს და ამიტომ იქ, შრომის ორგანიზაცია და სანარდო სისტემა სათანადო სიმაღლეზე დგას.

აპ. ჯიშკარიანი.

„ცნობები არა გვაქვს"
(წერილი გალიდან)

გალის რაიონში (აფხაზეთი) სოფლის საბჭოების დათვალიერება პირველი სექტემბრიდან დაიწყო. გამოყოფილია დათვალიერების რაიონული შტაბი. სას. საბჭოებთან ჩამოყალიბდა ბრიგადები; ამის გარდა რაიაღმასკომის მიერ გამოყოფილია 7 ბრიგადა, რომელნიც, სას. საბჭოებთან გამოყოფილ. ბრიგადებთან ერთად, აწარმოებენ საბჭოების დათვალიერებას.

24 სექტემბრამდე გალში მოწყობილი იყო კურსკონფერენცია, სადაც ბრიგადის წევრებს განემარტათ—თუ როგორ უნდა ეწარმოებინათ დათვალიერება და რისთვის უნდა მიექციათ მთავარი ყურადღება.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოების დათვალიერება პირველ სექტემბრიდან დაიწყო, გალის რაიონულ შტაბს 9 სექტემბერსაც კი არ ქონდა მიღებული ცნობები დათვალიერების მიმდინარეობის შესახებ.

„ჩვენ ცნობებს ათ დღეში ერთხელ ვღებულობთ და ამიტომ ეხლა არ მოგვეპოვება მასალები დათვალიერების შესახებო"—განაცხადა 9 სექტემბერს რაიაღმასკომის მდივანმა.

თუ დათვალიერებს ფაქტიურად არ არის დაწყებული, ცხადია, მიმდინარეობაზე ლაპარაკიც ზედმეტია, მაგრამ, როდესაც დათვალიერება მიმდინარეობს და რაიონულ საბჭოების დამთვალიერებელმა შტაბმა მის შესახებ არაფერი იცის, ეს აუცილებლად უნდა მიეწეროს უპასუხისმგებლობას.

როგორც რაიშტაბი, ისე აღმასკომი და პარტიული კომიტეტი ყოველთვიურად უნდა იყვნენ დაინტერესებული იმით თუ როგორ მიმინარეობს ადგილებზე საბჭოების ათვალიერება. ამ საქმეში [illegible] გულგრილობას ბოლო უნდა მოეღოს.

„კომუნისტი"-ს ბრიგადა.

საბჭომ პირი უნდა იბრუნოს საკოლმეურნეო საკითხებისაკენ
(ონის რაიონი)

ჟაშქვის სოფლის საბჭო აერთიანებს 5 სოფელს—3805 კომლით. ამ სოფლებში ჩამოყალიბებულია 9 სას. სამ. არტელი რომელშიაც გაერთიანებულია მოსახლეობის 74,7 პროცენტი. აღნიშნული სას. საბჭო კოლმეურნეობებს სუსტ ხელმძღვანელობას უწევს. მაგ. მას არ მოუსმენია მოხსენება კოლმეურნეობების მუშაობის შესახებ; და მათ შორის არ არის მტკიცე კონტაქტი.

კოლმეურნეობებში შრომის აღრიცხვის, და მოსავლის აღება-განაწილების საკითხები ვერაა მოგვარებული. რასაც სას. საბჭო ყურადღებას არ აქცევს.

სუსტ მუშაობას უნდა მიეწეროს აგრეთვე ისიც, რომ საბჭომ, იყიდა შენობა, მაგრამ იგი უვარგისი აღმოჩნდა; ზოგიერთ ადგილას სკოლები, (პიპილეთის კოლმეურნეობის სკოლა) შეუკეთებელია, რის გამოც შეუძლებელი ხდება მეცადინეობა. მისი რემონტისათვის არავინ ზრუნავს.

საჭიროა რათა ჟაშქვის სას. საბჭომ პირი იბრუნოს სოფლად მიმდინარე პოლიტიკური და სამეურნეო კამპანიებისაკენ.

შიო.

საქ. კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა

ერთიან პარტიულ დღეს, 25 სექტემბერს, პარტუჯრედების ღია სხდომებზე კომკავშირის წევრებთან და უპარტიოებთან ერთად დამუშავებული იქნას საკითხი

„პარტიული განათლების ფორმებისა და ამოცანების შესახებ 1931—32 წელს".

საქ. კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი **ფანცულაია**

დიატომიტი
(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

დიატომიტი უცხო სიტყვაა. ეწოდება თეთრ მადანს, რომელიც წარმოსდგება ზღვის მიკროსკოპიულ ცხოველებისაგან — დიატომებისაგან. სხვანაირად დიატომიტს ეძახიან ინფუზორიულ მიწას, მთის მიწას, ტრეპელს, კიზელგურს.

დედა-მიწის ზურგზე მხოლოდ ორ ადგილასაა კარგი ხარისხის დიატომიტი: სოფ. ქისათიბში, ახალციხის ახლოს, და გერმანიაში, ლიუნებურგის ველზე, ჰანოვერში. მაგრამ ქისათიბისთანა დიატომიტი არ მოიპოვება არსად. თავისი ქიმიური შემადგენლობით ის ერთადერთია მთელს მსოფლიოში. ამიტომაა, რომ ქისათიბის დიატომიტზე დიდი მოთხოვნილებაა საზღვარგარეთ, განსაკუთრებით ამერიკაში. მიმდინარე წლის მესამე კვარტალში 3,000 ტონა დიატომიტი უნდა იქნას გატანილ უცხოეთში.

დიატომიტს დიდი სამრეწველო მნიშვნელობა აქვს. საკმარისია ჩამოვთვალოთ ის დარგები, სადაც იხმარება დიატომიტი, რომ ნათელი გახდეს ამ იშვიათი მადანის მნიშვნელობა. დიატომიტი იხმარება როგორც იზოლიატორი, როგორც დინამიტის შემადგენელი ნაწილი, როგორც თხიადი შუშის წარმომშობი. ამას გარდა, დიატომიტს დიდი გასავალი აქვს რეზინის წარმოებაში, იხმარება აგრეთვე როგორც საამშენებლო მასალა, როგორც ფილტრი, როგორც საცობი სიმჟავეების ჭურჭლისათვის, ერთი სიტყვით, ინფუზორიული მიწა მეტად სასარგებლო საგანს წარმოადგენს თანამედროვე ტექნიკაში.

ცნობილმა ინგლისელმა ქიმიკოსმა ბოვერტომ რედვუდმა სცადა ქისათიბის დიატომიტის გამოყენება მინერალურ ზეთების გასაწმენდათ და დადებითი შედეგები მიიღო: „ამ მიწას —სწერს ის—აქვს შესანიშნავი თვისება—გაწმინდოს და რამდენიმეთ ფერი შეუცვალოს მინერალურ ზეთებს. ამიტომ საჭიროა უფრო ფართო გამოკვლევების წარმოება ამ მიმართულებით".

ამ მოკლე წინასიტყვაობის შემდეგ ნათელი ხდება დიატომიტის წარმოების მნიშვნელობა. ბევრმა არც კი იცის, რომ საქართველოში სწარმოებს ასეთი მადანის ამოღება და დამუშავება.

⁂

სოფ. ქისათიბი მდებარეობს ახალციხის 18 კილომეტრის მანძილზე, ოსმალეთის საზღვრის ახლოს, სოფელი არწივის ბუდესავით მიკრუნჩხულია მაღალ მთის წვერზე. კარიერები კი, სადაც მადანის დამუშავება სწარმოებს, რამდენიმეთ კიდევ უფრო მაღლაა. როდესაც შორიდან შეხედავ მადნიან მთას, ვერც კი წარმოიდგენ როგორ შეიძლება მის ქეროზე მოქცევა. ნამდვილად კი მაღაროებამდი მიდის მშვენიერი საავტომობილო გზატკეცილი, რომელიც ამ ორი წლის წინად გაიყვანეს.

აი ამ ადგილას, 1.600 მეტრზე ზღვის დონიდან, ოდესღაც ზღვა ყოფილა. ეს უზარმაზარი მთა, რომლის გულსაც შესევიან ეხლა ქისათიბელი, გრომელი და ჩხორძელი გლეხები, ზღვის ძირს წარმოადგენდა. როდესაც ზღვამ დაშრობა დაიწყო მახლობლად ვულკანის ამოქმედების გამო, ზღვის ურიცხვმა მიკროსკოპიულმა ცხოველებმა იწყეს ზღვის ფსკერზე თავმოყრა. ფენაფენას ემატებოდა, გორა-გორას და გაჩნდა ინფუზორიების უზარმაზარი მთა, რომელიც შემდეგ გაქვავდა და გადაიქცა ეხლანდელ დიატომიტათ.

ეს რომ ასეა, ამას ამტკიცებს შემდეგი გარემოება: ხშირად დიატომიტის თხრის დროს მუშები პოულობენ მადანის ისეთ ნაჭრებს, რომელზედაც გამოხატულია თევზის ჩონჩხი. როდესაც ინფუზორიები კვდებოდნენ და ერთმანეთზე ეწყობოდნენ, მათ შორის მოყვებოდა ხოლმე თევზი. ბუნებრივი დაწნეხვის დროს თევზი იჭყლიტებოდა და დიატომიტის ქვაზე რჩებოდა მისი გამოსახულება. ხშირია აგრეთვე გაქვავებული ზღვის ზღარბების და ზღვის სხვა ცხოველების პოვნის შემთხვევები. ყველაფერი ეს მოწმობს, რომ დღევანდელი მესხეთი კაცობრიობის წარმოშობის უხსოვარ დროში ზღვის ძირს წარმოადგენდა.

როგორია თვით დიატომიტი?

დიატომიტი თოვლივით თეთრია, ფხვიერი ფორებიანი მასაა, რომელიც ერთი შეხედვით ცარცს გავს, მაგრამ მაზზე უფრო რბილი და მსუბუქია. დიატომიტი ადვილად იფშვნიტება ხელში.

წყალნარევი დიატომიტი მონაცრისფეროა. როცა მზეზე გაშრება-გათეთრდება. როდესაც შორიდან უცქერი, დიატომიტის ფენას, გეგონება — ეს სალი კლდეა. მიხვალ ახლოს, ჩაავლებ ხელს ერთ-ერთ ნაჭერს და შეეცდები მის მოტეხვას. თქვენს თვალწინ ჩამოინგრევა დიატომიტის უზარმაზარი ბელტი. მადანის ნგრევა ადვილია. კირკა აქ თითქმის ერთადერთი იარაღია.

ალაგ-ალაგ დიატომიტის ფენას მისდევს მუქი მოყვითალო ხაზი. ეს არის რკინის მჟავა, რომელიც თან სდევს დიატომიტს. მას ადვილად აშორებენ გარეცხვით.

დიატომიტი ღრუბელივით იწოვს წყალს. წყალში რომ ჩააგდოთ მშრალი დიატომიტი, ის ჯერ არ იძირება. შემდეგ შეისვამს წყალს და ფსკერისკენ წავა. დიატომიტს შეუძლია წონით 4—5-ჯერ მეტი წყალი შეისვას, ვიდრე თვითონ იწონის. ქისათიბის ჰორიზონტზე რომ ღრუბლები გამოჩნდება, დარწმუნებული უნდა იყო, რომ წვიმა მოვა. დიატომიტი ანდამატივით იზიდავს სისველეს. დილით რომ გაიაროთ მადანის რაიონში, გეგონებათ აქ ძლიერი წვიმა ყოფილაო. ნამდვილად კი ეს ცვარია დიატომიტის მიერ შესრუტული.

დიატომიტს აქვს ერთი მეტად საყურადღებო თვისება. ის არ ატარებს არც სითბოს, არც სიცივეს. ქისათიბის ქარხანაში ეხლაც არის შემთხვევით შემონახული თოვლი, რომლისათვისაც ზამთარში მუშებს თავზე წაუყრიათ დიატომიტი. როდესაც წელს გადათხარეს ეს დიატომიტი, ქვევით იპოვეს მშვენივრად შენახული თოვლი. ამ თვისების გამო დიატომიტს ფართოთ იყენებენ საყინულეების მშენებლობაში.

დიატომიტის წარმოება შედარებით ახალი წარმოებაა, თუმცა მას ყველს დროშიაც ფართო გასავალი ჰქონია. უძველესი ისტორიოგრაფი სტრაბონი იხსენიებს რაღაც მსუბუქ მოყვითალო მიწას, რომელსაც ხმარობდნენ გემებზე ასაფეთქებელი მასალების დასაცავად ხანძრისა და აფეთქებისაგან; ამ მიზნით ხის ყუთებს, რომლებშიაც ეწყო ის ასაფეთქებელი მასალა, ზევიდან უსვამდნენ ინფუზორიულ მიწას.

შენახულია აგრეთვე ცნობები, რომლის თანახმად იტალიელი ფაბრონი, 1791 წელს დიატომიტისაგან ამზადებდა ხელოვნურ ქვებს და მსუბუქ ცეცხლგამძლე აგურს. ეს აგური ხასიათდებოდა იმით, რომ ცუდად ატარებდა სითბოს და არ კლებულობდა მოცულობაში.

თანამედროვე ტექნიკაში დიატომიტის ფართოდ გამოყენება დაიწყო მას შემდეგ, რაც აღმოჩენილი იქნა მისი მძლავრი ბუდობები გერმანიაში. მაგრამ თუ ერთმანეთს შევადარებთ გერმანიის და ქისათიბის კიზელგურს, უნდა ვსთქვათ, რომ უპირატესობა აშკარად უკანასკნელის მხარეზეა. გერმანიის დიატომიტი ძალზე ფხვიერია და მეტად ადვილად იშლება. ამას გარდა, მასში ურევია სილა და სხვა გარეშე ნივთიერებანი, რომელთა მოსაშორებლად საჭიროა დიატომიტის გარეცხვა. ქისათიბის დიატომიტში გარეშე ნივთიერებანი ძალზე უმნიშვნელოა. მადანს არ ესაჭიროება გარეცხვა. ქისათიბის დიატომიტს აქვს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობა: ის თოვლივით თეთრია, მაშინ, როდესაც გერმანიის დიატომიტი მუქი ნაცრისფერი და შოკოლადის ფერია. სითეთრე დიდ როლს თამაშობს ზოგიერთ ქიმიურ წარმოებებში.

ამრიგად, ქისათიბის დიატომიტი ფერის, მადანის სისუფთავის და მისი ფენობრივი მდებარეობის მხრივ ერთად-ერთია მთელს მსოფლიოში. ვნახოთ ეხლა რა მდგომარეობაშია ეს იშვიათი წარმოება?

⁂

ქისათიბი ისტორიის შარაგზაზე გამოვიდა 1895 წელს. ამ წლიდან აქ მადანის დამუშავებას შეუდგა რუსეთის იმპერიის ყოფილი კონსული ტრაპიზონში, ახალციხელი მემამულე ბეთანელი. მის დროს მაღაროების წლიური ნაყოფიერება არ აღემატებოდა 2.000 ფუთს. ბეთანელს გაუთავებელი დავა ჰქონდა მეორე მემამულე მეფისოვთან, ორივე მათ კი ედავებოდა სახაზინო უწყება. დავა გადასწყვიტა საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელმაც კუდამოძუებული გაისტუმრა სამივე მუქთახორა. დღეს ეს წარმოება ქართველ, სომეხ და თათარ მშრომელთა საკუთრებაა.

დიატომიტის წარმოებაში ეხლაც მუშაობს ძველი მუშა გიორგი ინასარიძე. მას კარგათ ახსოვს მემამულე ბეთანელის დრო. მაშინ დიატომიტის მუშა ზამთარში დღეში იღებდა 25 კაპ., ზაფხულში კი 40 კაპ. ბეთანელს არ სწამდა მუშა-ხელის ორგანიზაციულად შეგროვების საჭიროება. გავიდოდა სოფელში, შედგებოდა მაღალ ბორცვზე, გადაუყრიდა ბავშვებს ვერცხლის ორშაურიანებს და მიყავდა სამუშაოდ.

ბეთანელი არხეინად გრძნობდა თავს მენშევიკების დროსაც. „დემოკრატიულ სამოთხეშიც" ბეთანელი ამუშავებდა დიატომიტს. მაგრამ მოვიდნენ ბოლშევიკები და მიაბრძანეს ბეთანელი ქისათიბიდან, წარმოებას კი სათავეში დაუყენეს მუშები. დღეს დიატომიტს განაგებს მუშა ა. ევიაზაროვი, რომელსაც მიცემული აქვს დავალება დიატომიტის ამოღება მიმდინარე წლის ბოლოს აიყვანოს 13200 ტონამდე, ხოლო დაფქვა 6.600 ტონამდე. ბეთანელს დიატომიტის დასაფქვავად ახალციხეში ჰქონდა ერთი საცოდავი წისქვილი, დღეს კი ქისათიბში, მაღაროების გვერდით, წამოჭიმულია ხუთთვალა ელექტრონის წისქვილი.

დიატომიტს 1925 წლიდან ამუშავებდა ახალციხის სამაზრო აღმასკომი. 1927 წელში ის გადაეცა საქ. ს.მ.უ. საბჭოს. ამჟამად კი ქისათიბის დიატომიტი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმოებაა ამ-კავ. ს.მ.უ. საბჭოს წარმოებათა შორის.

დიატომიტი დიდი რაოდენობით იგზავნება საზღვარგარეთ. მიდის უმთავრესად ამერიკაში. უცხოეთში იგზავნება კენჭი დიატომიტი, საბჭოთა კავშირის ქარხნებში კი დაფქვილი. მარტო მესამე კვარტალში საზღვარგარეთ უნდა გაიგზავნოს 3.000 ტონა დიატომიტი.

1-ლ მაისს დიატომიტის წარმოება გამოცხადდა დამკვრელ წარმოებათ. მუშებმაც დამკვრელი ტემპები განავითარეს და წლის პირველი ნახევრის გეგმა მადანის ამოღების დარგში 182,6 პროც. შეასრულეს. დიატომიტის ამოღება შედარებით იოლი საქმეა, მისი გაშრობა კი უფრო ძნელი. აქ წარმოება მთლიანად ამინდზეა დამოკიდებული. შეიძლება არსად არ ნატრულობდნენ ისე მზეს, როგორც ქისათიბში. ავდარს ზარალი და შრომის უნაყოფო დაკარგვა მოაქვს წარმოებისათვის.

ქისათიბის ქარხანას არ აქვს მადანის მექანიკური საშრობი. დიატომიტი შრება ჰაერზე. ამ წესით მადანის გაშრობას სჭირდება ოთხი დღე. თუ დააწვიმა, ეს დრო კიდევ უფრო გაგრძელდება. ზამთარში, როდესაც მზე სანატრელი ხდება და წვიმა და ნისლი სულს უხუთავენ წარმოებას, დიატომიტს აშრობენ პრიმიტიულ ღუმელებში. მაგრამ გამდიდრების მაგივრად ეს აღარიბებს მადანს. ღუმელში გამომშრალი დიატომიტი უკვე აღარ გავს დიატომიტს; ის უფრო ქვანახშირს წაგავს, იმდენად ჰკარგავს ის სითეთრეს და შავდება ცეცხლზე. მადანის დიდი ნაწილი ასეთი გამოშრობის შემდეგ უვარგისი ხდება. ამ ნაკლის შესავსებათ ქარხნის ახალმა დირექტორმა გამოიგონა მექანიკური საშრობი, სადაც მადანის გაშრობა იწარმოებს ცხელი ჰაერით. ამ გამოგონების განხორციელებით წარმოება თავს დააღწევს დიდ ზარალს.

⁂

წარმოებას ბევრი „ვიწრო ადგილი" აქვს, მაგრამ მთავარია მათ შორის მუშათა მომარაგება და ტრანსპორტი. დიატომიტზე მუშაობს 62 მუშა და 28 მოსამსახურე. დიატომიტი შეტანილია მეორე კატეგორიის მომარაგებაში. მუშები უნდა ღებულობდნენ კილო შაქარს თავის თავზე და კილოს ოჯახის წევრებზე, მაგრამ ეს ნორმა მათ ჯერ არასოდეს არ მიუღიათ მთლიანად. ივლისში შაქარი სულ არ მიუღიათ, აგვისტოში კი დაარიგეს ნახევარი კილო მუშებზე.

მომარაგება ცეკავშირის ხელშია. ეს ისეთი ორგანიზაციაა, რომელიც არავითარ ანგარიშს არ უწევს ადგილობრივ პირობებს. მაგალითად, ივნისში ცეკავშირი ქისათიბში გზავნის 150—200 მანეთიან პალტოებს. ჯერ ივნისში პალტო ვის რათ უნდა და ისიც ასეთი ფასიანი! პალტოები ეწყო ერთხანს და შემდეგ უკან გაგზავნეს. მუშებმა ვერ შესძლეს მისი ყიდვა. საერთოდ, ქისათიბის დახურულ კოოპერატივში ფასები სამრეწველო საქონელზე საგლეხო სექტორისაა, წარმოება კი უნდა მარაგდებოდეს მეორე კატეგორიით.

ივნისში ცეკავშირმა დიატომიტის წარმოებისათვის გამოგზავნა 150 კილო მზესუმზირას ზეთი. ახალციხის სამომხმარებლო საზოგადოებამ ისარგებლა იმით, რომ იგი ქისათიბზე უფრო ახლოა ბორჯომთან, წამოიღო ზეთი და მოიხმარა თავისი საჭიროებისათვის. ვიშოვით და მოგცემთო — ანუგეშებს იგი დიატომიტის კოოპერატივს.

სამრეწველო საქონელი იშვიათად გამოჩნდება ქისათიბის კოოპერატივში და ისიც არასაკმაო რაოდენობით.

კვების საქმე უკანასკნელად უმჯობესდება. სადილი ღირს 40 კაპ.

წარმოებას არ ყავს საკუთარი ტრანსპორტი. ქისათიბიდან ახალციხემდე მადანს ეზიდებიან ფურგონებით. ახალციხიდან ბორჯომამდე კი ავტომობილებით. წარმოებას ხელშეკრულება აქვს დადებული „სოიუზტრანს"-თან, რომლის ძალით ამ უკანასკნელმა 510 ტონა მადანი უნდა გადაიტანოს ავტომობილებით ყოველთვიურად ქისათიბიდან ბორჯომამდე. მაგრამ ქისათიბიდან ერთი ტონაც არ წაუღია.

საერთოდ, „სოიუზტრანსი" აქ დიატომიტის წარმოების ხელის შემშლელად გამოდის. ახალციხიდან დიატომიტის მაღაროებამდე გაყვანილია მშვენიერი გზატკეცილი. ავტომობილებს თამამათ შეუძლიათ ამ გზაზე მუშაობა, მაგრამ „სოიუზტრანსი" გაიძახის — გზა არ ვარგა, და მაზზე ვერ ვიმუშავებთო. რამდენჯერმე იყო გამოყოფილი კომისია გზის შესამოწმებლად, ყველა ამ კომისიებმა დაადასტურეს გზის ვარგისიანობა, „სოიუზტრანსი" კი გაიძახის — არ ვარგაო.

როგორც აღვნიშნეთ, „სოიუზტრანსი" მადანს უნდა ეზიდებოდეს ქისათიბიდან, ნამდვილად კი მიაქვს ახალციხიდან და ისიც არა რეგულიარულად და არა საკმაო რაოდენობით. ხშირად ხუთ ტონიან მანქანაზე აწყობენ 2,5 ტონა დიატომიტს, ორნახევარ ტონას კი ავსებენ მგზავრებით.

ხელშეკრულების ძალით „სოიუზტრანსი" ვალდებულია ბორჯომში დიატომიტის სახელზე მოსული ტვირთი გადაგზავნოს დანიშნულებისამებრ. ამას წინად „სოიუზტრანსმა" მიიღო დიატომიტის სახელზე მოსული ერთი ვაგონი ქერი, მაგრამ დანიშნულებისამებრ გადაგზავნის მაგიერ... მიითვისა. დიატომიტი, დღესაც ეძებს ამ ტვირთს.

ასეთ პირობებში უხდება მუშაობა წარმოებას, რომელიც საექსპორტო საქონელს ამზადებს.

დიატომიტის წარმოებას ხელს უშლის „გრუზპრომსტროი"; „გრუზპრომსტროი"-ს დავალებული აქვს საცხოვრებელი სახლების აგება დიატომიტის მუშებისათვის. მიუხედავათ იმისა, რომ საამშენებლო მასალა თითქმის მთლიანად დამზადებულია, მუშაობა ვერ გაიშალა საჭირო ტემპით. უბინობა კი ძალზე აფერხებს მუშაობას. მუშებს წარმოებაში სიარული უხდებათ შორეულ სოფლებიდან, რაც გავლენას ახდენს შრომის ნაყოფიერებაზე. ამჟამად წარმოებას ბინა აქვს მხოლოდ 30 კაცისათვის, დანარჩენები თავიანთ სახლში დადიან.

⁂

დიატომიტის მარაგი ქისათიბში გამოანგარიშებულია 850 მილ. ტონას რაოდენობით. ეს ისეთი მნიშვნელოვანი მარაგია, რომ იგი საკმარისია ათეული და ასეული წლებისათვის. ამას გარდა, არის კიდევ დიატომიტის მეორე მთა, რომელიც ჯერ ხელუხლებელია. ეს გარემოება და ის, რომ მოთხოვნილება დიატომიტზე წლითი წლობით იზრდება, წარმოების წინაშე აყენებს საკითხს რეკონსტრუქციის და გაფართოვების შესახებ.

უკვე გადაწყვეტილია დიატომიტის ახალი მძლავრი ქარხნის აგება, რომელიც ყოველწლიურად დაფქავს 25.000 ტონა დიატომიტს. მუშაობა უკვე დაწყებულია. ქარხანა შენდება ყოფ. მემამულე დელიბაშის ყოფ. მამულში, რომელიც არსებული ქარხნიდან დაშორებულია ოთხ კილომეტრით.

ქარხანა შენდება ჭაკე ადგილას, მაღაროები კი მდებარეობენ უშველებელ მთაზე. მაღაროებიდან ქარხნამდე გაყვანილი იქნება ვიწროლიანდაგიანი რკინისგზა, ე. წ. „ბრემსბერგი", რომლითაც იწარმოებს მადანის მიწოდება ქარხნისათვის, (ბრემსბერგი ფუნიკულიორისთანა რკინისგზაა, რომელზედაც ერთდროიმავე დროს ადიან კიდეც და ჩამოდიან ვაგონები). რკინისგზაზე ივლის 6 ვაგონი, რომლებიც ერთდროულად წაიღებენ 6 ტონა მადანს.

ახალი ქარხანა მზად უნდა ყოფილიყო მომავალ წელში, მაგრამ არ ესწრება. მუშაობა შეაფერხა გეგმების დაგვიანებით დამტკიცებამ და მუშა-ხელის ნაკლებობამ. ახალი ქარხნის ამუშავების დროისათვის დიატომიტის ამოღება დაიწყება მეორე მთაზეც, საიდანაც ქარხნამდე გაყვანილი იქნება საბაგირო გზა.

⁂

როგორც ზემონათქვამიდან სჩანს, დიატომიტის წარმოება ერთ-ერთ მნიშვნელოვანი წარმოებაა მთელ საბჭოთა კავშირის მასშტაბით. ამავე დროს მას არ ექცევა ისეთი ყურადღება, რომლის ღირსიც ის არის. მას ბევრი რამ აკლია. არარის გატარებული მექანიზაცია. ზევით ჩვენ ვსთქვით, რომ ქარხანამ მადანის ამოღების გეგმა წლის პირველ ნახევარში გადაჭარბებით შეასრულა. მაგრამ ამავე დროს ქარხანა მნიშვნელოვნად ჩამორჩა დაფქვის გეგმის შესრულებაში. ჩამორჩა იმიტომ, რომ მას არ აქვს ტომრები დაფქვილი მადანის ჩასაყრელად. ივლისში და აგვისტოში დაფქვა სრულებით არ სწარმოებდა და ხუთი თვალი წისქვილი გაჩერებული იყო.

ქარხანას კვარტალში ესაჭიროება 38.000 ტომარა, მას ამის მესამედიც არ გააჩნია. ეს აფერხებს მუშაობას. ამას სასწრაფოდ უნდა მიექცეს ყურადღება.

არის კიდევ მთელი რიგი დეფექტები, რომელზედაც ჩვენ არ შევჩერებულვართ. საგაზეთო წერილის ფარგლები არ გვაძლევს ამის საშუალებას. ყველა ამ დეფექტების აღმოსაფხვრელად საჭიროა მეტი კონკრეტული ხელმძღვანელობა და ბორჯომ-ახალციხის ორგანიზაციების მობრუნება პირით დიატომიტისაკენ.

შალვა ბუაჩიძე

ახალციხე.

რადიოს დახმარების ოცდღიური

გამოვიყენოთ რადიო-ქსელის ფართოდ გაშლისათვის

ოცდღიურს დაგვიანებით გამოეხმაურენ

(ქუთაისი).

რადიომდათვალიერების ოცდღიურს ქუთაისში დაგვიანებით გამოეხმაურენ. მხოლოდ 12 სექტემბერს ჩამოყალიბდა ოცდღიურის ჩამტარებელი შტაბი. შეიმუშავდა გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მთელ რიგ ღონისძიებათა გატარებას, როგორც ქალაქის, ისე სოფლის მოსახლეობაზე რადიომსახურების გაუმჯობესების მიზნით. შტაბმა დაადგინა ოცდღიური გაგრძელდეს 1 ოქტომბრამდე.

ქუთაისის რადიოსადგურის ქსელში აქვს 557 წერტი — რადიო სატრანსლიაციო ხაზზე, ხოლო სოფლად 9. ქალაქში წერტების მუშაობა შედარებით დამაკმაყოფილებელია, ხოლო სოფლებში მუშაობს მხოლოდ ქვიტირის და ჭოგნარის ხაზი. ქალაქად ხმამაღლა მოლაპარაკე რეპროდუქტორები დღემდე მოუწყობელია, თუმცა ჩამოიტანეს 6 ცალი რეპროდუქტორი, მაგრამ ქუთაისისათვის უვარგისი აღმოჩნდა.

ქუთაისის რადიო-სატრანსლიაციო სადგური დღემდე მოთავსებული იყო ერთთვალიან დარაბაში — ამჟამად ეს საკითხი მოგვარებულია. რადიოსადგურს დაეთმო სპეციალური ოთხოთახიანი შენობა, სადაც ამჟამად რემონტი მიმდინარეობს.. მაგრამ რადიოსადგური ახალ შენობაში გადასვლისათვის მაინც არ არის მზად, რადგან არ არის რადიოხაზის მოწყობისათვის საკმაო მასალა, რაც მთავარია — არ არის „ბერმანის მილების" და სპილენძის მავთული. ადგილობრივი ელექტროსადგურის ხელმძღვანელობა ნაკლებ დახმარებას უწევს რადიოსადგურს საჭირო მოწყობილობათა დამზადებაში.

რადიო სატრანსლიაციო სადგურის ახალ შენობაში მოეწყობა: რადიოკლუბი, სტუდია და სპეციალური რადიოსახელოსნო.

ძალზე სუსტი ყურადღება ექცევა რადიოსადგურს ცალკე ორგანიზაციების მხრივ, დღემდე არ არის შესრულებული ა.-კ. სახკომსაბჭოს დადგენილება ა. წ. 19 აპრილიდან რადიოფიკაციის საჭიროებისათვის ფულადი სახსრების გაღების შესახებ. კერძოთ, ქალაქის აღმასკომებს ევალებოდათ გაეღოთ ხარჯთაღრიცხვის 75 პროც. და გაეცათ სესხათ სააბონემენტო დავალიანებისათვის 50 პროც., მაგრამ ქუთაისის ქალაქის საბჭოს მიერ ეს დადგენილება ჯერ არ არის შესრულებული.

ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით სხვადასხვა ორგანიზაციებს რადიოფიკაციის ფონდში უნდა შეეტანათ ერთდროული გამოსაღები **15.000 მანეთი**, გარდა ღარიბკომისა ეს დადგენილება დღემდე არავის შეუსრულებია. კოოპერაცია და პროფსაბჭო ამ საკითხზე სდუმან. ქუთაისის პოლიტგანს თავის ხაზით სოფლად დადგმული აქვს რადიო, მაგრამ არც ერთი მათგანი არ მუშაობს. ისეთი მნიშვნელოვანი კოლმეურნეობები, როგორიცაა პატრიკეთის კომუნა, გეგუთის კოლექტივი „წინსვლა", წყალტუბო და სხვა, მოკლებულია რადიომსახურებს, თუმცა აპარატები აქვთ, მაგრამ მოუწყობლობის გამო არ მუშაობენ. პოლიტგანს არ სურს რადიოაპარატურები გადასცეს ქალაქის რადიოსადგურს, ეს უკანასკნელიც არ იტკივებს თავს სოფლის ქსელების მოსაწყობად.

დღემდე არავის უფიქრია რადიოტექნიკის გადასამზადებელ კურსების მოწყობაზე.

ქუთაისის ორგანიზაციებმა თავი უნდა დაალწიონ რადიოფიკაციის მნიშვნელობის შეუფასებლობას და მიმდინარე რადიოდახმარების ოცდღიურში მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღონ...

რადიოცენტრმაც უნდა გააძლიეროს ხელმძღვანელობა ადგილებისადმი.

„კომუნისტი"-ს ბრიგადა: ვ. ლალიაშვილი, გ. ჭარხალაშვილი.

საჭიროა რადიო-აპარატის შეკეთება

(სენაკის რაიონი)

სენაკის რაიონში რადიოქსელის გაშლას ყურადღება არ ექცევა. ამის სანიმუშო მაგალითს იძლევა სოფ. ზანია. გასულ, 1930 წლის ზაფხულში, როგორც იქნა სოფ. ზანაში დადგეს რადიო, რომელიც შეძენილი იქნა ადგილობრივი პარტკომკავშირის და პროფკავშირული ორგანიზაციების მიერ შეგროვებული თანხებით.

პირველ ხანებში საკმაოდ სარგებლობდა თემის მშრომელი გლეხობა ამ რადიოთი, მაგრამ იგი ადრე დამუნჯდა და აგერ ნახევარ წელზე მეტია, რაც შეუკეთებელია და მის შეკეთებაზე არც ერთი ორგანიზაცია არ ზრუნავს, რაც ყოვლად დაუშვებელი და უმსგავსო მოვლენაა.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ სოფ. ზანში არ არის დაარსებული რადიო მოყვარულთა წრეები. ამ საქმის მოსაგვარებლად არავინ ფიქრობს, საჭიროა ამ ნაკლის დაკვრითი წესით აღმოფხვრა. როგორც რაიონის, ისე თემის პარტიულ, საბჭოთა პროფესიონალურმა და სხვა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ მუშაობა რადიო ქსელის სათანადო გაშლისათვის.

გრ. ესებუა.

რადიო-ქსელი უნდა გაიშალოს

(ჩოხატაურის რაიონი)

ჩოხატაურის რაიონში რადიოქსელის ფართოდ გაშლას ყურადღება არ ექცევა. მეტადრე ძალზე ცუდათ დგას ეს საკითხი სოფლებში. დღეს ჩოხატაურის რაიონის არც ერთ სოფელში არ არის რადიო. ზოგიერთმა კოლმეურნეობებმა და თემსაბჭოებმა სცადეს თავისივე თანხებით მოეწყოთ რადიო, მაგრამ სათანადო ორგანოების უყურადღებობის გამო, მათი გეგმა ჩაიშალა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რაიონული პარტიული, საბჭოთა, პროფესიონალური და სხვა ორგანიზაციების უყურადღებობა რადიო - ქსელის გაშლისათვის. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ორგანიზაციებს რამოდენიმეჯერ მიმართეს თხოვნით, კოლმეურნეობებმა და სოფლის საბჭოებმა, რადიოს დადგმის შესახებ, მაგრამ მათ ამისათვის ყურადღებაც არ მოუქცევიათ.

საჭიროა, ეხლავე აღმოიფხვრას ეს ნაკლი. ქოხსამკითხველოებმა, კლუბებმა, კულტსაბჭოებმა და სხვ. უნდა გააცხოველონ მუშაობა რადიო წრეების ჩამოსაყალიბებლად. რადიო დახმარების ოცდღიური უნდა გადავაქციოთ არსებული დეფექტების აღმოსაფხვრელად და რადიო ქსელის ფართოდ გასაშლელად.

ილ. ბოლქვაძე.

გამოვიყენოთ რადიო ჩამორჩენებთან ბრძოლაში

(ტყიბულის მაღაროები)

ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებში მოწყობილია რადიო. დადგმულია მიკროფონი, არის მიღები აპარატი, ხმამაღლა მოლაპარაკე და სხვ. მაგრამ აპარატები სრულიად გამოუყენებელია. შეფერხებულია რადიო გადაცემა, რადიო გადაცემის შეფერხება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ არავის არ შეუწუხებია თავი მიკროფონების გამაძლიერებლის შეძენაზე რადიო არ არის გამოყენებული მასიური კულტმუშაობისათვის, არ სწარმოებს რადიო გადაცემა, არ არის რადიო გაზეთი და სხვ.

მაღაროების ტერიტორიაზე თითქმის ყველა კერძო მდგმურებს აქვთ ბინაზე რადიო, მაგრამ მუშათა საერთო საცხოვრებელში არც ერთი ხმამაღალი მოლაპარაკე რადიო არ არის.

ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ამ მხრივ სრული უყურადღებობა გამოიჩინეს. ადგილი აქვს რადიო გადაცემის, როგორც მასიური კულტმუშაობის გაშლის საუკეთესო საშუალების შეუფასებლობას. არ არსებობს რადიო მოყვარულთა წრეები და სხვ. კომკავშირის ორგანიზაცია ყურადღებას არ აქცევს რადიოს გავრცელების საქმეს. რადიომუშაობის დათვალიერების ჩასატარებლად დღემდე არც ერთ ორგანიზაციას ხელიც არ გაუნძრევია.

საჭიროა ამ მდგომარეობას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს. ტყიბულის რაიპროფკავშირთა საბჭომ და მაღარკომმა გააძლიერონ ხელმძღვანელობა. რადიოს გავრცელებაზე. რადიო გადაცემა და რადიო საუბრები უნდა გამოვიყენოთ ჩამორჩენების აღმოსაფხვრელად—ქვანახშირის გამოღების გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ლ. ჯავახაძე.

გამაძლიერებლის უქონლობა აფერხებს რადიო-მუშაობას

(ზესტაფონი)

რადიოს დახმარების ოცდღიურთან დაკავშირებით ზესტაფონის რაიონში რადიოფიკაციის საკითხში შესამჩნევი გარდატეხა მოხდა. რაიშტაბმა დაგზავნა ბრიგადები კოლმეურნეობებში და ფაბრიკა-ქარხნებში, რომლებსაც მიეცათ სამუშაო გეგმა. ფეროშენადნობთა ქარხანაში 50 მილიმეტრის მანძილზე შინა რესურსების საშუალებით აიმართა ორი წვერი მავთული და ოცდღიურთან დაკავშირებით ამუშავდა სპეციალური რადიო. ადგილობრივი რადიო კვანძს აქვს მრავალი დაბრკოლებები, რომლის დაკვრითი წესით უნდა იქნეს აღმოფხვრილი. კვანძს არ გააჩნია შესაფერისი გამაძლიერებელი, არც აქვთ არავითარი მასალები მისაღებად არც ბაზარზე იშოვნება, რის გამოც რამოდენიმე უბანი დარჩენილა რადიოფიკაციის გარეშე.

ადმინისტრაციის მიერ რამოდენიმეჯერ იყო აღძრული საკითხი გამაძლიერებლის უვარგისობის და საჭირო მასალების მომარაგებაზე. მაგრამ ეს საკითხი დღემდე უყურადღებოდ არის დარჩენილი.

რაიაღმასკომის ხელშეკრულებით გათვალისწინებული 7000 მან. რადიო ფონდის გასაძლიერებლად ჯერაც არ არის გადახდილი, რაც სათანადო დაღს აჩენს რადიოფიკაციის გაშლას. ვიმედოვნებთ რომ რაიშტაბის მიერ გაგზავნილი მასალების საფუძველზე რესპუბლიკანური შტაბი ამ საკითხს მიაქცევს სათანადო ყურადღებას.

სისორდია.

ხელოვნება

საქ. ეთნოგრაფიული გუნდი დაბრუნდა თბილისში

ამ დღეებში თბილისში დაბრუნდა განათლების კომისარიატთან არსებული ქართველ ეთნოგრაფიული ხოროვანთა გუნდი ლოტბარ პაჭკორიას ხელმძღვანელობით, რომელმაც ზაფხულის პერიოდში იმოგზაურა დასავლეთ საქართველოში, აჭარისტანში და აფხაზეთში. გუნდია უფასო კონცერტები გამართა ჭიათურაში, ქუთაისში, ხონში, ოზურგეთში, ბათომში, ზუგდიდში, გალაში, სოხუმში, კოდორში და თბომავალ „აფხაზეთზე". სულ გაიმართა დაახლოვებით 15 უფასო კონცერტი. თავისი მოგზაურობის დროს გუნდმა შეაგროვა რამოდენიმე ძველი და ახალი ხალხური სიმღერა.

ამჟამად გუნდს განზრახული აქვს თავისი მუშაობის კიდევ უფრო გაფართოების და მშრომელი მასებისათვის კულტურული სამსახურის გაწევის უკეთ გაწევის მიზნით გუნდში მოიწვიოს საქართველოს სხვადასხვა კუთხეების ცნობილი სახალხო მომღერლები.

მიხეილ შარაბიძის ხსოვნას

გარდაიცვალა მ. შარაბიძე, რომელიც სამუსიკო მოღვაწეთა შორის ერთ-ერთ თვალსაჩინო პიროვნებას წარმოადგენდა. მას ჰქონდა უმაღლესი სამუსიკო განათლება. საქართველოში დაბრუნებისას იგი მასწავლებლობდა და ლოტბარობდა ქუთაისში. საყურადღებოა მისი მუშაობა ქართული ხალხური სიმღერების ჩაწერაში და მათ დამუშავებაში. განსვენებულს დარჩა დასაბეჭდად დამზადებული ასეთი სიმღერების რამოდენიმე ათეული, რომელიც სამუსიკო თვალსაზრისით ფრიად მნიშვნელოვანია. ამ უკანასკნელ ხანებში განსვენებული მუშაობდა ქუთაისის მუსტექნიკუმში, სადაც ასწავლიდა თეორია-ჰარმონიას.

სამუსიკო წრეებში და დაწესებულებებში, სადაც განსვენებული მუშაობდა, მისი ხსოვნა დიდ ხანს დარჩება, როგორც თავდადებული მუშაკის და ხალხური მუსიკის მოღვაწის.

მუსიკოსთა ჯგუფი.

ქრონიკა

პერსონალური პენსია ამხ. მ. ფილიას ოჯახს.

საქართველოს სახკომსაბჭოს დადგენილებით, გარდაცვალებულ ამხ. მელიტონ ფილიას ოჯახს დაენიშნა პერსონალური პენსია 250 მანეთის რაოდენობით (ადს).

ამერიკელი მეცნიერის ჩამოსვლა.

თბილისში ჩამოვიდა ამერიკელი მეცნიერი, კოლუმბიის უნივერსიტეტის პატალოგიის პროფესორი პაპენჰეიმერი, რომელიც მოგზაურობს საბჭოთა კავშირში სამეცნიერო-საგამოკვლევო დაწესებულებების, აგრეთვე პროფესორებისა და მეცნიერ მუშაკების გაცნობის მიზნით. საბჭოთა კავშირში მოგზაურობიდან მიღებული შთაბეჭდილებების შესახებ პროფესორმა აღნიშნა სამეცნიერო დაწესებულებების არაჩვეულებრივი განვითარება საბჭოთა კავშირში და საბჭოთა სწავლულების დიდი მიღწევები მეცნიერების დარგში (ადს).

მხატვრულ ლიტერატურის საკავშირო გამოფენა ლენინგრადში

ოქტომბრის უკანასკნელ რიცხვებში ლენინგრადში საკავშირო სამეცნიერო აკადემია, ყოფილ პუშკინის სახლში აწყობს თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურის საკავშირო გამოფენას, სადაც წარმოდგენილი იქნება საბჭოთა კავშირში შემავალ ყველა რესპუბლიკების მწერლობა. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება წიგნები, ხელთნაწერები, პორტრეტები, სურათები ავტობიოგრაფიები, შარჟები, წიგნის ყდები, კარიკატურები, ილუსტრაციები, მაკეტები და სხვ. ექსპონანტები. გამოფენაში მონაწილეობის მიღების მიზნით საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციამ გამოჰყო კომისია, რომელიც უკვე შეუდგა პრაქტიკულ მუშაობას. მასალები მიიღება მწერალთა ფედერაციაში — ხელოვნების სასახლე, მაჩაბლის 13, ოქტომბრის 15-მდე.



ბოსლების მშენებლობა საცდელ-საჩვენებელ საბჭოთა მეურნეობა „მოლოჩნოე"-ში (ვოლოგდის რაიონი)

ფოტოგრაფიული აპარატები ფასის ნაწილ-ნაწილად გადახდით

შემნახველ სალაროების ამიერ-კავკასიის განყოფილებამ ცენტრიდან მიიღო ფოტო-ვალდებულებათა საკონტროლო ციფრები. ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკისათვის გათვალისწინებულია 10.000 ფოტო-ვალდებულება. ამ რაოდენობიდან საქართველოსა და აზერბეიჯანისათვის—4.000 ცალი თითეულს, სომხეთისათვის—1.500 და რკინის გზის შემნახველ სალაროებისათვის 500 ცალი. ფოტო-ვალდებულებათა რეალიზაცია დაიწყება 1 ოქტომბრიდან (ადს).

სრ. საქართველოს რადიო - შეკრება

24 სექტემბერს, სრულ 8 საათზე, თბილისის დროით იწყობა სრულიად საქართველოს რადიო შეკრება. შეკრებაზე მოხსენებით გამოვა საქ. განათლების კომისრის მოადგილე ამხანაგი მიასაია, რომელიც გააკეთებს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო კამპანია და განათლების ორგანოების მონაწილეობა ამ კამპანიაში".

სხვადასხვა

საფ.-კოოპერატიული მუშფაკის მსმენელები მუშფაკში უნდა გამოცხადდნენ 26 სექტემბრამდე. აღნიშნულ დრომდე ვინც არ გამოცხადდება, მექანიკურად გაირიცხება მუშფაკიდან.

24 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე სტალინის სახელობის კლუბში შესდგება ტფილისის განათლების მუშაკთა საქალაქო კრება. დღის წესრიგში: საქ. კ.პ.(ბ) ცეკას დადგენილება დაწყებითი და საშუალო სკოლის შესახებ.

მომხსენებელი განათლების კომისარი ამხ. კვირიკაძე.

დასწრება ყველასათვის სავალდებულოა.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი სარეწაო კოოპერაციის რესპუბლიკანური სადარგო სამეურნეო — ან-გარიშიანი შენაერთების მომწყობი საორგანიზაციო ბიუროების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ნება დაერთოს საქართველოს სსრ სარეწაო კოოპერაციის კავშირს — სარეწაო კავშირს - დაარსოს საორგანიზაციო ბიუროები — თავის სისტემაში რესპუბლიკანური სადარგო სამეურნეო ანგარიშიანი შენაერთების მოსაწყობად, თანახმად სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა — 1931 წ. ივნისის 28-ის — „შინამრეწველობის და სარეწაო კოოპერაციის შესახებ" და 1931 წ. ივლისის 11-ის „სარეწაო კოოპერაციის სადარგო სამეურნეო — ანგარიშიანი შენაერთებისათვის იურიდიული პირის უფლებათა მინიჭებისა და მათი წესდებების დამტკიცების წესის შესახებ" (სსრკ კან. კრ. 1931 წ. 41 №-ი, მუხ. 284 და 45 №-ი მუხ. 310); ამ ბიუროებს, გარდა აღნიშნული შენაერთების მოწყობისათვის საჭირო სამზადისის განხორციელებისა, დაეკისრებათ აგრეთვე, შენაერთების საბოლოო უფლებრივ გაფორმებამდე. შემდეგი ფუნქციების შესრულება:

ა) ხელმძღვანელობა გაუწიონ, დაგეგმონ და მოაწესრიგონ წარმოების სათანადო დარგების საშინამრეწველო - სარეწაო ამხანაგობების და არტელების ქსელი:

ბ) განახორციელონ სასინდიკატო ფუნქციები წარმოების სათანადო დარგების საშინამრეწველო - სარეწაო ამხანაგობებისა და არტელების პროდუქციის რეალიზაციისა და ვასაღებისათვის.

2. სარეწაო კოოპერაციის რესპუბლიკანური სადარგო სამეურნეო - ანგარიშიანი შენაერთების უფლებრივ აგფორმებამდე, ნებადაერთოს 1-ლ მუხლში აღნიშნულ საორგანიზაციო ბიუროებს მიიღონ მიზნობრივი გამოყენებისათვის ყველა ის თანხა, რაც სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან, სარეწაო კოოპერაციის სისტემის სახსარიდან და საბანკო კრედიტიდან გადადებულ იქნება შინამრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის სათანადო დარგების მიზნით.

3. ზემოაღნიშნული ამოცანების განხორციელებისათვის მიეცეს საორგანიზაციო ბიუროებს იურიდიული პირის უფლებანი, კერძოდ — უფლება: შეიძინონ ქონება, დასდვან ყოველგვარი ხელშეკრულება და გარიგება, მიიღონ კრედიტი სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კოოპერატიულ დაწესებულებებში და ორგანიზაციებში, მათ შორის — საბანკო კრედიტიც, აწარმოონ სასაქონლო, სასესხო და სხვა ოპერაციები დაიქირაონ მუშა-მოსამსახურენი, ისარჩლონ და პასუხი აგონ სასამართლო დაწესებულებებში და სახელმწიფო არბიტრაჟის წესით;

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. ბ. ბოგბია

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი პ. ტუაბლაძე

1931 წ. სექტემბრის 18

ტფილისი

საქ. შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილება

1931 წლის 19 სექტემბრის

თანახმად საქ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისა და საქ. სახკომსაბჭოს მიერ 1931 წ. ივლისის 4-ს თარიღით „სოფლის მეურნეობაში სოციალისტურ სექტორში და სამრეწველო რაიონებში მუშაობისათვის კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის მობილიზაციის შესახებ" გამოცემულ დადგენილებისა— საქ. შრომის სახკომისარიატი ადგენს:

1. მობილიზებულ იქნეს ერთი წლის ვადით სოფლად სამუშაოზე გადასაგზავნად შემდეგი სამედიცინო მომუშავენი:

ექიმები

კობიაშვილი ილია (თიზ. მეთ. მკურნ.), თაქთაქიშვილი ელენე (მეორე გაერთიანება), შტრამბერგი ცეც. (მეორე გაერთიანება), პოლფენზონ ესფირა (კუკ. გაერ.), ვედოვე ანტონ (მეორე გაერთ.), ქურციკიშვილი (მეორე საავ.), ანდრონიკაშვილი ნინო (ტალახის საქკ.), მანჩხია მარიამ (ნაველოვ. გაერთ.), კაჭარავა სოლომონ (პირველი საავად.), თოფურია ივანე (პირველი საავადმყოფო)), გუნია ვალერიან (პირველი საავადმყოფო), ნიკოლაიშვილი გრიგორ პირველი საავადმყოფო, ავეტისოვა მარიამ (პირველი საავადმყოფო)მილოვა ვალენტინა (კამოს საავ.), ბერძენიშვილი შალვა (მეორე საავ.).

ექიმების თანაშემწეები

ივანოვა ლუდმილა (ტუბდისპანსერი), ლაპჩინა ევა (ტუბდისპანსერი), ბურჯანაძე ნადეჟდა (მეორე გაერთ.), კოპალძე ნადეჟდა (მეორე საავადმყოფო). ქაცარავა მარო (კუკიის გაერთ.), სიხარულიძე ანგელინა (მე-10 გაერთ.), შერბადინ ელენე (მესამე გაერთ.), ლეონტიევა ელენე (ტუბდისპანსერი), ნონიკოვა ელენე (ტუბდისპანსერი,), შენგელია ტატიანა (ტუბდისპანსერი), მეგვანაძე ევგენია (პირველი საავ.), ჯანიაშვილი ელიზბარ (დეზბაგა).

ფარმაცევტები

ცუკერმანი ანა მე-19 აფთიაქი, მელქაძე მარიამ მეხუთე აფთიაქი, გობეჩია ნინო მე-19-ე აფთიაქი, ვარშავსკაია ლიუბა მეოთხე აფთიაქი, კობახიძე ალექსანდრა მეოთხე აფთიაქი, გოგობერიძე ვლადიმერ მე-15-ე აფთიაქი, მაიერი ევა მე-12-ე აფთიაქი, ზახტაძე ვერა მე-15-ე აფთიაქი, პურდიშვილი ნიკოლოზ მე-15-ე აფთიაქი, ქათამაძე მიხეილ მე-19-ე აფთიაქი, ასათიანი ელენე მე-20-ე აფთიაქი, ურუშაძე თამარ მე-15-ე აფთიაქი, მეგრელიძე ვას. მე-10-ე აფთიაქი, ბაშნაკიანი ლიუსიკ მე-15-ე აფთიაქი, გინპურგი ნადეჟდა 1-ლი აფთიაქი. რინოვიჩი ალექსანდრე პირველი აფთიაქი, გაბისონია ნელინა მე-14 აფთიაქი, პაიჭაძე ვასილი მე-14 აფთიაქი, აგარონოვი არტაშეს პირველი აფთიაქი, ჯულაღიშვილი ნინო მეცხრე აფთიაქი, გოგობერიძე ვერა მე-12-ე აფთიაქი, ხუჭუა ოლღა მე-12-ე აფთიაქი, ლეჟავა მარიამ მე-12 აფთიაქი, ფეიმან ანნა მე-12 აფთიაქი, გაბისონია ლიუბა მე-12 აფთიაქი, ჯორბენაძე ნიკოლოზ მეშვიდე აფთიაქი, სულაბერიძე პარასკევა მეცხრე აფთიაქი, ავალიანი ქეთო მეშვიდე აფთიაქი, რუხაძე ანნა მეორე აფთიაქი, ნანეიშვილი ეკატ. მეექვსე აფთიაქი, სარჯველაძე ტასო მეორე აფთიაქი, კაჭკაჭიშვილი ივანე მე-15 აფთიაქი, ქავთარაძე ოლღა პირველი აფთიაქი, ღვინერია ლიდა მე-14 აფთიაქი.

2. ზემოაღნიშნული მობილიზებული მუშაკები ე. ი. ექიმები და ექიმის თანაშემწეები ვალდებული არიან გამოცხადდნენ საქ. ჯანმრთელობის კომისარიატის განკარგულებაში 24 საათის განმავლობაში, დღიდან ამ დადგენილების გამოქვეყნებისა, ხოლო ფარმაცევტები კი ვალდებული არიან გამოცხადდნენ იმავე ვადაში საფთიაქო სამმართველოში.

3. ყველა ორგანიზაცია-დაწესებულება საწარმოს ევალება ამ დადგენილების გამოქვეყნებისთანავე ქვეყნების დღისვე გაანთავისუფლოს პირველ მუხლში აღნიშნული პირები ანგარიშის გასწორებით.

4. მობილიზებული სამედიცინო მომუშავენი, მობილიზაციის ვადის დამთავრებისას უბრუნდებიან თავიანთ წინანდელ სამსახურს.

5. საქ. ჯანმრთელობის სახკომ. და საფთიაქო სამმართველო წარმოადგენს საქ. შრომის სახკომისარიატში 1, 2 და 3 ტფილისის რაიონის შრომ. ინსპ. ასლების გადაგზავნით იმ პირთა სიებს, რომლებიც არ გამოცხადდებიან 48 საათის განმავლობაში დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა.

6. ქ. ტფილისის პირველ 2 და 3 რაიონის შრომის ინსპექტორებს ევალებათ თვალყური ადევნონ ამა დადგენილების ასრულებას.

საქ. შრომის სახკომისარის მოადგილე ვ. იტრიევი.

მ. ძ. მთარ. სექ. გამგე მახარაშვილი.

პარტიული კალენდარი

— 23 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე, თბილისის კომიტეტის შენობაში (ოთახი № 8) მოწვეულია უჯრედების ტეხნიკური მდივნების და ინფორმატორების საინსტრუქციო თათბირი პარტგანათლების ოცდღიურის საკითხის შესახებ. აღნიშნული ამხანაგები თათბირზე უნდა გამოცხადდნენ უჯრედების მდივნების პასუხისმგებლობით.

— 23 სექტემბერს საღამოს 8 საათზე მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში შესდგება ფილოსოფიური სექციის სხდომა. დასწრება ყველა წევრთათვის სავალდებულოა.

ბინების დამქირავებელთა საყურადღებოდ

თბილისის საბჭო აცხადებს, რომ ბინების ფართობის შემამჭიდროებელი საუწყებათაშორისო კომისია, მუშაობის დამთავრების გამო, ითვლება გაუქმებულად.

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმი.

საქ. კ. პ. (ბ) თბ. ორგ. ორჯონიკიძის სახელობის რაიკომი

იუწყება, რომ 24 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში (ფურცელაძის, ყოფ. კალოუბნის ქ. № 3)

მოწვეულია უჯრედების მდივნების თათბირი

უჯრედების ტეხნიკური პროპაგანდის და პოლიტგანათლების სექტორების ხელმძღვანელებთან, საწარმოების კომუნისტ დირექტორებთან, კედლის გაზეთების რედაქტორებთან და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების წარმომადგ. ერთად. უჯრედების მდივნებს წინადადება ეძლევათ პირადი პასუხისმგებლობით უზრუნველყონ აღნიშნულ ამხანაგების თათბირზე დაუგვიანებლივ გამოცხადება.

რაიკომის მდივანი ჟორჟოლაძე.

სახელმწიფო ოპერის თეატრი 1931 32 წ. სეზონი.

ოთხშაბათს 23 სექტემბერს მე-7 აბონ. 1 ლი წარმოდ. პიკის ქალი

ხუთშაბათს 24 სექტემბერს მე 9 აბონ. 1 ლი წარმოდ. აიდა

პარასკევს, 26 სექტემბერს მე-11 აბონ. 1 წარ. პრემიერა კამორა

წარმოდგენის დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე. ბილეთების ნაწილი დატოვებულია გასასყიდათ. ჩვეულებრივ მიღება მე-5 და მე-7 აბონემენტ.—22 სექტემბერს, მე 9 და მე 11 აბონემენტ—23 სექტემბერს, მე 3 და მე 15 აბონემენტ.—24 სექტემბერს, მე 2 და მე 4 აბონემენტ—25 სექტემბერს, ხოლო დანარჩენ აბონემენტ. 26-დან 30 სექტემბრამდე თეატრის სალაროში 11 ს. დან 2 ს-მდე და 6 ს დან 8 საათამდე. 1—1 ნ. 1801

ქართული სახელმწიფო დრამა კოტე მარჯანიშვილის სახელობ.

სწარმოებს თანამშრომელთა მიღება ჯამაგირზე

მომავალ 1931—32 წ. სეზონისათვის. განცხადებების მიღება იწარმოებს თეატრის კანტორაში 25 სექტემბრამდის დილის 9 ს. 2 ს დღ. გამოცდები დანიშნულია 28 სექტემბერს.

ნ. 1811 თეატრის დირექცია.

რუსთაველის თეატრი სანდრო ახმეტელის ხელმძღვანელ.

1931 32 წლის სეზონი

იყიდება აბონემენტების ახალი სერია

ინდივიდუალურ და კოლექტიურ შემკვეთთათვის.

ნ. 1812 სალარო ღიაა დილის 11—2 ს. და საღ. 6—8 საათამდი.

სახკინმრეწვ თეატრები

სახაფხულო კინო მთერი (სახ ოპერის ბაღში) დასაწყისი 8-30, 10—30. ადგილები დანომრილი.

სახაფხ. კინო პალასი 1-ლი სეანსის დასაწყისი 7 საათზე.

საზაფხულო დარბაზი (ბაღში, პლეხან., № 91) დასაწ. 8-30, 10—30. ადგილები დანომრილი.

როზა ლიუქსემბურგ სახელ. (ყოფ. მიჩიონი) 1-ლი სეან. 7 ს. მე II სეან. 8-45 მე III სეანსი 10-30.

კინო სპარტაკი დასაწყ 7, 8—45, 10—30

გაროლდ ლოიდი კომედიაში უმცროსი ვაჟი პროგრამის გარეშე - სახკინმრეწვის ჟურ. № 23

პრემიერა არქტიკის თეთრ ლაქასაკენ სამოილოვიჩის და ვიზეს ექსპედიცია.

მხატვრული ფილმი ორი სიცოცხლე რეჟისორი—რიხარდ ოსვალდი.

მხატვრული ფილმი შორი და შორ-შორი რეჟისორი—ა. ბეკნაზაროვი.

წყნარი დონი ემა ცესარსკაიას მონაწილ. პროგრამის გარდა „პრავდა მასებს".

მალე!

პლანეტების და ვარსკვლავების სამყაროში

მალე!

სამედიცინო ინსტიტუტის დირექცია

აცხადებს

პედაგოგიური პერსონალის საყურადღებოდ,

რომ ვინც არ გამოცხადდება კათედრებზე 25 სექტემბერს იქნებიან მოხსნილნი.

ნ. 1805 დირექცია.

დღეს, 23 სექტემბერს, საღ. 5 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში (ფურცელაძის № 3) ვან კავ. ც. გამგეობა

იწვევს თბილისის სასწავლებლების ყველა კომუნისტ პედაგოგების კრებას

დღის წესრიგი: საქ. კ. პ. (ბ) ც კ დადგენილება დაწყებითი და საშუალო სასწავლებლების შესახებ. მომხსენებელი ს. ს. ს. რ. განათლების სახალხო კომისარი ამხ კვირიკაძე.

7683 ც გამგეობა.

საქ. სახ. პედ. ინსტიტუტი

ამით აცხადებს პირველ კურსის სტუდენტთა საყურადღებოთ, რომ 24 სექტემბერს გადმოაგზავნონ სამხედრო წიგნაკები ინსტიტუტის კანცელარიაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ვისაც ასეთები არ წარმოუდგენიათ მათ არ მიეცემათ სამხედრო შეღავათი.

ნ. 1810 პედ. ინსტიტუტის დირექცია

განსაკუთრებული დადგენილება

ქალაქ თბილისის საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს

მიუხედავად იმისა, რომ სასურსათო წიგნაკების დარიგება ძალზე გაადვილებული არის, და წიგნაკების დარიგების წესებია იქ გამოყენებით, რომელიც ეხლა შემოღებული არის სასურსათო წიგნაკებია დასარიგებლად, შეიძლება სრულებით აცილებულ იქნას თავიდან რიგები, წარმოების მუშების მოცდენა და დაწესებულების მოსამსახურეების ხოვ დროს დაკარგვა. ასეთი გაუქმებული წესი წიგნაკების მიღებისა, მიუხედავად იმისა, რომ ამის შესახებ სამკუთხედები გაფრთხილებული იყვნენ 20 აგვისტოს, დღემდე სასურსათო წიგნაკების სექციას არ აქვს წარმოდგენილი სიები წარმოებებიდან და დაწესებულებებიდან და ვინც წარმოადგინა და დამხარვებული არის არ მიაქვს სამკუთხედების მხრივ ადგილი აქვს აშკარა დაუდევრობას და სრულ უპასუხისმგებლობას მიუხედავად მრავალჯერ გაფრთხილებისა სამკუთხედები მაინც არ ეკიდებიან ამ საქმის სერიოზულად და მით მოსამსახურეების მომარაგების საქმე პირველ ოქტომბრიდან ჩაშლის წინაშე აყენებენ. გამომდინარე აქედან ალაქ ტფილისის საბჭო, და საქართველოს პროფსაბჭო ადგენს:

1. კატეგორიული წინადადება მიეცეს „სამკუთხედებს" ყოველ მიზეზის გარეშე შეადგინონ მუშა-მოსამსახურეთა სიები და წარუდგინონ ასეთები სასურსათო წიგნაკების სექციას არა უგვიანეს 24 სექტემბერისა

2. სიების დასაბეჭდად ყველგან დაწესებულება წარმოებებში დაევებულ იქნეს საღამოს მუშაობა, დაწესებულ საათების ზევით.

3. წინადადება მიეცე სამკუთხედებს წარმოებაში წიგნაკების დარიგება დაამთავრონ არა უგვიანეს 28 სექტემბრისა.

4. წინადადება მიეცეს „სამკუთხედებს" გამოყონ პასუხისმგებელი პირები წიგნაკების მისაღებად და დასარიგებლად.

5. წინადადება მიეცეს „სამკუთხედებს" გააფრთხილონ მუშა მოსამსახურენი, რომ ვინც პირველ ოქტომბრამდე არ მიიღებს ახალ წიგნაკს, ის არ მიიღებს არავითარ პროდუქტებს კოოპერაციიდან და მომარაგების ჩაშლისავის მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრება „სამკუთხედს" და ქალაქის საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა საბჭო არავითარ საჩივრებს არ მიიღებს მოქალაქეებიდან და „სამკუთხედებიდან".

6. პერსონალური პასუხისმგებლობა ამ დადგენილების გატარებისა ეკისრება ქარხნების დირექტორებს, დაწესებულების ხელმძღვანელებს, და სქარხნო კომიტეტების თავმჯდომარეებს.

თბილისის საბჭოს თავმჯდომარე ბ. მაჩაძე.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარის მაგიერ ვ. ანთიძე.

ნ 1802 2 2

ამიერ-კავკ. ენერგეტიული ინსტიტუტი

აცხადებს, რომ დაიწყო მიღება მე-3 და მე-4 კურსებზე.

მიიღებიან ის პირები, რომელთაც აქვთ ცოდნა ინსტიტუტის წინა კურსების პროგრამის ფარგლებში.

განცხადება შეტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის კანცელარიაში (არსენალის მთა, ტელეფ. 13—27). დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სასწავლო ნაწილში ყოველ დღე დღის 12 საათიდან 3 საათამდე.

ა-კ. ენერგეტიული ინსტიტუტის დირექცია. 7669

ამით ცხადდება ყველა ორგანიზაციების და კერძო პირების საყურადღებოდ, რომ ხდება

არტელ „ელექტროქიმის" ლიკვიდაცია

და ყოველგვარი პრეტენზიები წარმოდგენილ უნდა იქნეს 1-ლ ოქტომბრამდე ლიკვიდკომის შ. ნ. მაისაშვილის სახელზე სარეწაო კავშირში, რის შემდეგაც პრეტენზიები განხილული არ იქნება.

7680 სალიკვიდაციო კომისია.

ქვემოდ ჩამოთვლილი საბუთები

დაკარგული და მოპარული ჩაითვალოს გაუქმებულად

სამხედრო წიგნაკები:

ილია ალდაშვილის № 2030 ლონგინოზ გოგობერიშვილის შალვა კიკნაძის კარაპეტ კორგანოვის № 51762. გიორგი მაღლაკელიძის. ანტონ ქემოკლიძის. გიორგი ელიაშვილის. ათანას დაუშვილის. გრიშა გოგობერიშვილის.

მუშკოოპის წიგნ.

დავით ბერაძის № 688 ბლადიმერ ალიასი. ვლადიმერ თევზაძის № 438 გიორგი რობაქიძის № 111. ირაკლი ბლიაძის № 197. შალიკო მოდებაძის № 8084. ლალო ქაფიანიძის

მეტრიკული ამონაწერი:

სერგო ბზიშვილის. ალექსანდრა ძნელაძის ჟოზეფ სუმბათაშვილის № 99

პირადობის მოწმობა:

კარაპეტ ტერმიკირტუმიანის № 51555

სხვა და სხვა

სტუდენტობის მოწმობა № 58 ვალერიან ზურაბიანის 7 წლ. დამთ მოწ. № 41 იგნატი გვაზავასი მემანქანის თანაშემწეობის მოწ. № 154/4131 კოლა იჩკიტიძის. 7 წლ დამთ მოწ. ოთარ ბუაჩიძის, როგზის წლიური ბილეთი № 8366 ვასო გაჩეჩილაძის. ჩხარის სამანქანო სატრაქტორო და მოჯამაგირეთა კავშირის წიგნაკი № 54188 ივანე ზარნაძის. საანგარიშო წიგნ. № 41 აღათი გვასალიასი. 7 წლ დამთ მოწ. № 70 გალინა კვანტალიანის. სასურსათო წიგნაკი 2 სულის № 38708 ზაქარია ჯაჯავაძის 7 წლ. დამთ მოწ. № 308 ვლადიმერ დარჯანიასი. „ანდიზოტ"-ის დან კოოპ. საპაიო წიგნ. სტეფან ელოშვილის. საპენსიო წიგნ. ლალო ქაფიანიძის. საშუალოს დამთ მოწ № 809 დავით ლეკვეიშვილის. მოწ წითელ არმიის ოჯახის დახმარების შესახებ სამკიმო ქალინე და ანასტასი ჯორბენაძეების.

პირადობის მოწმობა

გიორგი სვანიძის. კოლა იჩკიტიძის № 6 ლონგინოზ გოგიბერიშვილის № 248 ელისაბედ მელაშვილის № 13. კატო ფურცელაძის № 3.

პროფკავშ. წიგნაკები:

კოლა იჩკიტიძის № 6266 ვლადიმერ კაპოლკოვის № 13/44237. ილია ლუდუშაურის № 0 946556.

მეტრიკული ამონაწერი

ოთარ ბუაჩიძის. ვლადიმერ დარჯანიასი № 70.

პირადობის მოწ. მედინსტიტუტიდან გაც. ვალერიან ბერიძის. 7 წლ. დამთ. მოწ ზინაიდა ქორიაკას. ინვალიდობის მოწმობა № 152 ეთენე მელნიკოვასი. ა.-ლ.-კ.-ქ. საწევრო ბილეთი № 71 ნევროკვ სხვაძის. სტუდენტობის მოწმ. № 065 სიმონ გაფეტაძის.

კავშირის წიგნაკი:

ნიკოლოზ თედიაშვილის № 2035.

მუშკ. წიგნაკი

გრიგოლ ლაკლაკიშვილის № 76636.

სამხედრო წიგნაკი:

სერგო სანაკაშვილის ვლადიმერ კახეთელიძის.

ს. ა. დიშელი

დაამთავრა პარიზის და ბერლინის ინსტიტუტები

სახის სილამაზის მოვლა

რადიკალურად სპობს სახის ყოველგვარ დეფექტებს: ნაოჭებს, ლაქებს, მუწუკებს, სიწითლეს, პორების გაფართოებას, ეჭზემას, აკნეს, თმის გაცვენას. ქერტლს და სხვ. ძნელაძის ქ. № 22.

25—4 5464

დ. ლ. თევზაძე

დაავადება ყურის, ყელის და ცხვირის, მეტყველების და ხმის მოშლა. ბრონქოეზოფაგოსკოპია სპეც. ტარდება წამლობის ფიზიოთერაპევტ. მეთოდებით. ჭონქაძის (ყოფ. გუდოვიჩის) ქუჩა, № 9. მიღება: საღ. 5 7 საათზე გარდა კვირა დღეებისა. ტელ. 28—68.

25—17247

აუბედურებულ დედა ნინა და განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფნი ძმები გრიშა, პეტრე და საშა მახარაძეები აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს მათთვის დაუვიწყარ და საყვარელ შვილისა და ძმის სიცოცხლით სავსე

იოსებ (სოსო) მაქსიმეს ძე მახარაძის

უდროოდ გარდაცვალებას. სად. ჩაქვში. დაკრძალვა მოხდება სოფ. შემოქმედში ოთხშაბათს 23 სექტემბერს. 2—2

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფნი ძენო და ქეთო ნემსიწვერიძეები იუწყებიან დაუვიწყარი და საყვარელი ძმის და გულითადი მეგობრის—სიცოცხლით სავსე

იოსებ (სოსო) მაქსიმეს-ძე მახარაძის

უდროოდ გარდაცვალებას სად ჩაქვში დაკრძალვა სოფ. შემოქმედში (გურია) ოთხშაბათს, 23 სექტემბერს. 7687

დამწუხრებულნი: დედა კატუშა, დედამთილი დარო შვილებით: მარო, ვარა და ვალოდია რაჭველიშვილები იუწყებიან დაუვიწყარ ერთად-ერთ პატარა შვილის

თამაზი (კუკუშკი) ვახტანგის-ძე რაჭველიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს, კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება 4 ნახ. საათზე, კოდალოს ქ. № 4. 7674

ღრმად დამწუხრებულნი: ბიძა, დედა ბარბალე, დები: ვარინკო და ოლია სებისკვერაძეები, დეიდა ნადია შვილებით: ავთიკო და მერი, დედა თილი ეფროსინე ქორდიევანიძეები აუწყებენ საზოგადოებას საყვარელ დისწულის

თამაზი ვახტანგის-ძე რაჭველიშვილის

გარდაცვალებას. 7675

გაუბედურებული მშობლები: ვარვარა და დიმიტრი (კირილე) ფაღავები მადლობას უძღვნიან ნათესავ-მეგობრებს, რომლებმაც როგორც პირადათ, აგრეთვე წერილობით მონაწილეობა მიიღეს საყვარელ

პატარა მედიკოს

უდროოდ გარდაცვალებით გამოწვეულ მწუხარებაში 1896

სამუდამოდ დამწუხრებული მეუღლე გიორგი, შვილები: კარლო და ქეთინო, მულები: ლიდა და თამარი ბერძენიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფას და დაუვიწყარ

ალექსანდრა (საშა) სვიმონის ასული ანანიაშვილი-ბერძენიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე 24 სექტემბერს. გამოსვენება კამოს სახ. საავადმყოფოდან კოოპერაციის ქ. № 17 (დიდუბე) ნაშუადღევის 3 ნახევარ საათზე.

დამწუხრებული მეუღლე ლუკა მურმანის ძე გვასალია და მაზლი პლატონი ცოლშვილით იუწყებიან, რომ 20 სექტემბერს ახალსენაკში ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

სონია პავლეს-ასული გვასალაია

დასაფლავება ზუგდიდში 23 სექტემბერს, 4 ს. 7682

ანნა, ნატაშა, ალექ, აკაკი და ვარლამ გვახარიები ცოლშვილით და სიძე ვ. უშუმაძე იუწყებიან, რომ ხუთშაბათს, 7 საათზე ხოჯის მეოთხე უბნის სასაფლაოზე გადახდილი იქნება

ლირსა სიმონის ასული გვახარიასი

სამოქალაქო პანაშვიდი. 7688

თბილისის პირველი პედტექნიკუმი (კომბინატის) თანამშრომლები ღრმა და გულწრფელი გრძნობით იზიარებენ ჩვენი თანამშრომლის ალექსანდრე გვახარიას მწუხარებას ძვირფასი დედის

ლირსა გვახარიას

გარდაცვალების გამო 7679

გულდათუთქული მშობლები ძმა ნიკო, დედა ქეთია, და ლამარა ჭყონიები იუწყებიან, რომ 25 სექტემბერს, 6 საათზე კუკიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

პატარა თამაზიკოს

ხსოვნის აღსანიშნავად. 7677

გულდათუთქული დეიდები თამარა, მაშიკა, აგრაფინა, ნინა და მარგო ქემოშვილით, ბიძა ელიზბარი გველესიანები დასტირიან პატარა

ეთიკო სვანიძის

უდროოდ დაკარგვას. 7681

მშობლები სილიბისტრო და ანეტა და თინა სვანიძეები აუწყებენ საზოგადოებას მათთვის ძვირფასი

ეთერი სილიბისტროს ასული სვანიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება ბაქოს ქუჩა № 9, 23 სექტემბერს დღის 4 საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე 7685

ბიძები ამბროსი, ვლადიმერი, ბიცოლები ანიკო, შურა. შვილებით გივითი და ოსიკოთი გველესიანები აუწყებენ საზოგადოებას ძვირფასი დის შვილის

ეთერი სილიბისტროს ასული სვანიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება ბაქოს ქუჩა № 9. 23 სექტემბერს 7686

გულმოკლული მეგობრები ალექსანდრე ჯავაშვილი, ბორისა ლითანიშვილი, ირაკლი კობიაშვილი, სერგო ალიხანოვი, პავლე კორინთელი, კოლია ჩიხელი, ზინო ქამუტაშვილი იუწყებიან, რომ 21 სექტემბერს, ხელიდან გამოგვეცალა ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე საუკეთესო მეგობარი

ვახტანგ ალექსანდრეს-ძე ილურიძე

დაკრძალვა დღეს, ფასანაურში. 1815

ღრმად დამწუხრებული უახლოესი მეგობრები: ვიქტორ თოხაძე ვასო ბიბილეიშვილი, სიმონ მახარაშვილი, კოლია კობაიძე, გრიშა ლალიაშვილი, იოსებ გულიევი, ლიდა ქართუშვილი, შალიკო ნადირაძე იუწყებიან, რომ 21 სექტემბერს ტრაგიკულად გარდაიცვალა სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა

ვახტანგ ალექსანდრეს-ძე ილურიძე

დაკრძალვა დღეს ფასანაურში. 1815

საქართველოს აბრეშუმის ტრესტის ხობის რაისარწმუნებულის თანამშრომლები აცნობებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ 15 სექტემბერს ხობში ტრაგიკულად დაიღუპა ამავე სარწმუნებულოს აგრონომი აქტიური მუშაკი

ლეონტი ნესტორის-ძე კაკულია

დასაფლავება სოფელ კახათში. 7644

თანამშრომელი ამხანაგები ნ. ლაშხია, შ. პატარაია, ვ. ჩიქავა, ა. ბარბაქაძე, ა. მირცხულავა, გ. მახარაძე, ს. არზიანი, შ. გოლოხია, ი. ყურაშვილი, ა. მერაბიშვილი, ა. ჯიქია და მ. ხუბულავა იუწყებიან საუკეთესო ამხანაგის ახალგაზრდა აგრონომის

ლეონტი ნესტორის-ძე კაკულიას

ტრაგიკულად დაღუპვას. 7638

ამიერ-კავკასიის გეოლოგიურ კვლევითი ტექნიკუმის სტუდენტობა ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს ამავე ტექნიკუმის დირექტორის ძმის

ლეონტი ნესტორის-ძე კაკულიას

ტრაგიკულად დაღუპვის გამო. 7671

მეუღლე ნათელა, შვილები: ედუარდი, კოკი, ცაცა, პაკულა, ლოლა, კუკური და ნინა, სიძე გრიშა შანიძე, შვილი მედეიათი აუწყებენ საზოგადოებას, რომ 24 სექტემბერს, 5 საათზე, ქუთაისში სათიოს ჩხრის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარი

რომანოზ ანდრიას-ძე ხატირიძის

ხსოვნის აღსანიშნავად. ნ. 1807

გაუბედურებული მშობლები აკაშა და ვანო და თამარა ბაბუნა შვილებით იუწყებიან, რომ 25 სექტემბერს ქუთაისში, ოლასკურის სასაფლაოზე დანიშნულია ძეგლის გახსნა და სამოქალაქო პანაშვიდი ახალგაზრდა ინჟინერის

კოკი ი. ბაბუნაშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად. 7673

ღრმად დამწუხრებული მშობლები: ივგენია, ესე, ძმები ალექსანდრე, სევერიან, მიშა, ბორისი, აკაკი, დები: შუშანა, დარეჯანი ტულიკო არობელიძეები, რძლები: ოლიმპიადა მარო აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს, რომ ხანმოკლე და მძიმე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საყვარელი

ნინა (ჭიჭიკა) არობელიძე

დაკრძალვა 24 სექტემბერს, კახურში (გურია) ნ. 1808

დამწუხრებული მშობლები იესე და ევგენია, ძმები საშა, სევერიანე, მიშა, ბორისა, აკაკი, დები მარია, შუშანა დარეჯანა, თალიკო, სიძეები ვლადიმერ კვაჭაძე და ლექტორიონ კალანდაძე იუწყებიან

ნინა (ჭიჭიკა) არობელიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 24 სექტემბერს ს. კახურში 3 საათზე. 7669

ღრმა მწუხარებაში მყოფნი დები: მარო, ელიკო, სიძეები: ვლადიმერ, ლექტორიონ შვილებით აუწყებენ ნაცნობ მეგობრებს, რომ ხანმოკლე და მძიმე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საყვარელი

ნინა (ჭიჭიკა) არობელიძე

დაკრძალვა 24 სექტემბერს სოფელ კახურში (გურია). ნ 1809

დამწუხრებული ცოლი ანეტა, შვილები თამარა, ექიმი ვერა, ქეთო გოგი, სიძე დათიკო იუწყებიან, რომ 25 სექტემბერს, 6 საათზე ხონში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი

ერმილე კეთილაძის

ხსოვნის აღსანიშნავად. 7676

მშობლები კოსტა და დესპინე ძმები სევერიანე და გრიშა, სიძეები ევერიანე ლაჭავა და ვლასი ოქხაძე ცოლშვილით აუწყებენ საზოგადოებას მათთვის ძვირფასი ოკიის გზის მუშაკის

ალექსანდრე (სანდრო) კოსტას-ძე ჩხენკელის

გარდაცვალებას. გამოსვენება ქალაქის პირველ საავადმყოფოდან (ყ. არამიანცის) 23 სექტემბერს, 1 საათზე. დაკრძალვა ხონში 7684

სტამბა გაზეთ „კომუნისტი"-ს გამომცემლობისა

მთავლიტი № 304